

საიდუმლო შეხვედრა "აჭარაში"

A6



ქართველები ევროპაში

B2



სტვენა - ნაკლები, ჭიდაობა - დინამიკური

B5

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 29 იანვარი, 2005 წელი. №20 (880)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### საქართველოს ხელისუფლება ოსური კვანძის გახსნას იწყებს



პრეზიდენტ სააკაშვილის სტრასბურგში გამოსვლის შემდეგ, სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობით საუბრობს ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პერსპექტივებზე.

A2

## ისტორია

### ისტორია ბევრჯერ მეორდება



კავკასიის გაერთიანების იდეა არც დღეს დაბადებულა და არც გუშინ. თუ საქართველო ამ პრობლემას ხელახლა მხოლოდ გასული საუკუნის 90-იან წლებში მიუბრუნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგივეზე მთელი ამ ხნის განმავლობაში არ ფიქრობდა ქართული ემიგრაცია.

A3

## საკანონმდებლო ინიციატივების ექსპერტიზა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

ღია საზოგადოება - საქართველო

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

გაზეთი "24 საათი"

A8

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 9 | 12 |
| ქუთაისი | 13 | 15 |
| ბათუმი | 14 | 16 |
| სოხუმი | 11 | 13 |
| ფოთი | 13 | 16 |
| თელავი | 7 | 11 |
| ზუგდიდი | 13 | 16 |
| გორი | 7 | 9 |
| ახმეტა | 8 | 11 |
| ჭიათურა | 9 | 12 |
| გაგრა | 9 | 12 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8201 |
| ევრო | 2.3732 |
| ბირთანეთი სტერლ. | 3.4329 |
| რუბლი | 0.0648 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| ისტორია | A3 | რევიუ | B3 |
| ეკონომიკა | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| საზოგადოება | A6 | კვირა | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |




ლაგოდეხის საბაჟოსთან შეკრებილი ხალხი დაშლას არც დღეს აპირებს.

# სროლები ლაგოდეხის საბაჟოზე

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*გუშინ დილიდან პარალიზებული იყო ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საბაჟო გამშვები პუნქტი. საღამოს შვიდ საათზე კი მოვლენი უკიდურესად დაიძაბა. ერთ-ერთმა აქციის მონაწილემ სასაზღვრო ზოლის გადმოკვეთა საკუთარი მანქანით სცადა, რასაც იქ მდგარი საფინანსო პოლიციისა და საბაჟოს თანამშრომლების მხრიდან სროლა მოჰყვა. ამას დაემატა მუშტი-კრივიც.*

წლების მანძილზე ლაგოდეხის რაიონში კონტრაბანდული საწვავი რომ სხვადასხვა გზებით შემოედინება, ამაზე დღეს უკვე არავინ დავობს. იმის გამო, რომ კონტარაბანდის ხელშეწყობა ნაცნობ-მეგობრობის პრინციპით არ მომხადრიყო, საბაჟო გამშვები პუნქტი "ლაგოდეხი" თითქმის მთლიანად სხვა რაიონებიდან თუ ქალაქებიდან ჩამოსული კადრებით დაკომპლექტდა. აღნიშნული პუნქტის პასუხისმგებელი პირები უკვე ფინანსური პოლიციის უშუალო ჩარევით ახორციელებენ კონტროლს.

გუშინდელი საპროტესტო აქციის მიზეზი სწორედ ფინანსური პოლიციის ზეპირი განკარგულებაა, რომლის თანახმადაც სასაზღვრო ზოლის გადაკვეთა აეკრძალათ იმ მანქანების მძღოლებს, რომლებიც აზერბაიჯანში დღეში რამდენჯერმე გადადიოდნენ. ბრძანება კი მას შემდეგ ამოქმედდა, როცა ფინანსური პოლიციის შეფი კახეთში ჩავიდა. გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე "შავი სიაც" სწორედ ამის შემდეგ გამოიკრა. სიაში იმ მანქანების ნომრებია მინიშნებული, რომლებიც საზღვარზე რამდენჯერმე გადადიან და ასე გადმოაქვთ საქართველოში კონტრაბანდული საწვავი. ფინანსური პოლიციის ქმედებით მოქალაქეები უკმაყოფილო არიან და თავს კონტრაბანდისტებს არ უწოდებენ. **"ჩვენ ის უბრალო გლეხები ვართ, რომლებსაც საზღვრის გადაკვეთა იმის გამო გვიწევს, რომ იქ ყველაფერი იაფია. იმისთვის, რომ ათ ლარად აზერბაიჯანში მოსახნავი საწვავი ვიყიდო და გადმოვიტანო, კონტრაბანდისტი უნდა დამიძახო?"** - კითხულობს ლაგოდეხელი ავთანდილ ჩინჩალაძე.

გაგრძელება A2 გვერდზე

# პარლამენტი კრიტიკული და მკაცრი უნდა იყოს

*მეორე არხის აქტიური მაყურებელი ისვენებს, რადგან ისვენებს პარლამენტი. თუმცა, შეიძლება, რომელიმე უმუშევარ, ან უბრალოდ დაინტერესებულ ადამიანს გულწრფელი სურვილი კლავს, უყუროს სესიის ტრანსლაციას, რათა არ გამორჩეს კანონი, რომელიც მის ცხოვრებას გააუმჯობესებს. თებერვალში პარლამენტი სასესიო მუშაობას განაახლებს. უმრავლესობის აზრი არ ვიცით, მაგრამ პარლამენტის თავჯდომარეს ასე ცხოვრება მოსწყინდა და არდადეგები მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეხვედრების გარდა, საპარლამენტო მუშაობის გაუმჯობესებაზე ფიქრისთვისაც გამოიყენა. რა არის ეს გეგმა, რას უქადის ის მოსახლეობას, რომელმაც აირჩია ეს პარლამენტი და რას უქადის მთავრობას, რომელიც ამ პარლამენტმა დაამტკიცა... ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე საუბრობს.*



მაია ჭალაგანიძე

**- კიევში მსოფლიო პოლიტიკოსებს შეხვდით. ორ რევოლუციას ისინი განსხვავებულად აფასებდნენ?**

- შედარებები ნაკლებად იყო. ყველას კარგად ესმის, მთავარი მსგავსება იყო დემოკრატიული ფასეულობებისთვის ბრძოლა და ხალხის სურვილი - თავად მართოს საკუთარი ბედი. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ის, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ორი სახელმწიფოს ხალხი მზად აღმოჩნდა საკუთარი არჩევანის დასაცავად. ცხადია, იყო ანალოგიებიც. ძირითადად, ორივე მოვლენა პოზიტიურად შეფასდა, მაგრამ ორმხრივ საუბრებში ვცდილობდით, მომავლის პერსპექტივების შესახებ გველაპარაკა და შეხვედრები საქართველოს პრობლემებზე სასაუბროდ გამოგვეყენებინა.

**- ქართულ დელეგაციას პირველობის შეგრძნება ჰქონდა?**

- უკრაინა ჩვენი მეგობარი სახელმწიფოა. სწორედ ამ მეგობრობას ჭირდება მოფრთხილება და დელიკატურობა. უკრაინელი პოლიტიკოსებიც და უბრალო ადამიანებიც ყოველ ნაბიჯზე ხაზს უსვამდნენ - საქართველოს ასეთი პოზიტიური მაგალითი რომ არ ყოფილიყო, მათ გაუჭირდებოდათ. საქართველოს მაგალითით მათ ირწმუნეს, რომ შეიძლება, ერმა ნება გამოხატოს და მშვიდობიანი გზით, რადიკალურად შეცვალოს ქვეყანა.

**- ეს რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში არ მომხდარიყო, ორ რევოლუციონერ პრეზიდენტს ნობელის პრემიაზე წარადგენდნენ?**

გაგრძელება B1 გვერდზე

# მოახდინეთ ზეწოლა სეპარატისტების "დიდ ბოსზე"

ნინო ბოლქვაძე

*სამხრეთ ოსეთისთვის გაფართოებული ავტონომიური უფლებების შეთავაზება ძალიან კარგია, მაგრამ მიუღებელია საკონსტიტუციო ცვლილებები. ჩვენ დაგეხმარებით, მაგრამ თქვენ უნდა გაითვალისწინოთ ჩვენი რეკომენდაციები - ეს იყო საქართველოში ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის სამდღიანი მუშაობის ძირითადი პათოსი. ჩვენ გადავხედავთ საკონსტიტუციო ცვლილებებს, მაგრამ თქვენ დაგვეხმარეთ და მოახდინეთ რუსეთზე ზეგავლენა - იყო ქართული მხარის თხოვნა.*

**"ვარდების რევოლუციის შემდეგ, საქართველოს პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება აუცილებელი იყო, რადგან ქვეყნის ახალ ხელისუფლებას ძირეული სტრუქტურული ცვლილებები სჭირდებოდა და მინისტრთა კაბინეტი უნდა შემოგვეღო,"** - ასე იმართლა თავი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით გამოთქმულ კრიტიკაზე.

კომისიისთვის მიუღებელია საკონსტიტუციო ცვლილებათა პაკეტი, რომლის თანახმადაც, მოსამართლეებს, რეორგანიზაციის მოტივით, ვადამდე უწყდებათ უფლებამოსილება.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ერაყი არჩევნებისთვის მზადაა

ნანა ნასყიდაშვილი

*ხვალ, 30 იანვარს ერაყში არჩევნებია დანიშნული. ამ ისტორიულ მოვლენას უამრავი საერთაშორისო დამკვირვებელი დაესწრება. ქვეყანაში მობილიზებულია ყველანაირი სამხედრო ძალა. "ალ-ქაიდა" კი არჩევნების სისხლისღვრით ჩაშლას ჰპირდება მსოფლიოს.*

30 იანვარს ერაყში არჩევნები უნდა ჩატარდეს. 15.2 მილიონი ერაყელი ამომრჩევლის ნებით 275 ადგილიანი ნაციონალური ასამბლეა უნდა დაკომპლექტდეს და ერაყის თვრამეტივე პროვინციაში გუბერნატორთა საკრებულოს წევრები აირჩეს. არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ ქურთი ამომრჩევლები, რომლებმაც ქურთისტანის ნაციონალური ასამბლეის წევრები უნდა აირჩიონ. ერაყის დამოუკიდებელმა საარჩევნო კომისიამ 2 იანვარი საარჩევნო კამპანიის დაწყების ოფიციალურ თარიღად გამოაცხადა. 28 იანვრამდე კანდიდატებს ამომრჩეველთათვის თავისი შეხედულებებისა და პოზიციის გაცნობის საშუალება ჰქონდათ. არჩევნებში 200 პარტიაზე მეტი მონაწილეობს, ხოლო მაჟორიტარ დეპუტატთა რიცხვი 6000 აჭარბებს. ამდენად საარჩევნო ბიულეტენს სქელტანიანი რვეულის სახე ექნება. სწორედ ამ უზარმაზარ სიაში მოუხდება ერაყელ ამომრჩეველს მისთვის სასურველი პარტიისა თუ კანდიდატის მოძებნა. მდგომარეობას ართულებს ის გარემოება, რომ ერაყელთა უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია. ამიტომ, საკუთარი რჩეულის მოძებნა ამ მრავალფურცლოვან ბიულეტენში მათთვის იოლი არ იქნება. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, არაბულ სამყაროში ხშირად სხვადასხვა სპეციალურ სიმბოლოებს იყენებენ. ამ შემთხვევაშიც კანდიდატებმა მოიფიქრეს ნიშნები, რომლის მიხედვითაც მათ ამომრჩეველი იცნობს, მაგალითად: მზე, მთვარე, ხე, აქლემი და აშ.

გაგრძელება A5 გვერდზე

# სროლები ლაგოდეხის საბაჟოზე

პირველი გვერდიდან

მოპიკეტეების თქმით, საზღვარზე მხოლოდ იმ ადამიანებს ექმნებათ პრობლემები, ვისაც მცირე რაოდენობის საწვავი გადმოაქვთ, ხოლო მათ, ვისაც ათასობით ტონა საწვავი შემოვლითი გზებით გადმოაქვთ საქართველოში, ხმას არავინ სცემს. **"აქაური კაცი ვარ და ვიცი რა ხდება. მარტო ამ საცოდავ ხალხს რომ გვადანაშაულებენ, ესეც არ არის საქმე. საღამოობით გუბერნატორის და მისი მოადგილის მანქანები მოადგებიან საბაჟოს, რატომ იმათ არ სცემენ ხმას, მაგრამ ისინი ჩინოვნიკები არიან,"** - ამბობს გოგი მაისურაძე.

სწორედ ასეთი გაუგებრობის გამო, საზღვარზე შეკრებილი მოსახლეობა ფინანსური პოლიციისგან და საბაჟო სამსახურისგან დებულებების გაცნობას ითხოვს, რის შემდეგაც მას ეცოდინება, რა სახის ტვირთი უნდა გადმოიტანოს საზღვარზე და რა რაოდენობით.

**"გამგებლის ცოლის დას შეუძლია დღეში ათჯერ გადასვლა აზერბაიჯანში, მე კიდევ ექვსი წელიწადია, სინათლეს ვნატრობ. "ლამფა" რომ ავანთო და აქედან სამი ლიტრი გადავიტანო, არა მაქვს უფლება? ამის გამო კიდევ მლანძღავენ და მაგინებენ "ტამოჟნიები". ეს წესია?!"** - ამბობს ციცო თურმანიძე, რომელმაც სახლში ნავთქურისთვის საწვავი გუშინაც ვერ მიიტანა.

თავად ფინანსური პოლიციის უფროსი გასაკვირს ვერაფერს ხედავს და ამბობს, რომ მათ მიერ შედგენილ შავ სიებში იმ მანქანების ნომრებია შეტანილი, რომლებსაც საქართველოში კონტრაბანდული საწვავი გადმოაქვთ და პრევენციული ღონისძიება კიდევ ერთ კვირას გაგრძელდება. აღნიშნულმა პასუხმა მოპიკეტეებს შორის ვნებათაღელვა გამოიწვია, რაც ბოლოს ინციდენტით დასრულდა. საზღვრის გახსნის მოლოდინში აღელვებულმა ახალგაზრდამ მოთმინება დაკარგა და სასაზღვრო ზოლის გადაკვეთა სცადა. მან საკუთარი მანქანით, საზღვრის რკინის ჩამკეტები გაანგრია, შემდეგ კი მებაჟეებზე საცემად გაიწია. მას მხარი აქციის სხვა წევრებმაც აუბეს და ინციდენტი მუშტი-კრივში გადაიზარდა. აქციის წევრების შეჩერება ჰაერში რამდენჯერმე გასროლით მოხერხდა.

მიუხედავად ექსცესებისა, მოპიკეტეები დაშლას მაინც არ აპირებენ. თუ აქცია დღესაც გაგრძელდა, საზღვარს უკვე სპეცრაზმი დაიცავს.

# ენერგეტიკაში აღრიცხვა გაუმჯობესდება

ნიკა მარიამიძე

საქართველოს ენერგოსისტემაში არსებული უმთავრესი პრობლემის გადასაწყვეტად, ანუ აღრიცხვიანობის მოსაწესრიგებლად, გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ევრობანკისა და მსოფლიო ბანკის მონაწილეობით, საქართველოს ენერგეტიკის ყველაზე ძვირადღირებულ პროექტს დააფინანსებს.

პროექტი ელექტროენერგიის გადადინების წერტილების თანამედროვე ტიპის მრიცხველებით აღჭურვასა და სისტემის აღრიცხვიანობის სრულყოფისათვის აუცილებელი საქსელო სამუშაოების ჩატარებას ითვალისწინებს.

ამ პროექტის განხორციელება ჯერ კიდევ 1997 წელს დაიგეგმა, თუმცა მისი დაწყება შეფერხდა, რადგან, დამფინანსებელთა რეკომენდაციით, მისი დაწყებისთვის აუცილებელი წინაპირობა საქართველოს ენერგოსექტორის საკვანძო რგოლებში უცხოური მენეჯმენტის შემოყვანა გახლდათ.

პროექტის ცალკეული კომპონენტები რამდენჯერმე შეიცვალა. მაგალითად, შარშან ამ პროექტის ფარგლებში დონორებისგან მისაღები თანხები ელექტროენერგიის იმპორტზე მიიმართა, ხოლო პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები მოგვიანებით, უკვე გაყიდული დენის ამოღებული საფასურიდან დაფინანსდა.

ამ ეტაპზე, გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან წამოსულ თანხებს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიასა" (სგსე) და "სახელმწიფო ელექტროსისტემას" შორის დენის გადადინების წერტილების გამრიცხველიანებას მოხმარდება.

სხვათა შორის, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში, სგსე-ს მოსამზადებელი სამუშაოების ნაწილი უკვე ჩატარებული აქვს.

# ყურადღება!

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი აუწყებს ენერგომომხმარებელს, რომ, სათანადო კანონმდებლობის დამტკიცებამდე, შეჩერებულია დეპარტამენტის მიერ 0,4 კვ-ის ძაბვით მკვებავი ობიექტების, ასევე სათბობის ხარისხის შემოწმება, გარდა იმ შემთხვევებისა, თუკი ამ ობიექტებიდან, ენერგომომმარაგებელი ორგანიზაციებიდან ან სახელმწიფო უწყებებიდან არ იქნება სათანადო მოთხოვნა.

ამ შემთხვევაში, შემმოწმებელი ვალდებულია, დეპარტამენტის მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად, წარმოადგინოს შესაბამისი განკარგულება, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს:

1. შესამოწმებელი ობიექტის დასახელება და მისამართი;
2. შემოწმების საფუძველი;
3. შემოწმების სახეობა;
4. შემმოწმებელი პირების ვინაობა;
5. შემოწმების ჩატარების პერიოდი;
6. შემოწმების შედეგებზე გასაფორმებელი აქტის ნომერი.

**ამიტომ, მივმრთავთ და ვაფრთხილებთ აღნიშნული ობიექტებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს: თუკი სათანადო განკარგულების გარეშე, პირი ან პირთა ჯგუფი მოგაკითხავთ ობიექტის შემოწმების საბაბით, ისინი არ უნდა შეუშვათ დაწესებულებაში და მათ შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეთ ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტს 10-დან 17 საათამდე, შემდეგ ტელეფონებზე: 35 71 13 ან 35 71 28 (ფაქსი), თქვენი ვინაობისა და კოორდინატების აღნიშვნით.**

*ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი*

# საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

სახაზინო ვალდებულებები 1,500,000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2006 წლის 1 თებერვალს, გამოტანილ იქნება N3 აუქციონზე, რომელიც შედგება 2005 წლის 2 თებერვალს 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2005 წლის 2 თებერვლის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ “საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მომოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ “ დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

*აუქციონის კომიტეტი*




# მოახდინეთ ზეწოლა სეპარატისტების "დიდ ბოსზე"

პირველი გვერდიდან

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის ცხრავე კანდიდატს პარლამენტში დასამტკიცებლად პრეზიდენტი წარადგენს.

თუმცა, საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე პირობას იძლევა, რომ ცვლილებათა პაკეტი გადახედილი იქნება და, შეძლებისდაგვარად, კომისიის რეკომენდაციებს გაითვალისწინებენ.

პარლამენტის თავმჯდომარე, ჯანი ბუკიკიოსთან გუშინ გამართულ შეხვედრაზე კონფლიქტურ ზონებში არსებულ ვითარებაზე და "სეპარატისტების დიდი ბოსის" - რუსეთის როლზე ესაუბრა.

**"ჩვენ არ გთხოვთ უკანონო მოქმედებას, ჩვენ, უბრალოდ, გთხოვთ, ზეწოლა მოახდინოთ რუსეთზე, რომ მან სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში არსებულ კონფლიქტურ ვითარებებში მართლაც ნამდვილად მედიატორის როლი შეასრულოს,"** - ხაზგასმით აღნიშნა ბურჯანაძემ.

მისივე განმარტებით, რუსეთის ფედერაცია საქართველოსთან ურთიერთობაში ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს - ერთი მხრივ, აღიარებს საქართველოს მთლიანობას, მეორე მხრივ კი, ხელს უწყობს სეპარატისტული რეჟიმების არსებობას.

ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის წევრები გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრ სალომე ზურაბიშვილსაც შეხვდნენ. გამოითქვა სამხრეთ ოსეთის სტატუსთან დაკავშირებით მოსაზრებები და რეკომენდაციები, რომლებიც, დოკუმენტის სახით, ქართულ მხარეს მარტში ან აპრილში წარედგინება.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ჯანი ბუკიკიო: "ჩვენ დაგეხმარებით, მაგრამ თქვენ უნდა გაითვალისწინოთ ჩვენი რეკომენდაციები."*

როგორც საქართველოს საგარეო უწყებაში გამართულ ბრიფინგზე ვენეციის კომისიის დელეგაციის ხელმძღვანელმა ჯანი ბუკიკიომ განაცხადა, სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ 26 იანვარს სტრასბურგში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე დეკლარირებული სამშვიდობო ინიციატივა საკმაოდ კარგი და მისაღები გეგმაა.

**"ჩვენმა დელეგაციამ ნახა საქართველოს პრეზიდენტის წინადადებები და ეს საკმაოდ კარგი საწყისია, რაც კონფლიქტის შემდგომ მოგვარებას ხელს შეუწყობს"** - განაცხადა ბუკიკიომ, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ საბოლოო დოკუმენტის შესაქმნელად, რომლითაც კონფლიქტის მონაწილე მხარეები იხელმძღვანელებენ, ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი.

**"ევროპის საბჭოს საპარლამენტო სესიაზე სიტყვით გამოსვლისას, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მისი ცხოვრების მთავარი მიზანია. ჩვენი მისიის მიზანიც სწორედ ეს არის - განვავითაროთ საქართველოში დემოკრატია და ხელი შევუწყოთ ამ ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას,"** - განაცხადა ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის დელეგაციის ხელმძღვანელმა.

# საქართველოს ხელისუფლება ოსური კვანძის გახსნას იწყებს

გიორგი ასანიშვილი

*პრეზიდენტ სააკაშვილის სტრასბურგში გამოსვლის შემდეგ, სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობით საუბრობს ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პერსპექტივებზე. მისი თქმით, პრობლემა სამ ეტაპად უნდა მოგვარდეს. პირველ რიგში, აუცილებელია რეგიონის დემილიტარიზება, რაც მოსახლეობის უსაფრთხოების გარანტიებს შექმნის. მეორე ეტაპზე უნდა მოხდეს ეკონომიკური პროგრამების რეალიზება, ბოლოს კი კონფლიქტის პოლიტიკური მხარე მოწესრიგდეს.*



იური ლუხუმიძის ფოტო

*გოგა ხაინდრავას შეხვედრა ვენეციის კომისიის წარმომადგენლებთან.*

გოგა ხაინდრავა აპირებს, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის ცხინვალში დაბრუნებისთანავე შეუდგეს მასთან მოლაპარაკებებს კონფლიქტის ზონაში დემილიტარიზაციის პროცესის განახლების შესახებ. ამავე საკითხზე სასაუბროდ სახელმწიფო მინისტრი მოსკოვში ჩასვლასაც გეგმავს. ხაინდრავას აზრით, დემილიტარიზების პროცესი, თავის მხრივ, რამდენიმე ეტაპად უნდა დაიყოს, რადგან ოსური მხარისთვის ცალმხრივად განიარაღების მოთხოვნით მიმართვა არარეალურია.

რაც შეეხება ეკონომიკურ პროექტებს, გოგა ხაინდრავას თქმით, რამდენიმე კარგი პროგრამა უკვე არსებობს, რომელთა შორისაც აღსანიშნავია ყოფილი სახელმწიფო მინისტრის ჯამბულ ბაკურაძის მიერ მომზადებული დოკუმენტი. ის ცხინვალის რეგიონში საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებას ითვალისწინებს. ვინაიდან სამხრეთ ოსეთი, ძირითადად, აგრარული რეგიონია, ამიტომ, აქ პრიორიტეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნას უნდა მიენიჭოს.

გარდა ამისა, რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციის მიზნით, ხაინდრავას აუცილებლად მიაჩნია ტრანსკავკასიური მაგისტრალის "ლეგალიზება", რაც მის ოფიციალურად ამოქმედებას გულისხმობს. ეს, თავის მხრივ, გამოიწვევს შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნის აუცილებლობას, რაც ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების პრობლემას მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს.

როგორც ცნობილია, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გამოსვლის დროს, პრეზიდენტი სააკაშვილი სამხრეთ ოსეთში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის ინიციატივით გამოვიდა. გოგა ხაინდრავას განცხადებით, ეს საკითხი მხოლოდ იდეის დონეზე არ არის და თეზ-თან დაკავშირებით, მას უკვე სამჯერ ჰქონდა საუბარი ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ალექსანდრე ძასოხოვთან.

სახელმწიფო მინისტრის განმარტებით, თავისუფალ ეკონომიკურ ზონის შექმნა ნავარაუდევია მაგისტრალზე, რომელიც ალაგირის (ჩრდილოეთ ოსეთი) რაიონიდან დაიწყება, სამხრეთ ოსეთს გადაკვეთს და ფოთისა და ბათუმის პორტებამდე გაგრძელდება. ხაინდრავას თქმით, ჩრდილოოსურ კომპანიებს განსაკუთრებული ხელშეწყობის რეჟიმი ექნებათ, დაახლოებით ისეთი, როგორიც, მაგალითად, ყაზბეგის რაიონის მოსახლეობას აქვს გაზით მომარაგების საკითხებში.

**"ეს ჩრდილოეთ ოსეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის, თავისი გარემოცვის გამო, მუდმივად ფორს-მაჟორულ სიტუაციაში იმყოფება. ჩრდილოოსებისთვის ტვირთების გადაზიდვა ძალიან რთული და არც თუ უსაფრთხოა. ამიტომ, თეზ-ის შექმნით, ორი კურდღლის დაჭერა შეიძლება. ჯერ ერთი, ვლადიკავკაზს ექნება უსაფრთხო გზა ყველა მიმართულებით, მათ შორის, ევროპისკენ და მეორე, რაც ჩვენთვის ყველაზე მთავარია: ქართველებსა და ჩრდილოოსებს შორის ნდობის ფაქტორის გაზრდით, სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაჭრა გაცილებით გაიოლდება,"** - აცხადებს ხაინდრავა.

მისივე თქმით, აღნიშნული პროცესების წარმატებით წარმართვაში ძალიან დიდი როლის შესრულება შეუძლია ეუთო-ს მიერ მონიტორინგის განხორციელებას. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის მიერ გამოყოფილი დახმარება (2,5 მილიონი ევრო) სწორედ ეუთო-ს ხაზით "იმოძრავებს". ეს თანხა მოხმარდება მელიორაციისა და გაზიფიკაციის საკითხების გადაწყვეტას. აგრეთვე, ნავარაუდევია რამდენიმე ენერგოობიექტის აღდგენაც.

ამ საკითხებზე სასაუბროდ გოგა ხაინდრავა გუშინ კონფლიქტების პრევენციის ეუთო-ს ცენტრის დირექტორს ლამბერტო ზანიერის შეხვდა.

## მოკლედ

### პრეზიდენტი სააკაშვილი ამერიკელი სენატორების მადლიერია

საქართველოს პრეზიდენტი მადლიერებას გამოხატავს იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც ის და უკრაინის ახლად არჩეული პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე წარადგინეს.

მიხეილ სააკაშვილს მიაჩნია, რომ საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტების ამ საპატიო პრემიაზე წარდგენა ქართველი და უკრაინელი ხალხების, ამ ქვეყნებში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერის ნიშანია.

საქართველოს პრეზიდენტის აზრით, პრემიაზე წარდგენილთა რაოდენობა დიდი იქნება, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება თითოეული კანდიდატის პირადი დამსახურების მიხედვით იქნება მიღებული.

პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებით, პრემიაზე წარდგენის ფაქტი მისთვის, თავისთავად, უკვე დიდი პატივია. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თურქეთის პრემიერ-მინისტრს რეჯიპ ტაიპ ერდოღანს შეხვდა. მათ ორი ქვეყნის ურთიერთობებზე იმსჯელეს. საუბარი საქართველოსა და თურქეთს შორის გამარტივებული რეჟიმის დაწესებასა და სტამბოლის მიმართულებით ყოველდღიური რეისების დაწესებას შეეხო. თურქეთის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობები ყოველდღიურად ღრმავდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე კვიპროსის საგარეო საქმეთა მინისტრი გეორგოს იაკოვუსი მიიღო. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა ნახევარ საათზე მეტხანს გაგრძელდა. ქართული მხრიდან შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი და მისი მოადგილე სალომე სამადაშვილი. მხარეებმა ორ ქვეყანას შორის მომავალი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. შეიქმნება ჯგუფები, რომლებიც ამ თვალსაზრისით იმუშავებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის მოქმედი ვიცე-პრემიერი და, იმავდროულად, საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა აფხაზეთთან დაკავშირებით ევროსაბჭოს ასამბლეაზე პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებებს "არაკორექტულად" აფასებს და თბილისსა და სოხუმს შორის არსებული პრობლემების მოსაგვარებლად იმედს მოლაპარაკებათა განახლებაზე ამყარებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გორის სასწავლო პოლიგონზე რეზერვისტთა მე-11 ბატალიონის სწავლება საზეიმოდ დაიხურა. დახურვამდე კი სწავლების დასკვნითი ეტაპი - საცეცხლე სროლები შედგა, რომელსაც შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი ესწრებოდა. მან რეზერვისტთა მომზადებას მაღალი შეფასება მისცა და განაცხადა, რომ მათ დასახული ამოცანა რეგულარული ჯარის დონეზე შეასრულეს. მე-11 ბატალიონის 350-მდე მოხალისემ სამკვირიანი მომზადება სოფელ ძევერას რეზერვისტთა ბანაკში გაიარა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე რეზერვისტთა სამდღიანი საშტაბოსამეთაურო სამობილიზაციო სწავლებები დაიწყო. თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ვიაჩესლავ ეშბას განცხადებით, "სწავლებების პროცესში განისაზღვრება მობილიზაციისთვის სარეზერვო ქვედანაყოფების, ადგილობრივი ორგანოებისა და სამხედრო კომისარიატების მზადყოფნა." **ინტერ-პრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ისტორია ბევრჯერ მეორდება

*ბაქოდან ახლახან დავბრუნდი. გამოგიტყდებით, ვერც წარმოვიდგენდი, თუ პოსტსაბჭოთა აზერბაიჯანის დედაქალაქი ასე გამშვენიერებული დამიხვდებოდა. ჩემი შთაბეჭდილებები ნაკლებად საინტერესოა, მაგრამ ერთი კი უნდა აღვნიშნო. პირველი შეკითხვა, რასაც განურჩევლად ყველა აზერბაიჯანელი გისვამს, ასეთია: გვიყვარს თუ არა სააკაშვილი. უცხო ქვეყანაში, მთლად უვარგისი თუ არა ხარ, საკუთარი პრეზიდენტის აუგი არ უნდა თქვა და მეც, რასაკვირველია, სააკაშვილის მზეს ვფიცულობდი. ამის შემდეგ ჩვენი მეზობლები მომდევნო კითხვას მაგებებდნენ: გვიყვარს თუ არა ჩვენ, ქართველებს, სომხები? რასაკვირველია, ვხვდებოდი, რომ ეს შეკითხვა ყარაბახის გამოძახილია. ამისდა მიუხედავად, ასე მგონია, რომ არა ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ძალისხმევა, მოსაზღვრე სახელმწიფოების რიგითი მოქალაქეები სხვა პრობლემებით დავინტერესდებოდით.*

ადვილი მისახვედრია, რატომ შევარჩიეთ დავით საღირაშვილის პუბლიკაციებიდან სწორედ ეს წერილი. კავკასიის გაერთიანების იდეა არც დღეს დაბადებულა და არც გუშინ. თუ საქართველო ამ პრობლემას ხელახლა მხოლოდ გასული საუკუნის 90-იან წლებში მიუბრუნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგივეზე მთელი ამ ხნის განმავლობაში არ ფიქრობდა ქართული ემიგრაცია. დავით საღირაშვილის წერილი "კავკასიის ერთობის შესახებ" ("დერ კაუკაზუს", მიუნხენი, 1952 წ.) ამასვე მოწმობს - ევროპიდან კავკასია, როგორც ჩანს, უფრო უკეთ მოჩანდა. დღევანდელი გადმოსახედიდან, როცა, ერთი მხრივ, ექსპერტები კავკასიაში კონფლიქტების ესკალაციას წინასწარმეტყველებენ, მეორე მხრივ კი, კავკასიელი ხალხები ინტერნაციონალიზმსა და გლობალიზმს შორის სხვაობას ველარ ამჩნევენ, ბუნებრივია, საინტერესოა ყველა მოსაზრება, რაც კი ოდესმე ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დავით საღირაშვილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი გახლდათ, თუმცა მათი ეროვნული საკითხებისადმი ცნობილი დამოკიდებულების გამო მან 1927 წელს პარტიის რიგები დატოვა. ადვილი წარმოსადგენია, რა თვალით უყურებდა დ. საღირაშვილი, მეტსახელად "დათა", ამხანაგ სტალინს. საილუსტრაციოდ ერთი ამონარიდის მოხმობაც კმარა მისი მიმართვიდან, რომლის ადრესატიც სტალინია. სხვათა შორის, საბჭოთა ბელადს მან სამი ღია წერილი გაუგზავნა. ეს მიმართვა ასე იწყება: **"დიდო" სტალინ! თუ არ გეწყინება, ნება მომეცი მოგმართო ძველებურად, უბრალოდ სოსო ანუ კობა, რათა სიტყვით "დიდო" კიდევ ერთხელ არ შეურაცხვყო სმენა შენ მიერ დამონებულ მოქალაქეთა. აი, უკვე 30 წელია მას შემდეგ, რაც შენმა ბოროტმა ძალმომრეობამ დამაშორა მე ჩემს სამშობლოს"** და ასე შემდეგ. დავით საღირაშვილის წინამდებარე წერილი საინტერესოა არ იმდენად საკითხის ღრმად განხილვის თვალსაზრისით, რამდენადაც ამ პრობლემის აქტუალურობის მხრივ, მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, ვიდრე დღემდე.



დავით საღირაშილი 1887 წელს თბილისში დაიბადა. 1905 წელს სტუდენტურ მოძრაობას შეუერთდა, 22 წლის ახალგაზრდა კი მოძრაობა "ახალი სპარსეთისათვის" აქტიური წევრი ხდება, რის გამოც იგი გადაასახლეს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ დავით საღირაშვილი მონაწილეობდა მუშათა გაფიცვებში, თანამშრომლობდა არალეგალურ გაზეთთან "ფიქრნი" და... ისევ ციხე და გადასახლება. სასჯელის მოხდის შემდეგ იგი სწავლას განაგრძობს ხარკოვის უნივერსიტეტის ეკონომიკურ და იურიდიულ ფაკულტეტებზე, მაგრამ იქაც რევოლუციურ მოძრაობაში ებმება და ვერც რუსეთში გადაურჩა დაპატიმრებას. 1917 წლის თებერვლის რევოლუციას დავით საღირაშვილი ცარიცინში შეხვდა, სადაც ადგილობრივ რევოლუციურ საბჭოში აირჩიეს. 1918 წელს კი, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, იგი სამშობლოში ბრუნდება და ეროვნული გვარდიის მეთაურის მოადგილედ ინიშნება. იგი იყო საბჭოთა რუსეთსა და დამოუკიდებელ საქართველოს შორის 1920 წელს დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილე. ამ მნიშვნელოვან მოვლენას დავით საღირაშვილი თავის მემუარებში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს. მოგონებებიდან ნათლად ჩანს, როგორ დაარღვიეს ბოლშევიკებმა, სტალინის უშუალო მითითებით, ხსენებული ხელშეკრულება, რასაც შედეგად 1921 წელს საქართველოს ანექსია მოჰყვა. საქართველოს გასაბჭოების პირველსავე დღეებში ბოლშევიკებმა დ. საღირაშვილი დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში დაატუსაღეს. ერთი წლის თავზე კი, სხვებთან ერთად, საქართველოდან გაასახლეს. ემიგრაციაში მან ცოლად შეირთო ფინელი ქალბატონი და ორი შვილი - შოთა და ეთერი შეეძინა (სხვათა შორის, მისმა სიძემ, პროფესიით ისტორიკოსმა, ნაშრომი მუძღვნა ქართველ სოციალ-დემოკრატებს). მიუნხენში იგი ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცემდა გაზეთს "სამშობლოს თავისუფლებისათვის". გერმანია, ავსტრია, იტალია, ესპანეთი, შეერთებული შტატები... საბოლოოდ, შვილებთან ერთად, ამერიკის შეერთებულ შტატებში დასახლდა და იქვე გარდაიცვალა 1962 წელს, სამოცდათხუთმეტი წლის ასაკში. მოგვიანებით საფრანგეთში გადაასვენეს და ლევილის ქართულ სასაფლაოზე დაკრძალეს.

დავით საღირაშვილი

## კავკასიის ერთობის შესახებ

("Der Kaukasus". Munich. 1952)

*(იბეჭდება შემოკლებით, სტილი დაცულია)*

ბევრჯერ თქმულა და ბევრჯერაც დაწერილა კავკასიელი ერების გაერთიანების აუცილებლობაზე. ამ საკითხზე გამოთქვამდნენ აზრს კავკასიის ისეთი გამოჩენილი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ რუსეთის პირველი სახელმწიფო დუმის წევრები - ალი მარდან ბეკ თოფჩიბაში, არწნუნი, ასევე ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე.

ნიკო ნიკოლაძემ პროგრამის პროექტიც კი წარმოადგინა, როგორ ფიქრობდა იგი კავკასიელი ხალხების გაერთიანებას. ჯერ კიდევ 1895 წელს იგი წერდა: "გვსურს თუ არა, ჩვენ ვიყავით და დავრჩებით კიდეც მეზობლებად და ერთად უნდა ვწიოთ მძიმე ჭაპანი. უკვე დროა შევიგნოთ, რადგან სხვაგან წასვლას არც ერთი ჩვენგანი არ აპირებს, ერთადერთი გამოსავალი გვრჩება: მოვილაპარაკოთ, შევთანხმდეთ და საძირკველი ჩავუყაროთ ერთობლივ ცხოვრებას".

მაგრამ კავკასიის ერთობის იდეა იმ ეპოქაში არსებულ პოლიტიკურ მიზეზთა გამო, თავისთავად ცხადია, ოცნებად დარჩა, რადგან კავკასია მეფის რუსეთის ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა. მაშინ არავინ უწევდა ანგარიშს მცირე ერების ნებას და მათ არც არაფერს ეკითხებოდნენ. კავკასია ცნობილი მეთოდებით იყო "გაერთიანებული".

გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესების გამო, კავკასია გამოყოფილი იყო თვალუწვდენელი იმპერიისაგან განსაკუთრებული მმართველობით, რომელსაც სათავეში მეფისნაცვალი ედგა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კავკასია განუყოფელია და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურად ერთ მთლიანს წარმოადგენს.

თუ მაშინ, თითქმის სამოცი წლის წინათ, ნათლად იყო გამოკვეთილი კავკასიის ერთობის აუცილებლობა. დღეს, - ატომური ენერგიის, კოსმოსის დაპყრობის ეპოქაში, როცა ჩვენი პლანეტა ასე დაპატარავდა და ევროპის წინაშე რეალურად დგას ევროპის შტატების შექმნის საკითხი, - არ შეიძლება, კავკასიელი ხალხების ერთობის საკითხმა რაიმე ეჭვი გამოიწვიოს.



*ქართველი ემიგრანტები პარიზში (მარცხნიდან): ნ. ჟორდანია ვ. მგელაძე, პ. აქსელროდი, გ. აიოლო, ი. წერეთელი, ნ. რამიშვილი და დ. საღირაშვილი.*

მაგრამ არა! ჩანს, ეჭვიც არსებობს და წინააღმდეგობაც. მაგრამ ამ ეჭვებს გამოთქვამენ არა თავად კავკასიელი ხალხები, არამედ მათი მოწინააღმდეგენი. ისინი კი ამტკიცებენ:

1. კავკასიელმა ხალხებმა, მიიღეს რა თავისუფლება, ვერ შეთანხმდნენ, ერთმანეთს წაეკიდნენ და მალევე დაიყვნენ ცალკეულ რესპუბლიკებადო;

2. შექმნა რა ამიერკავკასიის ფედერაცია, საბჭოთა ხელისუფლებამ მალევე შეამჩნია, რომ ამ უკანასკნელს დიდ ხნის სიცოცხლე არ ეწერა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კავკასიაში ცალკეული რესპუბლიკები შეექმნა - აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი, ჩრდილოეთი კავკასია კი ავტონომიურ ოლქებად დაჰყო.

მეორე არგუმენტით დავიწყოთ. საქმე ისაა, რომ საბჭოთა აჯაფსანდალში არავითარი რესპუბლიკები არ არსებობს, ყველა ეს "რესპუბლიკა" თუ "ავტონომია" მტკნარი სიცრუეა, რადგან მათ მართავენ არა "მთავრობები", არამედ კომუნისტური პარტია, რომლის ცენტრი მოსკოვში მდებარეობს თანამედროვე "უცოდველი დალაი- ლამას" თავმჯდომარეობით. მას და მის განუხორციელებელ ოცნებას, - კომუნიზმის დროშით დაიპყროს მთელი მსოფლიო, - ყველაფერი ექვემდებარება. როგორ შეიძლება ვილაპარაკოთ ამიერკავკასიის ფედერაციაზე საბჭოთა პირობებში, როცა ამ ქვეყნების საუკეთესო შვილებს საგულდაგულოდ ანადგურებენ და შეუჩერებლად მიმდინარეობს საზოგადოების "წმენდა"? ერთმანეთში შუღლი რომ ჩამოაგდონ, საქათველოში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში ადგილობრივ მოსახლეობას სხვა ეროვნების ჩეკისტები ხვრეტენ. კრემლს ერთადერთი მიზანი ამოძრავებს - როგორმე დაასუსტოს კავკასიელი ხალხების წინააღმდეგობა.

და ასეთ პირობებშიც კი საბჭოთა ხელისუფლებას ამიერკავკასიის ფაქტიური ფედერაციის შენარჩუნება მაინც შეეშინდა. ეს გასაგებიცაა: წვრილი ერთეულების დამორჩილება ხომ უფრო იოლია, ვიდრე რესპუბლიკისა, გინდაც კომუნისტური რესპუბლიკისა. აკი ცდილობდა კიდეც საბჭოთა ხელისუფლება, საქართველოს "რესპუბლიკისაგან" აფხაზეთი და სამეგრელო გამოეყო და ცენტრისთვის დაექვემდებარებინა.

აი, ეს არის ნამდვილი მიზეზი და არა - კრემლის ჩინოსანთა "მტკიცებანი", თითქოს კავკასიის გაერთიანება შეუძლებელია.

შემდგომ: მოაქვთ რა არგუმენტად 1918 წლის კავკასიის სეიმის უუნარობა კავკასიელი ხალხების მართვის საქმეში, აქაც სამართლიანობა გვმართებს. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ კავკასიის სეიმი რუსეთის 117 წლიანი ბატონობის თავზე შეიქმნა. ამ ხნის განმავლობაში ამ ხალხებში ხელოვნურად გააღვივეს შუღლი, განსაკუთრებით სომხებსა და მუსულმანებს შორის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კავკასიის სეიმს მუშაობა ჯერ კიდევ ომის პირობებში მოუხდა

რა გასაკვირია, რომ ასეთ ვითარებაში ახალგაზრდა საერთოკავკასიური ორგანო ვერ იდგებოდა მოწოდების სიმაღლეზე? გავიხსენოთ, ერთიანი გერმანელი ხალხის, საერთო გერმანული კავშირის წარმოშობის ისტორია. დაქუცმაცებული ერის გამთლიანებას ათწლეულები და ბისმარკის რკინის ხელი დასჭირდა. ან რამდენი დრო და ენერგია დაიხარჯა, ვიდრე სამი ერისაგან შვეიცარია შეიქმნებოდა? და აწი რამდენი "სამშობიარო ტკივილის" გადატანა მოუწევს ევროპას ერთიანი სივრცის შესაქმნელად? ამ მტკივნეული შემოქმედებითი პროცესის თვითმხილველნი თავადვე ვართ.

მაინც, რა მოხდა ამიერკავკასიის სეიმის დაშლის შემდეგ? ბალტიისპირეთისა და ფინეთის მსგავსად ცალკეული სახელმწიფოები შეიქმნა. მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ როგორ ძლიერდებოდნენ ცალკეული ქვეყნები, იზრდებოდა გაერთიანების შეგნებაც, ოღონდ ახლა უკვე მკაცრად გააზრებულ საწყისებზე.

ყველა კავკასიურ სახელმწიფოში შეიქმნა სახელმწიფო კომისიები კავკასიელი ხალხების სახელმწიფოებრივი გაერთიანების პრობლემის შესასწავლად. ამ მიმართულებით განსაკუთრებით ენერგიულად მუშაობდა ჩრდილო კავკასიის კავშირი, რომელმაც, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, პირველმა შეიგრძნო საფრთხე ჩრდილოეთიდან.

როგორც ქართული გვარდიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, მინდა დაგარწმუნოთ, რომ გვარდიის მთავარ შტაბში სერიოზულად მსჯელობდნენ კავკასიელთა სამხედრო ძალების გაერთიანების თაობაზე. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დრო ძალზე ცოტა რჩებოდა (როგორც მოგვიანებით დავინახეთ, ქართველებისთვის - 2 წელი და 8 თვე). მესამე ძალა, წითელი არმია, კავკასიაში შეიჭრა და ერთიანი კავკასიის შექმნისათვის წამოწყებული მუშაობა ჩაიშალა.

აი, ასეთი წინააღმდეგობების გამო დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზასაყარზე ვერ მივიღეთ მეორე შვეიცარია უფრო დიდი ტერიტორიითა და მეტი მოსახლეობით. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, მაგრამ გვჯერა, რომ ასე აუცილებლად მოხდება. ამისთვის, არც მეტი, არც ნაკლები, კრემლის დიქტატორი მუშაობს - მან თავადვე მოაქცია საკუთარი თავი იზოლაციაში დანარჩენი მსოფლიოსაგან და სამარესაც თავადვე ითხრის.

საკითხავია, შევძლებთ კი ჩვენ, კავკასიელი ემიგრანტები, ისტორიის ჩარხის წაღმა დატრიალებას? რა თქმა უნდა, ვერ შევძლებთ, ამის ძალა არ შეგვწევს, მაგრამ ჩვენი მხრიდან ყველაფერი უნდა ვიღონოთ.

აქედან გამომდინარე, აუცილებლად მიმაჩნია კავკასიელი ხალხების გაერთიანება კავკასიის ერთ ცენტრალურ ორგანოში. უფრო კონკრეტულად: მოწვეულ უნდა იქნას კავკასიელ ხალხთა საბჭო მოქმედი აღმასრულებელი კომიტეტით. ამ ორგანოს უნდა დაევალოს მიზანშეწონილი და შეთანხმებული მუშაობა პროკავკასიური იდეის გასაღვივებლად. ასევე, უნდა შეიქმნას მემორანდუმი, გაკეთდეს განცხადებები, გაცხოველდეს მიმოწერა. ამ სამუშაოს პარალელურად უნდა დავიწყოთ არა მხოლოდ კავკასიის გაერთიანების საფუძვლების შესწავლა, ასევე უნდა დავსახოთ მისი პრაქტიკულად განხორციელების გზები სხვა ქვეყნების მაგალითების გათვალისწინებით.

თუ ჩვენს ძალებს ამ კეთილშობილური დავალების შესრულებას მოვახმართ, ჩვენი იძულებითი ემიგრაციის გამართლებას შევძლებთ და ვალმოხდილი ვიქნებით მომავალი თაობების წინაშე.

*მასალა მოამზადა*
*სოფიო თოდუამ*



# საზოგადოებრივ სექტორსა და ბიზნესს შორის ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი გაფორმდება

*დღეს სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" გაიმართება ბიზნესისა და საზოგადოებრივი სექტორის ერთობლივი კონფერენცია თემაზე: "სოციალური პასუხისმგებლობა - ბიზნესისა და საზოგადოებრივი სექტორის თანამშრომლობა."*

ინიციატივა მიმართულია საქმიან საზოგადოებაში, სახელისუფლებო სტრუქტურებსა და საზოგადოებრივ წრეებში სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიების საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და მოწინავე როლის წარმოჩენისკენ, აგრეთვე, ბიზნესსა და საზოგადოებრივ სექტორს შორის თანამშრომლობის გზების გამოკვეთისაკენ.

კონფერენციაზე მოხდება კონკრეტული კომპანიების სოციალური პროექტების წარდგენა, განიხილება საზოგადოებრივი და ბიზნეს ორგანიზაციების თანამშრომლობის პერსპექტივები.

კონფერენციაზე გაფორმდება მემორანდუმი - "ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი ბიზნეს სექტორისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობის შესახებ."

მემორანდუმის თანახმად, ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები თანხმდებიან შემდეგ პრინციპებზე:

ითანამშრომლონ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პრიორიტეტების განსაზღვრისათვის; ითანამშრომლონ სოციალური კამპანიებისა და სოციალური პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის, სოციალური ანგარიშგების პრაქტიკის დანერგვისათვის; აწარმოონ სოციალური კამპანია გამჭვირვალედ;

უზრუნველყონ საზოგადოებრივი მონიტორინგი სოციალური კამპანიების ეფექტურობისა და მიზანმიმართულების განსაზღვრისათვის; ითანამშრომლონ სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზაციისთვის ხელშემწყობი საკანონმდებლო ბაზის დასახვეწად.

კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ მსხვილი ბიზნესის, წამყვანი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახელმწიფო სტრუქტურებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

*24 საათი*

# ლეიბორისტები პრივატიზაციის წინააღმდეგ

საქართველოს ლეიბორისტული პარტია ხელისუფლების მაღალჩინოსნებს თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებს და ქვეყანაში მიმდინარე პრივატიზების პროცესის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეაქვს.

როგორც დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ განაცხადა, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაკვეთით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ და სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ ქვეყნის წიაღისეული სიმდიდრეები და შპს "საოკეანო სანაოსნო" საქართველოს კონსტიტუციის უხეში დარღვევით გაყიდეს. მომავალში კი ისინი საერთაშორისო აეროპორტების, ენერგეტიკის და კავშირგაბმულობის ობიექტების კანონდარღვევით გასხვისებას გეგმავენ.

ლეიბორისტები ქვეყანაში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესს ანტიკონსტიტუციურს უწოდებენ და დარწმუნებული არიან, რომ პრივატიზების ავტორების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად დადგება.

"ჟვანია და ბენდუქიძე, პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, ყიდიან იმ ქონებას, რაც ქართველ ხალხს უფალმა უწყალობა. ისინი ამ ქონებას ეპყრობიან ისე, თითქოს მათი ბებიის, ან ბაბუის დანატოვარი იყოს," - განაცხადა ბაღათურიამ.

მისი მტკიცებით, პრივატიზების პროცესში მონაწილე გამყიდველი და მყიდველი კომპანიების უკან ხელისუფლების კორუმპირებული ჩინოვნიკები დგანან და, შესაბამისად, მყიდველებიც და გამყიდველებიც ერთი და იგივე პირები არიან.

*ინტერ-პრესი*

# მე-9 ენერგობლოკი გაითიშა

გუშინ, 13.00 საათზე, თბილსრესის მე-9 ენერგობლოკი, რომელიც "რაოესის" საკუთრებაა, გაჩერდა. "საქართველოს ელექტროსისტემის" ინფორმაციით, ბლოკის გათიშვით სისტემას 200 მეგავატი ელექტროენერგია დააკლდა. ამის გამო, თბილისის ელექტრომომარაგება შეზღუდული იყო 60 მეგავატით.

საღამოს 6 საათისთვის მოხერხდა დედაქალაქის სრული ელექტრომომარაგება. რაც შეეხება რაიონებს, დეფიციტმა 140 მეგავატი ელექტროენერგია შეადგინა.

საინტერესოა, რომ მეცხრე ენერგობლოკის გამორთვის მიზეზებთან დაკავშირებით, თავდაპირველად საკმაოდ ბუნდოვანი ინფორმაცია ვრცელდებოდა და თავიდან ყველა ავარიაზე საუბრობდა, თუმცა საღამოს "თელასი" ბუნებრივი აირის არასაკმარისობაზე ალაპარაკდა.

გუშინ საღამოს გავრცელებული ინფორმაციით, გარდაბნის თბოელექტროსადგურში მე-9 ენერგობლოკის გამორთვა ბუნებრივი აირის დაბალმა წნევამ განაპირობა. ამის შესახებ "ინტერპრესს" დედაქალაქის ელექტროგამანაწილებელ კომპანია "თელასში" აცნობეს.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, ენერგობლოკი ავარიულად არ გამორთულა - აირის დაბალი წნევის გამო იგი სპეციალისტებმა გააჩერეს და დღეს ჩართავენ.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** შვეიცარიის საკურორტო ქალაქ დავოსში ეკონომიკურ ფორუმზე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს დირექტორის ვალტერ ფუსტის შეხვედრაზე გადაწყდა, რომ საქართველო დახმარების სახით 6 მილიონ შვეიცარიულ ფრანკს მიიღებს. ფუსტის განცხადებით, ეს თანხა საქართველოში სიღარიბის დაძლევის პროგრამის განხორციელებაზე დაიხარჯება. მისივე თქმით, შვეიცარია საქართველოს ტურიზმის სფეროში გამოცდილებასაც გაუზიარებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ბრიტიშ პეტროლიუმის" საქართველოს ოფისის მონაცემებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებიდან დღემდე მიწის ნაკვეთების სანაცვლოდ გაცემულმა კომპენსაციებმა 18 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. მათივე ინფორმაციით, მიწის ათობით მესაკუთრესთან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ კომპენსაციები ეკუთვნით ან სათანადო რაოდენობა ვერ მიიღეს, სასამართლო დავები მიმდინარეობს. ამასთან, დეგეგმილია იმ 1.200 ჰექტარი მიწის ნაკვეთის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, სადაც, მშენებლობის გამო, ნარგავების გაჩეხვა გახდა საჭირო. კერძოდ, თითოეულ მოჭრილ ხეზე 1,5 ხე დაირგვება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ყაზახეთი.** ყახაზეთის ქალაქ აქტაუს საერთაშორისო პორტის დირექტორის ჟენის კასიმბეკოვის განცხადებით, ყაზახეთი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით დაინტერესდა და ამ მილსადენით 20 მილიონი ტონა ნავთობის ტრანსპორტირებას აპირებს. მისივე თქმით, კონსულტაციები შესაბამის სტრუქტურებთან უკვე მიმდინარეობს. ყაზახეთის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანით დაინტერესების ფაქტს ადასტურებს "ბი-პი საქართველოს" გენერალური მენეჯერი რიფ დიგინგსიც. მისი ინფორმაციით, ყაზახეთი 2010-2015 წლებში ნავთობის ერთ-ერთი მსხვილი იმპორტიორი ქვეყანა გახდება და მას, ბუნებრივია, მსოფლიო ბაზარზე გასასვლელი დასჭირდება. აქედან გამომდინარე, როგორც დიგინგისი აღნიშნავს, ასეთ გასასვლელად, შესაძლოა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენიც იყოს განხილული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 1 მაისიდან საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სასწრაფო სამედიცინო დახმარება უფასო იქნება. ამის შესახებ გუშინ პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ კოკა ფრუიძემ განაცხადა. ამჟამად მიმდინარეობს სასწრაფო სამედიცინო დახმარების, თითქმის, განადგურებული ინფრასტრუქტურის აღდგენა, რაც აპრილში დასრულდება. განახლდება, ასევე, მანქანების პარკიც. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო "ბიზნესის და პარლამენტის საერთაშორისო ასოციაციების" ევროპულ ქსელს უერთდება. როგორც პრაიმ-ნიუსს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ სალომე სამადაშვილმა აცნობა, ასოციაცია რამდენიმე კვირაში დაიწყებს მუშაობას და იგი საკანონმდებლო ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის ურთიერთობების გამარტივებაზე იზრუნებს. **პრაიმ-ნიუსი**

# რუსთავის მეტალურგიულის ირგვლივ ვნებები მძაფრდება

### უზენაესმა სასამართლომ პროცესი 4 თებერვლისთვის გადადო

თამარ ივანიძე

*რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ირგვლივ ვნებები ისევ მძაფრდება - მას შემდეგ, რაც რუსულმა "ევრაზჰოლდინგმა" და, მასთან ერთად, საქართველოს ხელისუფლებამაც დაადასტურა, რომ რუსული კომპანია ქარხნის პრივატიზაციით ინტერესდება და, საერთოდ, მეტალურგიულისთვის ახალ ინვესტორს ეძებენ, ცხადი გახდა, რომ იტალიელი ინვესტორის პოზიციები მეტალურგიულში საბოლოოდ შესუსტდა. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ საკითხის იურიდიული მხარე, ყოველ შემთხვევაში - ჯერჯერობით, მოგვარებული არ არის.*



*რუსთავის მეტალურგიული კომბინატის თანამშრომლები ქარხნის სახელმწიფოსთვის დაბრუნებას ითხოვენ.*

ინტერპრესი

გუშინ საქართველოს უზენაეს სასამართლოს რუსთავის მეტალურგიული კომბინატის იტალიელი ინვესტორისათვის "არეს ინტერნეიშნლისთვის" ჩამორთმევის საკითხი უნდა განეხილა. პროცესი, ინვესტორის მხარის გამოუცხადებლობის გამო, 4 თებერვლამდე გადაიდო.

სასამართლო პროცესის პარალელურად, უზენაეს სასამართლოს შენობასთან მიმდინარეობდა ქარხნის თანამშრომელთა აქცია, რომლებიც იტალიელი ინვესტორისთვის ქარხნის დაუყოვნებლივ ჩამორთმევას ითხოვდნენ.

აქციის მონაწილეთა განცხადებით, ინვესტორი, ქარხნის ამუშავების ნაცვლად, კომბინატის ტერიტორიაზე კერამიკისა და ხის გადამამუშავებელი საამქროს ამოქმედებას გეგმავს; ამასთან, იტალიური კომპანია კომბინატის დანადგარებს ჯართის სახით ყიდის. კომბინატის თანამშრომელთა მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ისინი საპროტესტო აქციების სახელმწიფო კანცელარიასთან გამართვით იმუქრებოდნენ.

თუ უზენაესი სასამართლო რუსთავის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას ძალაში დატოვებს, ქარხანა სახელმწიფო საკუთრებაში გადავა.

ეს კი უკვე, თავისთავად, იმას ნიშნავს, რომ ქარხანა საპრივატიზაციოდ გამოვა - სავარაუდოდ, მასზე ტენდერი გამოცხადდება. ცხადია, დღეს ნაადრევია ახალი მეპატრონის ზუსტ ვინაობაზე საუბარი, თუმცა ეკონომიკური ლოგიკიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ქარხნის მეპატრონენი ისევ და ისევ რუსები გახდებიან.

# ქართულ ტენდერში დამარცხებულ პინჩუკს "კრივოროჟსტალსაც" ართმევენ

*უკრაინის ახლადარჩეული პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას იწყებს. ერთ-ერთ ასეთ დაპირებას ქვეყნის უდიდესი მეტალურგიული კომბინატის "კრივოროჟსტალის" პრივატიზაციის შედეგების გადახედვა წარმოადგენდა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ კიევის პეჩერის რაიონულმა სასამართლომ უკრაინის სახელმწიფო საკუთრების ფონდს ნება დართო, კომბინატის პრივატიზაციის შედეგები გადაიხედოს.*

დიანა ჩაჩუა

საინტერესო ფაქტია, რომ უკრაინის უდიდესი მეტალურგიული კომბინატი "კრივოროჟსტალი" სწორედ კუჩმას სიძის, იმ ვლადიმერ პინჩუკის კონსორციუმის კუთვნილებაა, რომელიც ქართული "ჭიათურმანგანუმის" და "ვარციხეჰესის" პრივატიზების ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად ითვლებოდა, თუმცა საბოლოოდ, ქართული აქტივები სწორედ იმ "ევრაზჰოლდინგმა" გამოაცალა ხელიდან, რომელიც უკრაინული "კრივოროჟსტალისთვის" ბრძოლაში დამარცხდა.

ქვეყნის დიდი საწარმოების პრივატიზაციის პროცესების გადახედვა უკრაინის ახალმა ხელმძღვანელობამ სწორედ "კრივოროჟსტალიდან" დაიწყო. კიევის სასამართლომ კომბინატის ამჟამინდელ მფლობელს "კრივოროჟსტალის" გასხვისება აუკრძალა და მას აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალება მისცა. სასამართლოს მომდევნო სხდომა 18 თებერვალს გაიმართება.

**"კრივოროჟსტალის" მსგავსი უკრაინული საწარმოები, სადაც თავხედური, დაუფარავი გაქურდვა განხორციელდა, სახელმწიფოს უნდა დაუბრუნდეს. ამის შემდეგ მათ ღია აუქციონზე გავიტანთ,"** - განაცხადა უკრაინის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა იულია ტიმოშენკომ. მისი თქმით, "კრივოროჟსტალის" ამჟამინდელ მფლობელებს პრიორიტეტული უფლება მიეცემათ, ქვეყნის ბიუჯეტში სხვაობის დაფარვის ხარჯზე კომბინატი შეინარჩუნონ. თუმცა, ეს სხვაობა, არც მეტი არც ნაკლები, 800 მილიონ დოლარს შეადგენს.

"კრივოროჟსტალის" გასაყიდი აუქციონი გასული წლის ზაფხულში ჩატარდა, რომელშიც გამარჯვება უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას სიძის, ვლადიმერ პინჩუკის კონსორციუმმა "საინვესტიციო-მეტალურგიულმა კავშირმა" მოიპოვა. კავშირმა ქარხნისთვის 800 მილიონი აშშ დოლარი გადაიხადა. გავრცელებული ინფორმაციით, კონსორციუმის ამერიკელი კონკურენტი ქარხანაში 1,5 მილიარდ დოლარს იხდიდა, თუმცა იმ ეტაპზე კუჩმას სიძობა უფრო წონადი არგუმენტი აღმოჩნდა. საპრივატიზაციო პირობებში უკრაინის ბაზარზე მოღვაწეობის სამწლიანი გამოცდილება ჩაიდო, რამაც კონკურსს ყველა სერიოზული კონკურენტი ჩამოაცილა.

ჯერჯერობით უცნობია, კონკრეტულად რა ბედი ელის "კრივოროჟსტალს" მომავალში, თუმცა ექსპერტები ვარაუდობენ, რომ თუ მასზე კონკურსი თავიდან გამოცხადდა, საწყისი ფასი 1 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბებს.

# "მწვანე დერეფანი" - სარფის საბაჟოზე

თურქეთის საბაჟოს გენერალური სამდივნოს დეპარტამენტის დელეგაციის სამდღიანი ვიზიტი საქართველოში დასრულდა. ვიზიტის ფარგლებში, თურქეთის რესპუბლიკისა და საქართველოს საბაჟო სამსახურების ხელმძღვანელებმა რიზა თუნა თურაგაიმ და გიორგი გოდაბრელიძემ მხარეთა შორის ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე სარფში შეთანხმება გააფორმეს.

მოლაპარაკებებზე თურქეთის საბაჟოს წარმომადგენლებმა ქართველ კოლეგებს გააცნეს სარფის სასაზღვრო-საბაჟო გამშვები პუნქტის რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის, ასევე ორი ქვეყნის სახელმწიფო საზღვრის სარფის ნეიტრალურ ტერიტორიაზე სავაჭრო ცენტრის მშენებლობის ინიციატივები.

საქართველოსა და თურქეთის საბაჟო სამსახურების წარმომადგენელთა შეხვედრებზე იმსჯელეს საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ ერთობლივი მონიტორინგის აუცილებლობაზეც, რისთვისაც საბაჟო სამსახურებს შორის მუდმივად გაიცვლება ოპერატიული ინფორმაცია. სარფში მიღწეული შეთანხმების თანახმად, მიმდინარე წლის ივნისში თურქეთის მხარე საქართველოს საბაჟო სისტემის მოხელეთა სასწავლო სემინარს ორგანიზებას გაუკეთებს.

საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის გიორგი გოდაბრელიძის განცხადებით კი, სარფის მონაკვეთზე ე.წ. "მწვანე დერეფნის" ამოქმედება საბაჟო პროცედურების სრულყოფასა და მიმოსვლის რეჟიმის გამარტივებას ხელს შეუწყობს.

როგორც ცნობილია, საქართველომ უკვე გახსნა მწვანე დერეფანი თურქეთთან და ამჟამად უკვე გადაწყვეტილება თირქული მხარის მისაღებია.

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე გუშინ დავოსშიც მსჯელობდნენ საქართველოს და თურქეთის პირველი პირები, სადაც პროცესის დაჩქარება გადაწყდა. აქვე გახდა ნობილი იმის თაობაზე, რომ უახლოეს პერიოდში თბილისიდან და ბათუმიდან სტამბულში პირდაპირი რეისი გაიხსნება, რომლის ფასი ერთი მიმართულებით 80 აშშ დოლარზე მეტი არ იქნება.

*24 საათი*

# გაზრდილი კონკურენცია ევროპელებს ოფშორებისკენ უბიძგებს

*ოფშორული კომპანიების აქტიურობა საქართველოში უკვე აღარავისთვის არის სიახლე. ქართულ პრივატიზაციაში თუნდაც ბოლო დღეებში მონაწილე კომპანიათა დიდი ნაწილი სწორედ ოფშორულ კუნძულებზე გახლდათ რეგისტრირებული. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი წარმოშობა კომპანიებისადმი ნდობას ნამდვილად არ ზრდის, ფაქტია, რომ მსოფლიოს მასშტაბით სულ უფრო და უფრო მეტი კომპანია მიისწრაფის ოფშორებისკენ, რათა გაზრდილი კონკურენციის პირობებში თავის გადარჩენა შეძლოს.*

დიანა ჩაჩუა

"დიდი ექვსეულის" ერთ-ერთი აუდიტორი კომპანიის "PricewaterhouseCoopers"-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ევროპული კომპანიების გამოკითხული ხელმძღვანელების 25-მა პროცენტმა საკუთარი წარმოების გარკვეული ნაწილი ოფშორულ ზონებში გაიტანა, კიდევ 12 პროცენტმა კი განაცხადა, რომ ამას უახლოეს მომავალში გეგმავს. აღნიშნული მონაცემი ევროპაში გაცილებით დაბალია, ვიდრე ლათინურ ამერიკაში და აზიაში, თუმცა გაცილებით მაღალია, ვიდრე აშშ-ში, სადაც ერთ-ერთი კვლევის თანახმად, გამოკითხულთა მხოლოდ 21 პროცენტი საქმიანობს ოფშორულ ზონებში.

ევროპელების ამ გადაწყვეტილებას სპეციალისტები გაგებით ეკიდებიან. ოფშორულ ზონებში ხომ საგადასახადო წნეხი ნაკლებია, რაც კომპანიებს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საშუალებას აძლევს. ეს, თავის მხრივ, მათ კონკურენტუნარიანობას ზრდის.

საერთოდ კი, ევროპული კომპანიების ხელმძღვანელობა 2005 წელს საკუთარი ბიზნესის პერსპექტივებთან დაკავშირებით ძალიან პესიმისტურად არის განწყობილი. ასეთია, "PricewaterhouseCoopers"-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. ევროპელებს შემდეგი პრობლემები აქვთ: ბიზნესის რეგულირება და ნაციონალურ ვალუტასთან დაკავშირებული პროცესები.

"PricewaterhouseCoopers"-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის ყველა მონაწილე ბიზნესმენი ერთსულოვნად აცხადებს, რომ 2004 წელი მათი საქმიანობისთვის წარმატებული გამოდგა, თუმცა მიმდინარე წლის შესახებ საუბრისას, საკუთარ წარმატებებში ეჭვი ეპარებათ.

ევროპელების პესიმიზმს კონსალტინგური კომპანიის სპეციალისტები ბოლო დროს ევროპულ ეკონომიკაში გაჩენილ სირთულეებს მიაწერენ. ყველასთვის ცნობილი ფაქტია, რომ უკანასკნელ წლებში დოლარის კურსი ევროს მიმართებაში სტაბილურად ეცემოდა, რაც ხელს უწყობდა ევროპაში წარმოებული საქონლის კონკურენტუნარიანობის დაცემას არაევროპულ ბაზრებზე. დღეს ასეთი ბაზრები ამერიკაში და აღმოსავლეთ აზიაში წარმოებულ პროდუქციას წარმატებით აქვს დაპყრობილი. "PricewaterhouseCoopers"-ის გამოკითხვის თანახმად, უკვე მეორე წელია, რაც ევროპული კომპანიების ხელმძღვანელები ბიზნესის გადაჭარბებულ რეგულირებას მათი საქმიანობის გაფართოებისთვის ხელისშემშლელ ფაქტორად ასახელებენ. ამასთან, ასეთი შეხედულება არა მარტო ევროპელი მწარმოებლებისთვის არის დამახასიათებელი. აშშ-ს და ლათინური ამერიკის კომპანიების ხელმძღვანელებიც ბიზნესის ზედმეტ რეგულირებას დიდ საფრთხედ მიიჩნევენ. მსგავს შეხედულებებს არც რუსი ბიზნესმენები არიან მოკლებული. პრემიერ-მინისტრ მიხაილ ფრადკოვთან ერთ-ერთ უკანასკნელ შეხვედრაზე რუსმა ბიზნესმენებმა მთავრობა ბიზნესში ზედმეტად ჩარევაში დაადანაშაულეს.

ევროპული კომპანიების ხელმძღვანელების კიდევ ერთ პრობლემას ნავთობზე ფასების ზრდა და საფონდო ბაზრის არასტაბილურობა წარმოადგენს.

ცნობისათვის, "PricewaterhouseCoopers"-ის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში ევროპის 17 ქვეყნის 400 კომპანიის ხელმძღვანელი მონაწილეობდა, კერძოდ კი - ბულგარეთიდან, ჩეხეთიდან, დანიიდან, ესტონეთიდან, ფინეთიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, საბერძნეთიდან, უნგრეთიდან, იტალიიდან, ირლანდიიდან, პოლონეთიდან, ესპანეთიდან, შვედეთიდან, შვეიცარიიდან, თურქეთიდან და დიდი ბრიტანეთიდან.

# ერაყი არჩევნებისთვის მზადაა

პირველი გვერდიდან

როგორც ჩანს, საარჩევნო ბიულეტენი საინტერესო, ნახატებიან წიგნს დაემსგავსება. საარჩევნო უბნებში სამი ათას ტონა საჭირო მოწყობილობას (საარჩევნო ყუთებს, ბიულეტენებს, ხმის მისაცემ კაბინებს) ვერტმფრენებით ჩაიტანენ, რადგანაც სახმელეთო გზა საკმაოდ საშიშია. საარჩევნო უბნების ადგილმდებარეობა, ჯერჯერობით, უცნობია და სახელმწიფო საიდუმლოს წარმოადგენს. 250 ათასი მოხალისე, ყველაზე კონფლიქტურ პროვინციებში სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად, საარჩევნო პროცესის დასაკვირვებლად, ფარულად იქნა მომზადებული. 30 იანვარს ამერიკელ სამხედროთა რიცხვი ერაყში დაახლოებით 150 ათას კაცზე მეტს მიაღწევს. ერაყის სამხედრო დანაყოფებში ასობით ამერიკელი მრჩეველი წარიგზავნება. "ჩვენ უნდა აღვჭურვოთ ჩვენი პოლიცია და არმია ახალი, თანამედროვე იარაღით, რომელიც მათ ქვეყნის დაცვის საშუალებას მისცემს," - განაცხადა ერაყის პრემიერ-მინისტრმა.

დღემდე ყველა ეჭვქვეშ აყენებდა ამ არჩევნების დათქმულ დროზე ჩატარების შესაძლებლობას. ერაყში მდგომარეობა დღითიდღე იძაბება. პრემიერ-მინისტრი აიად ალავი სუნიტების მხრიდან არჩევნების ბოიკოტირების თავიდან აცილების მიზნით, უკანასკნელ ზომებს მიმართავს. "დემოკრატია ძალიან მნიშვნელოვანია დღევანდელ ერაყში და არჩევნების ბოიკოტირება დაუშვებელია. მხოლოდ მათი წყალობით ეყოლება ჩვენს ქვეყანას როგორც კარგი არმია, ასევე უზრუნველყოფილი საზოგადოება," - განაცხადა ერაყის პრემიერ-მინისტრმა. სუნიტები ერაყის მოსახლეობის 35 პროცენტს შეადგენენ, ხოლო შიიტები - 60 პროცენტს. ამ ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის დიდი ხანია, რაც დაპირისპირება არსებობს, რამაც წინასაარჩევნო პერიოდში პიკს მიაღწია. შიიტები ერაყის არსებობის პირველივე წლებიდან, სუნიტთა უმცირესობის არასამართლიან გავლენას განიცდიან. მათ სურთ, ხელიდან არ გაუშვან სამართლიანობის დამყარების შესაძლებლობა. ამ ეთნიკურ ჯგუფს აშშ უმაგრებს ზურგს, რომელსაც არ სურს, გამარჯვება დაუთმოს ისლამ-სადამურ მოძრაობას. სუნიტები ერაყის საზოგადოების იმ რელიგიურ ჯგუფს წარმოადგენს, რომელიც "ალ-ქაიდას" მიმართ სიმპათიით არის განმსჭვალული. სწორედ მათ მოუწოდებს აზზარქავი არჩევნების ჩაშლისა და მათში მონაწილეობის მიმღებთა, შიიტებზე თავდასხმისაკენ. ეს არჩევნების ლეგიტიმურობას საფრთხეს უქმნის. სუნიტები 30 იანვარის არჩევნების ნახევარი წლით გადატანას მოითხოვდნენ. ვინაიდან ერაყის მთავრობამ მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, სუნიტთა ლიდერებმა ხელისუფლებას ბრალი ეთნიკური უმცირესობის დისკრედიტაციაში დასდეს. ზოგიერთი სუნიტური პარტია კი წინასაარჩევნო რბოლიდან საერთოდ გამოვიდა და თავის მომხრეებს არჩევნების ბოიკოტირებისკენ მოუწოდა. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის მოსახლეობის მესამედი შეგნებულად იტყვის უარს არჩევნებში მონაწილეობაზე, ეს კატასტროფის ტოლფასი იქნება.

"აშკარაა, რომ ქვეყანაში არსებული ძალადობისა და ტერორის ფონზე, არჩევნები ყველა რეგიონში ვერ ჩატარდება, მაგრამ ასეთი რეგიონები არც ისე ბევრია და დიდი," - განაცხადა აიად ალავიმ. აშკარაა, რომ ბოლო პერიოდში ექსტრემისტები განსაკუთრებით გააქტიურდნენ. მათი ამჟამინდელი მიზანი არა მარტო ერაყიდან უცხო ქვეყნების ჯარების გაყვანა, არამედ თავისუფალი არჩევნების ჩაშლაცაა. ტერაქტები თითქმის ყოველ დღე ხდება. ისმის ახალი მუქარებიც. ერთ-ერთ ისლამურ ინტერნეტგვერდზე ბოევიკებმა მორიგი განცხადება განათავსეს, სადაც ნათქვამია, რომ არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებთან სნაიპერები იმოქმედებენ და ნებისმიერი ადამიანი ვინც 30 იანვარს არჩევნებზე წავა, სიცოცხლეს საფრთხეში ჩაიგდებს. 25 იანვარს კი ერაყის დედაქალაქის ქუჩებში ექსტერმისტების ფურცლები გაჩნდა. ისინი ამომრჩეველთა და მათი ოჯახების წინააღმდეგ მუქარითაა აღსავსე. "ჩვენ გავამზადეთ დანაღმული მანქანები, რაკეტები, ყუმბარმტყორცნები და დავნაღმეთ საარჩევნო უბნებისკენ მიმავალი ყველა გზა," - წერია ფურცლებზე. ტერორისტები ასევე აფრთხილებენ ყველა ერაყელს, არ მიუახლოვდნენ საარჩევნო უბნებს 500 მეტრის მანძილზე. ერაყის მთავრობა უსაფრთხოების დაცვის მკაცრ ზომებს მიმართავს. კერძოდ, 29-30 იანვარს ბაღდადის საერთაშორისო აეროპორტი დაიხურება. ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა, ფალაჰ ან-ნაკიმმა განაცხადა, რომ საღამოს 7 საათიდან დილის 6 საათამდე კომენდანტის საათი იქნება შემოღებული. ქალაქებში პოლიციის დამატებითი ძალები და ნაციონალური გვარდიის დანაყოფები განთავსდება. შეიზღუდება ავტომობილთა მოძრაობა. ამომრჩეველთა თავდაცვის მიზნით, საარჩევნო ოლქების გარშემო განთავსდება საგუშაგოები.

ერაყში არსებული მდგომარეობის მიხედვით, დროებითი მთავრობის მხრიდან უკიდურესი უსაფრთხოების ზომების მიღება მისაღებია. თუმცა, არჩევნების ჩატარების შედეგად, ქვეყანაში მშვიდობის დამყარებაზე საუბარი ჯერნაადრევია. იმედია, რომ ეს არჩევნები არც ისე დიდი, მაგრამ წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყნის დემოკრატიზაციისა და მშვიდობის დამყარების გზაზე. არსებულ მდგომარეობაში საკმაოდ ძნელი იქნება, ისეთი კონსტიტუციის შექმნა, რომელიც ყველა მხარის ინტერესებს დააკმაყოფილებს. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, არჩევნები ერაყის ხელისუფლების მოქმედების ლეგალიზაციას მოახდენს. ამიტომ, იმის მიუხედავად, რომ ეს არჩევნები სრულფასოვანი ვერ იქნება, ისინი მაინც უნდა ჩატარდეს.

## ორი სიტყვით

**შვეიცარია.** შვეიცარიის საკურორტო ქალაქ დავოსში გამართულ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, ეკოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე მდგრად ქვეყნებად ჩრდილოეთ ევროპის სახელმწიფოები აღიარეს. მონაცემებს აღნიშნულთან დაკავშირებით, ფორუმზე წარმოდგენილ იელისა და კოლუმბიის უნივერსიტეტების ამერიკელ ექსპერტთა კვლევები შეიცავს. მოხსენებაში, რომელიც 146 ქვეყანას მოიცავს, ეკოლოგიური მდგრადობის მიხედვით პირველ ადგილს ფინეთი იკავებს, მას მოჰყვება ნორვეგია, ურუგვაი, შვედეთი და ისლანდია. კვლევა 21 კრიტერიუმის დაცვით ჩატარდა, რომელთა შორის უმთავრესი გარემოს დაცვის ხარისხის შეფასება იყო. სპეციალისტთა განცხადებით, ეს ქვეყნები წარმატებით ახერხებენ ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის ახალი ტექნოლოგიების განვითარებასთან შეთავსებას. აღნიშნულ კვლევაში 33-ე ადგილს იკავებს რუსეთი, 45-ე ადგილზეა აშშ, ხოლო დიდი ბრიტანეთი 66-ე ადგილზეა წარმოდგენილი. ყველაზე ცუდი ეკოლოგიური ვითარების მქონე ქვეყნებად ჩრდილოეთი კორეა, ერაყი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ჰაიტი და სუდანი დასახელდა. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**აშშ.** სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე დამტკიცების შემდეგ კონდოლიზა რაისმა მომავალ გეგმებზე ისაუბრა. მისი თქმით, მსოფლიო მასშტაბით დემოკრატიის გავრცელება მხოლოდ და მხოლოდ დიპლომატიის მეშვეობით მოხდება, ხოლო ოფიციალური ვიზიტით, პირველ რიგში, ისრაელსა და ევროპის რვა სახელმწიფოს, დიდ ბრიტანეთს საფრანგეთს, გერმანიას, პოლონეთს, თურქეთს, იტალიას, ბელგიასა და ლუქსემბრუგს ეწვევა. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის რიჩარდ ბაუჩერის თქმით, კონდოლიზა რაისის აღნიშნული ვიზიტის მიზანი 22 თებერვალს, ამავე ქვეყნებში ჯორჯ ბუშის დაგეგმილი ვიზიტისათვის ნიადაგის მომზადებაა, კონკრეტულად კი, საგარეოპოლიტიკურ კურსთა დაახლოება, რომელთა გაუცხოებაც 2 წლის წინ ერაყის ომის დაწყების დროს მოხდა. **24 საათი**

■ ■ ■

**რუსეთი.** ვლადიმირ პუტინის თქმით, რუსეთი მზადაა ნატო-სთან თანამშრომლობის ახალი ეტაპისათვის, რაშიც სამხედრო და სამხედრო-ტექნიკურ სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავება იგულისხმება. რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით, ტექნოგენური კატასტროფებისა და სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციაში რუსეთისა და ნატო-ს სამხედრო-ოპერატიული ძალების ერთობლივი მოქმედების გეგმების შემუშავება იგეგმება. ნატო-რუსეთის ურთიერთობების ზოგადად დადებითად შეფასების მიუხედავად, როგორც ჩანს, რუსეთის პრეზიდენტი ჩრდილოატლანტიკურ კავშირთან თანამშრომლობის ჰარმონიზაციას დიდად არ ესწრაფვის. "აუცილებელია ნატო-სთან ურთიერთობების აწყობა იმ ტრანსფორმაციის გათვალისწინებით, რასაც ალიანსი განიცდის. ცალსახაა, რომ ჯერჯერობით შეუძლებელია ნატო-სა და რუსეთის პოზიციების სრული თანხვედრა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ნატო-ს გაფართოებას არ აქვს არგუმენტირებული გამართლება", - აღნიშნა პუტინმა. **24 საათი**

■ ■ ■

**უკრაინა.** "მომავალ კვირაში ღონღაძის გვამს საერთაშორისო ექსპერტიზა ჩაუტარდება", - განაცხადა უკრაინის გენერალურმა პროკურორმა სვიატოსლავ პისკუნმა. მისი სიტყვებით, ექსპერტიზა შვეიცარიაში ან გერმანიაში ჩატარდება. უცხოელი სპეციალისტების გარდა, მასში ორგანიზაციის "რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" წარმომადგენლები და უკრაინელი ექიმ-ექსპერტები მიიღებენ მონაწილეობას. შეგახსენებთ, წარმოშობით ქართველი ჟურნალისტის ბურუსით მოცული მკვლელობის შესახებ ხელახალი გამოძიების დაწყება უკრაინის ახალ პრეზიდენტს რამდენიმე დღის წინ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გამოსვლისას შეახსენეს. მაშინ იუშენკომ პირობა დადო, რომ ამ დანაშაულის გამოძიება აუცილებლად დასრულდება და ორი თვის შემდეგ მკვლელობაში ეჭვმიტანილები სასამართლოს წინაშე წარდგებიან. **რია-ნოვოსტი**



# შპს "საქართველოს რკინიგზა" მის ბალანსზე რიცხული გამოუყენებელი არასაცხოვრებელი ფართების დროებით სარგებლობაში გაცემის მიზნით

## აცხადებს კონკურსს

**ინფორმაცია იჯარით გასაცემი ქონების შესახებ:**

1. ზესტაფონის სადგურის შენობა (ყოფილი რესტორანი), საიჯარო ფართი შეადგენს 40 კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 29.20 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 64.00 ლარს.

2. სადგური ქუთაისი I, ვაგზლის შენობის 1-ლი სართულის არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 14 კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 16.10 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 36.00 ლარს.

3. სადგურ რუსთავის ეცე-ს შენობის I-ლი სართულის არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 26კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა შეადგენს 22.10 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 49.00 ლარს.

4. სადგური ჯუმათის ყოფილი საბარგო განყოფილების არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 9 კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 6.57 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 15.00 ლარს.

5. რუსთავი-სამგზავროს ვაგზლის შენობის არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 3 კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 2.55 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში ერთ კვმ. ფართზე. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 6.00 ლარს.

6. შპს "საქართველოს რკინიგზის" გამოთვლითი ცენტრის შენობის არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 23,9 კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 56.17 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 123.00 ლარს.

7. ახალციხის სადგურის შენობის (სარდაფი) არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 15 კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 8.75 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 20.00 ლარს.

8. სადგური ორპირი, მაღაზია N71 -ის არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 30 კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 21.90 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 48.00 ლარს.

9. სადგურ სენაკის შენობის არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 4 კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 2.92 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 7.00 ლარს.

10. მეტროპოლიტენის ადმინისტრაციულ შენობაში (ვაგზლის მოედანი N2)არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 26 კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 61.10 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 134.00 ლარს.

11. სამტრედიის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანცია, ლაზი ატეესის შენობის არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 20 კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 14.60 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 32.00 ლარს.

12. სადგურ მცხეთის შენობის არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 18 კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 13.14 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 29.00 ლარს.

13. სამტრედიის ტერიტორიული სამმართველოს შენობის არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 8 კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 9.20 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 20.00 ლარს.

14. სამტრედიის ტერიტორიული სამმართველოს შენობის არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 12.9კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 14.84 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 33.00 ლარს.

15. სამტრედიის ტერიტორიული სამმართველოს შენობის არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 20.8კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 23.92 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 53.00 ლარს.

16. სამტრედიის ტერიტორიული სამმართველოს შენობის არასაცხოვრებელი ფართი და ექოსკოპიის აპარატი. საიჯარო ფართი შეადგენს 17.2 კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 19.78 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. ექოსკოპიის აპარატის საწყისი საიჯარო ქირა თვეში 150 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 371.00 ლარს.

17. მეტროპოლიტენის ადმინისტრაციული შენობის (ვაგზლის მოედანი N2) არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 10კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 23.50 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 52.00 ლარს.

18. მეტროპოლიტენის ადმინისტრაციული შენობის (ვაგზლის მოედანი N2) არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 10 კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 23.50 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 52.00 ლარს.

19. სადგურ ინგირის ვაგზლის შენობის არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 10 კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 7.30 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 16.00 ლარს.

20. სადგურ ინგირის ვაგზლის შენობის არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 5.25 კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 3.83 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 9.00 ლარს.

21. ვაგზალი თბილისი-საკვანძოს შენობის არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 20 კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 38.00 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 83.00 ლარს.

22. ვაგზალი თბილისი-საკვანძოს შენობის არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 20 კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 38.00 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 83.00 ლარს.

23. მეტროპოლიტენის ადმინისტრაციული შენობის (ვაგზლის მოედანი N2) არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 22 კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 51.70 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 113.00 ლარს.

24. სამტრედიის ტერიტორიული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 22.7 კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 26.11 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 57.00 ლარს.

25. სადგურ რიონის ვაგზლის შენობის არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 16 კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 11.68 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 26.00 ლარს.

26. სადგურ ლანჩხუთის ვაგზლის შენობის არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 20 კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 14.60 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 32.00 ლარს.

27. სამტრედიის ტერიტორიული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 8 კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 19.20 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 20.00 ლარს.

28. სამტრედიის ტერიტორიული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ფართი შეადგენს 12 კვმ.-ს საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 13.80 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. "ბე-ს" ოდენობა შეადგენს 31.00 ლარს.

**საკონკურსო პირობები:**

იჯარის მინიმალური ვადა 2 წელი, მაქსიმალური ვადა 5 წელი;

მოიჯარის მიერ აღებულ ფართზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება;

ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარული ნორმების დაცვა;

ხელშეკრულების მოშლის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის N1-1/209 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ" დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომა.

მოიჯარე, 6 თვეში ერთხელ, შპს "საქართველოს რკინიგზას" წარუდგენს ანგარიშს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე;

***კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:***

1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს "მოიჯარის" თანხმობა გამოცხადებული პირობების შესრულებაზე და კონკრეტული თანხა, რომელიც არ შეიძლება იყოს გამოცხადებულ საწყის წლიურ ქირაზე ნაკლები;

2. მოიჯარის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ;

3. "ბე-ს" გადახდის ქვითარი, რომელიც გადაიხდება შპს "საქართველოს რკინიგზის" საანგარიშსწორებო ანგარიშზე: ბანკი რესპუბლიკა ცენტრალური ფილიალი ა/ა N3407003205 ბანკის კოდი N220101757 საიდენტიფიკაციო კოდი N202886010;

4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

5. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

6. იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს;

კომუნალურ გადასახადებს იხდის მოიჯარე;

საკონკურსო კომისიის ზონარგაყრილ წიგნში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს;

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს;

განმცხადებელმა განაცხადის ფორმაში უნდა მიუთითოს თუ რა ვადით სურს ფართის იჯარით აღება (არანაკლებ 2 წლის და არაუმეტეს 5 წლის ვადით).

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და მაქსიმალური საიჯარო ქირის გადახდა;

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადები მიიღება კონკურსის ჩატარებამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში 10-სთ-დან 17 სთ-მდე, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15 შპს "საქართველოს რკინიგზის", ადმინისტრაციული შენობა, ტელ. 565318

კონკურსი ჩატარდება 2005 წლის 1 მარტს 12 სთ.-ზე შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციულ შენობაში;

მონაწილეს და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას;

კონკურსის შედეგები ცხადდება კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში;

ოქმი მტკიცდება კონკურსის ჩატარებიდან 10 დღის განმავლობაში;

ოქმის დამტკიცების მომენტიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული ვალდებული გააფორმოს საიჯარო ხელშეკრულება წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურსის შედეგები გაუქმდება და "ბე" არ დაუბრუნდება;

მოიჯარეს გადახდილი "ბე" ჩაეთვლება ბოლო თვის საიჯარო გადასახადში იმ დროისათვის არსებული კურსის შესაბამისად;

საიჯარო ხელშეკრულების სანოტარო დამოწმების და აუცილებელი საბუთების წარმოდგენის ხარჯებს იხდის კონკურსში გამარჯვებული.

შენიშვნა: საიჯარო ქირა მოცემულია დღგ-ს გარეშე.

# საიდუმლო შეხვედრა "აჭარაში"

*თითქმის ორი კვირაა, სასტუმრო "აჭარაში" დარჩენილ დევნილთა თერთმეტ ოჯახს, მათ შორის მცირეწლოვან ბავშვებს, უსინათლო მოხუცსა და აფხაზეთის ბრძოლებში ცალი ფეხის დამკარგავ ახალგაზრდა კაცს სასტუმროს ადმინისტრაცია, ინვესტორთან შეთანხმებით, შუქსა და სასმელ წყალს არ აწვდის. დევნილები, უშუქობის გამო, ვერ სარგებლობენ ლიფტით და წყლის ატანაც მამაპაპურად - ვედროებით და სხვა ჭურჭლით უხდებათ.*

ლელა მარგიანი

**"მე მარტოხელა ვარ. და, სიძე, დედა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი - ოჯახის ხუთი წევრი აფხაზეთში ჩამიხოცეს. ცოცხალი ძლივს გამოვედი. სასტუმროში ძმის ოჯახთან ერთად ერთ ოთახში ვცხოვრობდი. შემოწმებაზე მოსულებს უკვირდათ, როგორ შეიძლება დაძმა ერთ ოთახში ცხოვრობდესო?! ამიტომ ვიყავი მეც იმ ლტოლვილების სიაში, ვინც უნდა გაფართოებულიყო. ამისთვის, როცა თბილისელების (სამოქალაქო ომის დროს დაზარალებულთა) ოჯახები სასტუმროს დატოვებდნენ, ჩვენთვის ერთ სართულზე ოთახები უნდა გადმოეცათ, მაგრამ მერე დაპირება აღარ შეასრულეს - თბილისელები გვიან გაიყვანეს, რომ ჩვენთვის ცალკე ოთახები აღარ გადმოეცათ. ამიტომ აღმოვჩნდით უკიდურესად გაჭირვებული რამდენიმე ოჯახი ასეთ სიტუაციაში. მერე მერიის წარმომადგენელი ომარ აბულაძე დაგვპირდა, რომ ჩვენ - "ფართის ხალხს" მანამდე არ გვახლებდნენ ხელს, ვიდრე არ დაგვაკმაყოფილებდნენ. ახლა აღმოჩნდა, რომ მოგვატყუეს. 15 იანვრიდან შუქი და წყალი "გადაგვიჭრეს", გვაიძულებენ, სასტუმრო დავტოვოთ. მე არსად არ მაქვს წასასვლელი. რომ გამიშვან, ფანჯრიდან გადავხტები და დავიწერ, რომ საქართველომ ეს გამიკეთა",** - ამბობს სასტუმრო "აჭარაში" მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი ნინელი მიქელაძე.

მას და სასტუმროში დარჩენილ სხვა ოჯახებს გუშინ "შინაურული" შეხვედრა უნდა ჰქონოდათ მერიის და ინვესტორი კომპანიის წარმომადგენლებთან. შეხვედრა იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ სასტუმროში მისულებს ადმინისტრაციის წარმომადგენელმა დოდო სანაიამ მისი არსებობა დაგვიმალა. მოგვიანებით თავად დევნილებისგან შევიტყვეთ, რომ შეხვედრა მეხუთე სართულზე, სწორედ ქალბატონი დოდოს ერთ-ერთ ოთახში მიმდინარეობდა (სხვა სართულების მსგავსად, ამ სართულზე შუქიც არის და წყალიც, მხოლოდ სასტუმროს მეექვსე სართულია ჩაბნელებული, რადგან იქ დევნილები ცხოვრობენ).

მეხუთე სართულზე კიბით ვერ აღმოვჩნდებოდით, რადგან ქალბატონ დოდოს თავის სართულზე შესასვლელი რკინის კარები საგულდაგულოდ ჰქონდა ჩარაზული და, მიუხედავად კარებზე ატეხილი ხმაურისა, არ აღებდა. მერიის წარმომადგენლებთან შეხვედრის მოსურნე დევნილები იძულებული გახდნენ, ექვსი სართული ფეხით ჩაევლოთ და შეხვედრაზე მოხვედრილიყვნენ ლიფტის საშუალებით, რომელიც მხოლოდ მეხუთე და მეშვიდე სართულზე ჩერდება. იმედი აქაც გაუცრუვდათ - მერიის წარმომადგენლები: ბატონი ომარ აბულაძე და სპეციალურად შექმნილი კომისიის თავმჯდომარე ზურაბ კიკალეიშვილი იქ აღარ დახვდნენ. ქალბატონ დოდოს ოთახში მხოლოდ ინვესტორი ფირმის წარმომადგენელი ლაშა ბაქრაძე იმყოფებოდა. დევნილებს ნაკლებად სურდათ ინვესტორის წარმომადგენელთან შეხვედრა, რადგან მიაჩნდათ, რომ მათ წინაშე ანგარიშვალდებული მერია იყო.

**"ჩვენ ინვესტორთან და სასტუმროს ადმინისტრაციასთან არანაირი პრეტენზია არ გვაქვს. ჩვენ პასუხს ვითხოვთ იმ ხალხისგან, ვინც ჩვენ უშუალოდ შეგვპირდა, არა კომპენსაციის - ათასი დოლარის მოცემას, რასაც ახლა ინვესტორი გვეუბნება, არამედ საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას. აქ უკიდურესად გაჭირვებულები ვართ დარჩენილები, თორემ ამ პირობებში ადამიანი როგორ იცხოვრებს?! მე მყავს მხედველობადაკარგული მოხუცი დედა, რომელიც, ექვსი წელია, ოთახიდან არ გამოსულა და თორმეტი დღეა, სიცივისგან კანკალებს. ინვესტორის მიერ მოცემული ათასი დოლარი დედაჩემის ერთ ტომოგრაფიას არ ეყოფა! მე ვიყავი ერთადერთი ადამიანი, ვინც არ ვაწერდი იმ კონტრაქტს ხელს და აბულაძე ამის გაკეთებას მეხვეწებოდა. სწორედ მაშინ დამპირდა, - ფართის სიაში ჩაგრთავო. ახლა კი შეხვედრაც არ ისურვა ჩვენთან",** - აღშფოთებულია სვეტლანა პირტახია.

ინვესტორი ფირმის წარმომადგენელი აცხადებს, რომ, რადგან დევნილებმა პირობა დაარღვიეს და, მიუხედავად რამდენჯერმე გადავადებისა, თხუთმეტ იანვრამდე შენობა არ დაცალეს, დამატებითი ფართით მათ უზრუნველყოფაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც მიდიან გარკვეულ დათმობაზე და შენობაში დარჩენილებს, კომპენსაციას სთავაზობენ - თითო ოჯახს ათას დოლარს. ეს დევნილებს არ აკმაყოფილებთ. შენობის დატოვებას ისინი მხოლოდ მერიის მიერ დანაპირები ფართის გამოყოფის შემთხვევაში აპირებენ.


ელექტროენერგიის და წყლის გათიშვას შეიძლება, ძალის გამოყენება მოჰყვეს.

გოგიტა ბახტაძის ფოტო

# "ბინა! ბინა!"

*"ვარდების რევოლუციის" შემდეგ ფინანსთა სამინისტროს შენობასთან აქციების სეზონი გუშინ გაიხსნა - კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრები დედაქალაქის ბიუჯეტიდან მათთვის კუთვნილი თანხების ამოღებას აპროტესტებდნენ, თან იმის გარკვევას ცდილობდნენ, მთავრობამ ცენტრალურ ბიუჯეტში ხომ არ გამოუყო რამე.*

თამარ მაისურაძე

**"ჩვენ ვითხოვთ იმ ოფიციალური განკარგულებების შესრულებას, რომლის თანახმადაც, გასტუმრებული უნდა იყოს ჩვენი ვალი, სახელმწიფომ რომ რამდენიმე წლის წინათ აღიარა",** - აცხადებენ აქციის წევრები. მათ ჯერ კიდევ კომუნისტების დროს შეიტანეს კოოპერატიულ საბინაო მშენებლობებში ფული, რომელიც ჩვენი ქვეყნის გარდამავალ პერიოდს შეეწირა. დაახლოებით 15 წელია, ეს ხალხი ბინას ან კომპენსაციას ელოდება. **"ბინა! ბინა!"** - თავიანთი მოთხოვნა მოკლედ ჩამოაყალიბეს გუშინ ფინანსთა სამინისტროსთან. როგორც აქციის წევრები აცხადებენ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათთვის გასაცემი თანხა ფინანსთა მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს პირველი გამინისტრებისას ამოუღია. თუმცა დაპირებია, - მომავალი წლის ბიუჯეტში აუცილებლად ჩაგსვამთო. **"ნოღაიდელს სათვალავი აერია",** - ღელავდნენ აქციის მონაწილენი.

ბოლო წლების განმავლობაში უბინაოდ დარჩენილებს კომპენსაციებს, შეძლებისდაგვარად, დედაქალაქის ბიუჯეტიდან უხდიდნენ. უბინაოებისთვის განკუთვნილი ფული ორ ნაწილად იყოფოდა - ნაწილი დაწყებული საცხოვრებელი კორპუსების დამთავრებას, ნაწილი კი კომპენსაციების გაცემას ხმარდებოდა. დღეს კომპენსაციის აღება აღარავის სურს. მიზეზი მარტივია - 15 წლის წინათ საბჭოთა ფულით გადახდილი თანხა მოგვიანებით დოლარებში გადაანგარიშდა. ახლა მისი ოდენობა, გადახდილთან შედარებით, ზღვაში წვეთია. კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრთა რაოდენობა საქართველოს მასშტაბით 6 ათას 738-ს უდრის, თბილისში კი ბინის მოლოდინში 4 ათას 191 კაცია.

აქვე გეტყვით, რომ მაშინ, როცა ქვეყნისა და დედაქალაქის მთავრობის ვალდებულებები გაიმიჯნა, კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრების ბედი, ისევე, როგორც "თბილტრანსის" მძღოლების საკითხი, თბილისის მთავრობის გადასაწყვეტი გახდა. დედაქალაქის ბიუჯეტის ლიკანში დამუშავების შემდეგ მერიის შენობასთან გამართულმა მძღოლების აქციამ გაჭრა და მათთვის ბიუჯეტში განკუთვნილ 1 მილიონ 250 ათას ლარს მხოლოდ 500 ათასი ჩამოეჭრა. იგივე რაოდენობის თანხა, რომელიც უბინაოების საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას უნდა მოხმარებოდა, როგორც ძველი ხელისუფლება იტყოდა, ლამის, დაუმტკიცებელი ბიუჯეტის სეკვესტრმა "შეჭამა".

**"წამოდით და ნახეთ ჩემი სახლი, ნახეთ მე სად ვცხოვრობ,** - მიმართა აქციის წევრებს ფინანსთა სამინისტროსთან მისულმა ქალაქის მერმა, - **სახელმწიფომ თავისი ვალდებულებები რომ განსაზღვროს, საჭიროა ინვენტარიზაცია ჩატარდეს. "თბილტრანსის" მძღოლების მიმართ ეს აღწერა მეტ-ნაკლებად სრულყოფილია. რაც შეეხება მეანაბრეებსა და კოოპერატიულ ბინათმშენებლობას, აქ ინვენტარიზაცია სრული არ არის. ამიტომ მიღებულია გადაწყვეტილება, 1 მაისამდე გაკეთდეს ინვენტარიზაცია, ამის შემდეგ კი, როცა განვსაზღვრავთ მოცულობას ლარებში, სახელმწიფო გადაწყვეტს, რამდენ ხანში და როდის შეძლებს ვალის გასტუმრებას".**

ზურაბ ჭიაბერაშვილმა, ასევე, განაცხადა, რომ დედაქალაქის ბიუჯეტი სულ 400 მილიონ ლარს შეადგენს და აქედან კოოპერატიული ბინათმშენებლობისთვის საჭირო თანხის გამოყოფა დედაქალაქის დენისა და ბუნებრივი აირის გარეშე დარჩენას ნიშნავს. ამ სიტყვებს აქციის წევრებსა და მერს შორის დაპირისპირება და სიტყვიერი შეურაცხყოფა მოჰყვა. **"რად გვინდოდა ლაზერ-შოუ; იმ ფულით ჩვენი პრობლემა ნაწილობრივ მაინც მოგეგვარებინათ"!** - ყვიროდნენ ფინანსთა სამინისტროს შენობასთან შეკრებილები.

ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებიდან ქუჩაში შეკრებილებთან არავინ მისულა. მოგვიანებით ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გრიგოლ გობეჯიშვილმა სამინისტროს პოზიცია დააფიქსირა: კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრთათვის ქვეყნის ბიუჯეტში არც ერთი თეთრი არ არის გამოყოფილი.

*მოკლედ*

### ვეტერანები განმარტებას ითხოვენ

საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი შინაგან საქმეთა სამინისტროს იმის გარკვევას სთხოვს, თუ რატომ დაუნიშნეს ვეტერანებს, 23-ლარიანი ფულადი კომპენსაციის ნაცვლად, 12 ლარი. საუბარია მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი ვეტერანებისთვის ელექტროენერგიაზე შეღავათის სანაცვლოდ დაწესებულ ფულად კომპენსაცაზე. ვეტერანთა დეპარტამენტი ამ ფაქტს დანაშაულის კვალიფიკაციას აძლევს და დამნაშავეთა დასადგენად საქმის სასწრაფო გამოძიებას ითხოვს. საკომპენსაციო თანხა - 23 ლარი, ვეტერანებს ხელისუფლებამ 150 კილოვატი ელექტროენერგიის სანაცვლოდ დაუწესა, თუმცა, როგორც თანხის დარიგებისას გაირკვა, ვეტერანებმა მხოლოდ 12 ლარი მიიღეს, რაც გახდა კიდეც საპროტესტო აქციების მიზეზი. ასეთი აქცია გუშინ ისანი-სამგორის რაიონში მცხოვრებმა ვეტერანებმაც გამართეს. გუშინვე გამართულ საგანგებო ბრიფინგზე ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ ნუგზარ ცაგარეიშვილმა განაცხადა, რომ ელექტროენერგიაზე შეღავათების მონეტარიზაციის შესახებ დეპარტამენტმა მედიის საშუალებით შეიტყო. სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა ელექტროენერგიაზე, შეღავათების სანაცვლოდ, ყოველთვიური ფულადი კომპენსაცია 14 კატეგორიის ბენეფიციარისთვის დააწესა. მათ შორის არიან მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახების წევრები. მათთვის თბილისში - 23 ლარი, რეგიონებში კი 16 ლარი დაწესდა. ეს სხვაობა რეგიონებსა და დედაქალქში ელექტროენერგიის ტარიფის სხვაობამ და დახმარების ოდენეობამ განსაზღვრა. **ინტერ-პრესი**

*ორი სიტყვით*

**თბილისი.** თბილისის სამშობიარო სახლებში სამეანო ბარათების სისტემის მუშაობის შესამოწმებლად "ახალგაზრდა იურისტთა ალიანსმა" სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარა. გამოკვლევის შედეგად თბილისის რამდენიმე სამშობიარო სახლში დარღვევები გამოვლინდა. "ახალგაზრდა იურისტთა ალიანსის" ხელმძღვანელის თეიმურაზ რთველაძის განცხადებით, დარღვევების უმრავლესობა "ჯანმრთელობის სახლში" დაფიქსირდა, სადაც მშობიარეებს, სამეანო ბარათების სანაცვლოდ, გარკვეულ თანხებს სთხოვდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის მიერ პარლამენტში გაკეთებული განაცხადების მიხედვით, ექიმების მხრიდან ავადმყოფებისთვის ფულის გამოძალვის ფაქტების დაფიქსირების შემთხვევაში, დაწესებულებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება. სახელმწიფო ბიუჯეტი დააფინანსებს გადაუდებელი სტაციონარული დახმარების პროგრამას, სადაც ექიმებისთვის ხელფასების გაზრდაც არის გათვალისწინებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ჯანდაცვისა და სოციალური სფეროებისთვის გამოყოფილი თანხების ათვისებით დაინტერესდა. "ჩვენი მიზანია, ვიცოდეთ, როგორია ამ თანხების ხარჯვა. პროგრამების სათაურების გარდა, გვაინტერესებს მათი შინაარსი და ის შედეგი, რაზეც ეს პროგრამებია ორიენტირებული. კომიტეტი გააძლიერებს მათზე საპარლამენტო ზედამხედველობას და მონიტორინგს", - განაცხადა წერეთელმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ კოკა ფრუიძემ გუშინ განაცხადა, რომ ამიერიდან რეანიმაციაში პირველი ექვსი დღე მკურნალობა უფასო იქნება და სახელმწიფო თითოეული ავადმყოფისთვის დღეში 650 ლარს გაიღებს. მისივე თქმით, 2005 წლისათვის 15 წლამდე ბავშვებისა და 65 წელს ზემოთ ასაკის ადამიანებისთვის უფასო ამბოლატორული მკურნალობაა დაგეგმილი". **ინტერ-პრესი**

# კონტრაცეპცია აბორტი არ არის

*მასმედიის საშუალებებით ხშირად ვრცელდება ინფორმაციები კონტრაცეფციის თაობაზე, რომელსაც ზოგი აბორტს ადარებს. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტის ხელმძღვანელის არჩილ ხომასურის თქმით, კონტრაცეფციის მიმართ არაპროფესიონალურმა მიდგომამ, შესაძლოა, არასწორი საზოგადოებრივი აზრი ჩამოაყალიბოს და ზიანი მიაყენოს ქალის ჯანმრთელობას. მისივე განმარტებით, ის ფაქტი, რომ აბორტების რაოდენობამ ათჯერ იკლო საქართველოში, სწორედ კონტრაცეპციის საშუალებების დანერგვას უკავშირდება.*

თამარ დვალი

**"მაშინ, როდესაც მთელი ევროპა და ამერიკა კონტრაცეპციის საშულებებს იყენებს, საქართველოში მას სასამართლო პროცესს უწყობენ. ასეთი ფორმით კონტრაცეპციის წარმოდგენა დანაშაულია. როდესაც ამ საკითხზე ვსაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ კონტრაცეპციის საშულებების დანერგვამდე, საქართველოში 100 ათასი აბორტი იყო რეგისტრირებული, დღეს ეს რიცხვი ათჯერ შემცირებულია. კონტრაცეპციის შემოტანით, თითქმის, ბოლო მოვუღეთ ქალთა ჯანმრთელობის მტერს - აბორტს",** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა არჩილ ხომასურიძემ.

შეგახსენებთ, რომ კონტრაცეპციის პირველი საშუალებები საქართველოში 1985 წელს ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტმა შემოიტანა. დღეისათვის საქართველოს რაიონებში მისმა გამოყენებამ 40 პროცენტს გადააჭარბა, თბილისში კი - 60 პროცენტს. ხომასურიძე ამ მაჩვენებლების ზრდას საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას უკავშირებს. მისივე განმარტებით, ყველა კონტრაცეპტივი, რომელიც გაეროს ფონდის მეშვეობით გავრცელდა საქართველოში, პრაქტიკულად, უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის.

**"თუკი ვინმემ იცის, რა ცოდვაა აბორტი, ეს ყველაზე უკეთ ექიმებს გვესმის. ჩვენზე მეტად აბორტი არავის ეზიზღება. როდესაც ასეთ საკითხებზე მსჯელობენ, კარგი იქნება, თუკი აბორტს და კონტრაცეპციას ერთმანეთში არ აურევენ. კონტრაცეპცია ნიშნავს ორსულობისგან დაცვას და სწორედ ამით განსხვავდება აბორტისგან. მისი სრულყოფა ახლაც მიმდინარეობს. არც ერთ მედიკამენტს არ გაუვლია იმდენი შემოწმება, რამდენიც გაიარა კონტრაცეპტივმა. დღეისათვის თანამედროვე ჩასახვის საშუალებები დაყვანილია პრაქტიკული უვნებლობის დონემდე. ის, რაც სამხრეთ აზიის ქვეყნებში შედის, ჩვენთან არ შემოდის. საქართველოში საუკეთესო ხარისხის კონტრაცეპცია შემოაქვთ",** - აღნიშნა ხომასურიძემ.

სასურველია, ქალბატონებმა პირველადი კონსულტაცია ექიმებთან გაიარონ, რათა თავიდან აიცილონ გაუგებრობა. ხომასურიძის განმარტებით, არც ერთ ჰორმონს, არც ერთ ქვეყანაში არ მოუტანია ცუდი შედეგი პაციენტისათვის, თუკი ის არასწორად არ არის დანიშნული. **"საქართველოში და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, მედიცინის დაბალი დონის გამო, ჩამოყალიბდა შიში ჰორმონების მიმართ. მათი დანიშვნა ყველა ექიმს არ შეუძლია. გართულებებს ცუდად დანიშნული ჰორმონი იძლევა, თორემ ინსულინიც ჰორმონია, მაგრამ მისი საშუალებით ყოველწლიურად მილიონობით ადამიანის სიცოცხლე ნარჩუნდება",** - აღნიშნა ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა.

*დისკუსია*

# ერთად ვიფიქროთ

მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბატონმა ზურაბ ჟვანიამ მინისტრებს დაავალა, მოემზადებინათ შესაბამისი პროგრამები და წინადადებები პრივატიზაციის შედეგად მიღებული თანხების მაქსიმალურად ეფექტური გამოყენების მიზნით. პირადად მე საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ბატონი კახა ბენდუქიძის სატელევიზიო არხ "202"-ზე გაჟღერებულ იმ პოზიციას ვემხრობი, რომ ამ თანხების გამოყენებაზე საერთო ეროვნული შეთანხმება უნდა მოხდეს და ის მხოლოდ საშვილიშვილო საქმეების კეთებას მოხმარდეს. საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა 24 იანვარს განაცხადა, რომ თანხის გარკვეული ნაწილი უმწეოთა სოციალური პროგრამების დაფინანსებასაც მოხმარდება.

მინდა, მოკრძალებით შევთავაზო საზოგადოებას და ქვეყნის მთავრობას პრივატიზაციიდან მიღებული თანხების ათვისების შემდეგი სქემა:

1. თანხის ერთი მესამედი ჩაირიცხოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ეკონომიკის რეაბილიტაციის სახელმწიფო სარეზერვო ფონდში. ამ თანხების ხარჯვა შეიძლება მოხდეს მხოლოდ კონფლიქტების დარეგულირების პარალელურად. ვფიქრობ, ამას გარკვეული იდეოლოგიური დატვირთვაც ექნება (ერთადერთ გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს ქვეყნის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია და მის თავდაცვითუნარიანობასთან დაკავშირებული საკითხები);

2. თანხის ერთი მესამედი გამოიყოს საქართველოში შეიარაღებული ძალების გადაიარაღებისა და მშენებლობის მიზნით;

3. დარჩენილი მესამედი კი მოხმარდეს სოციალური პროგრამების დაფინანსებას.

შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ შემოთავაზებული სქემა იდეალურ ვარიანტს წარმოადგენს, მაგრამ იმის საშუალებას მაინც იძლევა, ერთად ვიფიქროთ ამ მნიშვნელოვან პრობლემაზე.

*გურამ მაღლაკელიძე*

# დავა შენობისთვის, ბავშვების გამოყენებით

ინგა ალავიძე

*"მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იმათ უკან, ვინც ფარად ბავშვებს იყენებს, დგანან ადამიანები, რომელთაც ამ სოლიდური შენობის ხელში ჩაგდება სურთ და სწორედ მათი ინიციატივით ხდება ბავშვებით სპეკულირება. ბავშვებს აყვირებენ და ამით ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოხდენა სურთ, რათა ხელისუფლება შეშინდეს, იფიქროს, რომ ვილაცები ბავშვებს ზიანს აყენებენ და მათი ჩარევა აუცილებელია, რეალურად კი ასე არ არის," - აცხადებს ადვოკატი დიმა გაბუნია. არადა, პრეზიდენტ-ის კანცელარიასთან მოწყობილმა "გულისამაჩუყებელმა" აქციამ, როგორც ჩანს, მავანისთვის სასურველი შედეგი უკვე გამოიღო. თუმცა, სამწუხაროდ, არასამართლებრივი.*


ადვოკატი სამართლიან გადაწყვეტილებას ითხოვს.

საქმე ისაა, რომ პავლოვის გამზირზე მდებარე შენობა, რომლის გამოც დაწყებული დავა შენობის კედლებს გასცდა, თავის დროზე, საშენ მასალათა კომბინატი გახლდათ და ერთ დროს - საკმაოდ სოლიდური საწარმოც. ბოლო ათი წლის მანძილზე შენობის ხელში ჩაგდება ყოფილი ხელისუფლების არაერთი წარმომადგენლის სურვილი გახლდათ. შენობის მფლობელი საბოლოოდ და კანონიერი გზით ეთერ ჩოხელი გახდა. 8 სექტემბერს ეთერ ჩოხელსა და სააქციო საზოგადოება "დელისს" შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება და ჩოხელმა შეიძინა 714 კვ.მ. - სამსართულიანი შენობა, რომელიც საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში საშენ მასალათა კომბინატის თანამშრომელთა შვილებისთვის საბავშვო ბაღი იყო. რადგანაც შენობა ახალ მფლობელს არ გაუთავისუფლეს, ეთერ ჩოხელმა სასამართლოს მიმართა და "დელისისა" და მისი თანმხლები პირების გამოსახლება მოითხოვა. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი გამოსახლების თაობაზე. გადაწყვეტილება სააქციო საზოგადოება "დელისის" აქციონერებს არ გაუსაჩივრებიათ. მოსამართლის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა და იმავე დღეს გაიცა სააღსრულებლო ფურცელი. თუმცა, გამოსახლების აღსრულება ვერ მოხერხდა, რადგან კანცელარიასთან გამართულ მიტინგს თბილისის მერიის რეაგირება მოჰყვა. მერიამ წერილით მიმართა ვაკე-საბურთალოს სასამართლოს და გამოსახლების აღსრულების ბათილად ცნობა ითხოვა. მოსამართლე ალა კახნიაურმა მერიის მოთხოვნა დააკმაყოფილა. **"მოსამართლე ზეწოლის ქვეშ მოექცა და მის მიერ გამოტანილ განჩინებაში მოყვანილი არგუმენტაცია აბსოლუტურად უკანონოა. ასეთივე უკანონო იყო მერიის მოთხოვნაც, რომლის მიხედვითაც, 2000 წლის 27 დეკემბრის №51 ბრძანებით ბაგა-ბაღი უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული აქვს თბილისის მერიის განათლების მეურნეობის საქალაქო სამსახურს. არადა, დასახელებული ბრძანება ბუნებაში არ არსებობს,"** - აცხადებს სადავო შენობის ამჟამინდელი მფლობელის წარმომადგენელი დიმა გაბუნია, რომლის თქმითაც, შენობა არც არასდროს ყოფილა მერიის საკუთრება, მისი მფლობელი "დელისი" იყო, რასაც ტექბიუროს მონაცემები ადასტურებს. ასეთ შემთხვევაში, მერიას ტექბიუროს მონაცემების კანონიერების შესახებ უნდა ედავა და მისთვის სასურველი შედეგის შემთხვევაში, სასამართლოსთვის ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო, გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით მიემართა.

გარდა მერიისა, საქმეში პრეზიდენტიც ჩაერია. უფრო ზუსტად - ტრანსპარანტებით შეიარაღებული ბავშვების გამოსვლას, შემდეგ კი, პრეზიდენტის სახელზე დაწერილ განცხადებას მიხეილ სააკაშვილმა უმკაცრესი რეზოლუცია დაადო და გენერალურ პროკურორს შენობის პრივატიზების კანონიერების შესწავლა დაავალა, გენპროკურორმა საქმის შესწავლა ვაკე-საბურთალოს პროკურატურას დაავალა. პროკურატურამ საქმე მოიკვლია, მაგრამ იმის გამო, რომ დანაშაულის ნიშნებს ვერ მიაგნო, მოკვლევაც შეწყდა. **"ხელისუფლებამ სწორი პოზიცია უნდა დაიკავოს და იმის შიშით, რომ ვინმემ არ იყვიროს, არ უნდა ჩაერიოს სამართლებრივ დავებში. ბოლოს და ბოლოს, ქუჩის გამოყენებით საქმის კეთება საქართველოში უნდა დასრულდეს, სამართლებრივი დავები სასამართლოში უნდა გაირჩეს და არა ქუჩაში მოწყობილ დემონსტრაციებზე, თუმცა, ამ მაგალითითაც შემიძლია თქმა, რომ დღევანდელი სასამართლო პოლიტიკური შეკვეთების მონურად შემსრულებელია. საერთოდ სიტუაცია ასეთია, საქმე იქამდეა მისული, რომ თუ მოსამართლე ობიექტურ გადაწყვეტილებას გამოიტანს, მას "ზემოთ" იბარებენ და ახსნა-განმარტებებს ართმევენ,"** - აცხადებს დიმა გაბუნია, რომლის ინფორმაციითაც, შენობის ახალმა მფლობელმა მერიას შესთავაზა საბავშვო ბაღისთვის გამოეყოს შენობა, რომელსაც იგი გაარემონტებს, ბავშვებს ახალ ინვენტარს შეუძენს და მასწავლებლებს ორი წლის კომპენსაციასაც გადაუხდის. ეს წინადადება მოდავე მხარემ არ მიიღო.

გენერალურ პროკურატურაში კიდევ ერთი საჩივარი შევიდა, ამჯერად, სააქციო საზოგადოება "დელისის" აქციონერებისა, რომლებიც ბავშვების ქუჩაში გამომყვანების წინააღმდეგ საქმის აღძვრას ითხოვენ - მათ კორუფციასა და საეჭვო გარიგებებში ადანაშაულებენ. კიდევ ერთი, სარჩელი საოლქო სასამართლოშიც დევს და, ფაქტობრივად, დაზარალებული ეთერ ჩოხელი ვაკე-საბურთალოს სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვს.

# ხელახლა ჩასატარებელი სასამართლო რეფორმის პროექტი მზადაა

*ექვსი წლის წინ საქართველოში ხმაურიანად დაწყებული სასამართლო რეფორმა, აღმოჩნდა, რომ ფაქტობრივად, ჩავარდა. სასამართლო სისტემაში შექმნილი სიტუაცია არა მარტო სასამართლო რეფორმის კრახს გამოიწვევს, რისი ნიშნებიც უკვე სახეზეა, არამედ მთლიანად ქვეყნის სახელმწიფოებრიობასაც შეუქმნის საფრთხეს, რადგან დამოუკიდებელი, კანონმორჩილი და პროფესიონალი მოსამართლეებით დაკომპლექტებული სასამართლო ხელისუფლება ის ძლიერი ბაზისია, რომელზეც ასევე ძლიერი და დემოკრატიული ქვეყანა უნდა აშენდეს.*

სასამართლო რეფორმა საქართველოში თავიდან დაიწყო. უახლოეს მომავალში მზად იქნება რეფორმის პაკეტი, რომელიც ევროსაბჭოსთან პარტნიორობით მზადდება და რომელზეც თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი გოგიაშვილი მუშაობს. ახალი სასამართლო რეფორმის პირველი ეტაპი სასამართლოების რეორგანიზაციას მოიცავს. საუბარია რაიონული სასამართლოების შერწყმასა და გამსხვილებაზე. არსებული პროექტით, რაიონული სასამართლოების ბაზაზე შეიქმნება საქალაქო სასამართლოები სპეციალიზაციის მიხედვით. რაიონულ სასამართლოებს კი მაგისტრატურული სასამართლოები ჩაანაცვლებს. **"შეიქმნება ახალი ტიპის სასამართლოები, მაგისტრატურული სასამართლო. მსგავსი ტიპის სასამართლოები უცხოეთში, კარგა ხანია, მოქმედებს და საკმაოდ წარმატებითაც. მაგისტრანტი მოსამართლე, ანუ მომრიგებელი მოსამართლე, მცირე მოცულობის საქმეებს განიხილავს, სისხლის სამართლის დანაშაულს, რომელიც სამ წელზე მეტ სანქციას არ ითვალისწინებს. სამოქალაქო საქმეებს, სადაც დავა 2000 ლარს არ აღემატება, ოღონდ, მხარეების თანხმობა აუცილებელია, ერთი მხარის უარის შემთხვევაში მომრიგებელი მოსამართლე საქმეს ვერ განიხილავს. გარდა ამისა, მაგისტრანტი მოსამართლე განიხილავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გამოცემული აქტების და დადგენილებების კანონიერებასაც. ეს იქნება საქმის განხილვის გამარტივებული პროცესი. მაგისტრანტი მოსამართლის ინსტიტუტის ასამუშავებლად პროექტი მზადაა და ამჟამად მის დახვეწაზე ვმუშაობთ. სწორედ ამიტომ, ახლახან ვიმყოფებოდით ამერიკაში, რათა მათი გამოცდილება ადგილზე შეგვესწავლა. აშშ-ში მაგისტრანტი მოსამართლის ინსტიტუტმა, ანუ მისმა ძირითადმა იდეამ - პროცესის დაჩქარებულად და იაფად ჩატარების შესახებ, გაამართლა. დარწმუნებული ვარ, ეს ინსტიტუტი საქართველოშიც წარმატებით ამუშავდება,"** - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი გოგიაშვილმა, რომელსაც გუშინ საოლქო სასამართლოში სტუმრიანობა ჰქონდა.

საოლქო სასამართლოს ახალი შენობა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კემულარიამ მოინახულა და სარემონტო სამუშაოებით კმაყოფილი დარჩა. კოტე კემულარიას განცხადებით, თბილისის საოლქო სასამართლოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები "მსოფლიო ბანკის" პროგრამის ფარგლებში ხორციელდება. რემონტს ტენდერში გამარჯვებული ფირმა "თბილისი" აწარმოებს. შენობის რეკონსტრუქციისთვის და ახალი კორპუსის ასაშენებლად, 3 მილიონი ლარი გამოიყოფა. ამ ეტაპზე სამუშაოების მხოლოდ 35 პროცენტია შესრულებული, რისთვისაც 1 200 000 ლარი დაიხარჯა.

საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის გიორგი გოგიაშვილის განცხადებით, სასამართლო უკვე მეხუთე წელია ფუნქციონირებს და 70 მოსამართლეს უმძიმეს პირობებში უწევს მუშაობა. გიორგი გოგიაშვილის თქმით, სარეაბილიტაციო სამუშაოები 6 თვის წინ დაიწყო და თებერვლის დასაწყისში დასრულდება. ახალ შენობაში 70 სამუშაო ოთახი და 19 სხდომათა დარბაზი იქნება.

*24 საათი*

## მოკლედ

### სახალხო დამცველის რეკომენდაციით, მძიმე ავადმყოფ პატიმარს ათავისუფლებენ

გორის რაიონულმა სასამართლომ, სახალხო დამცველის რეკომენდაციით, მძიმედ დაავადებული, 67 წლის თეიმურაზ ვანიშვილი გაათავისუფლა. შიდა ქართლის საოლქო პროკურატურამ თეიმურაზ ვანიშვილს ბრალი დასდო სამსახურებრივი უფლებამოსილების არაერთხელ ბოროტად გამოყენებაში. ვანიშვილი შაქრიანი დიაბეტის მძიმე ფორმითაა დაავადებული და ამ ფონზე ჰიპერტონიული უკმარისობაც განუვითარდა. მის ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა და საპატიმრო პირობებში დარჩენას, შესაძლოა, უმძიმესი შედეგები გამოეწვია. დაკავებულის ადვოკატმა დახმარებისთვის სახალხო დამცველს მიმართა. ვანიშვილს ბრალად არ ედებოდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 159-ე მუხლის III ნაწილში მითითებული გარემოების თანახმად, აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრება, როგორც წესი, არ გამოიყენება მძიმე ავადმყოფის, ხანდაზმულის (ქალები 60 წლიდან, მამაკაცები 65 წლიდან) მიმართ. დასახელებული გარემოებების გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა გორის რაიონულ პროკურატურას თეიმურაზ ვანიშვილისთვის პატიმრობის ნაკლებად მკაცრი აღმკვეთი ღონისძიებით შეცვლის თაობაზე რეკომენდაციით მიმართა. სახალხო დამცველის რეკომენდაცია გორის რაიონულმა სასამართლომ გაითვალისწინა და 67 წლის მძიმე ავადმყოფი პატიმრობიდან გაათავისუფლა. **24 საათი**

### ქართველი სამართალდამცველები ოს კოლეგებს ენდობიან

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ქართული მოსახლეობის რამდენიმედღიანი პროტესტის მიუხედავად, ორი ქართველის მკვლელობაში ბრალდებული ოსი კრიმინალი ალიკ ფუხაევი, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებით, ორთაჭალის იზოლატორიდან უკვე ცხინვალშია გადაყვანილი. ფუხაევის მიერ ერთი წლის წინ ჩადენილი მკვლელობის საქმეზე გამოძიებას ქართულ-ოსური ერთობლივი ჯგუფი აწარმოებს. ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფის პირველი შეხვედრა უკვე შედგა, თუმცა მხარეები კომენტარებისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებენ. "ალიკ ფუხაევის საქმეს ობიექტურად გამოვიძიებთ," - პირობას იძლევა ოსური მხარე. საგამოძიებო ერთობლივი ჯგუფის შემდეგი შეხვედრა უახლოეს დღეებში გაიმართება. ბრალდებული კი გამოძიების დასრულებამდე ცხინვალში, რუსეთის სამშვიდობო ძალების შტაბში დარჩება. **"ამჟამად ოსურ მხარესთან ერთად მიმდინარეობს ერთობლივი საგამოძიებო სამუშაოები სათანადო მტკიცებულებების შესაგროვებლად,"** - განგვიცხადეს შიდა ქართლის სამხარეო პოლიციაში.

**"ორთაჭალის იზოლატორიდან ფუხაევის ცხინვალში გადაყვანის წინააღმდეგ გამართული ხალხმრავალი აქციები მიღებული დაპირების გამო შევწყვიტეთ, ოსი სამართალდამცველები გვარწმუნებენ, რომ საქმის გამოძიება ობიექტურად წარიმართება და ორი ქართველის მკვლელი საკადრისად დაისჯება. თუკი ეს ასე არ მოხდება, საპროტესტო აქციებს კვლავ განვაახლებთ და ის უფრო ფართომასშტაბიანიც იქნება,"** - აცხადებენ ერთი წლის წინ, სოფელ თამარაშენში, მაჩაბლის სახლ-მუზეუმის ეზოში სასტიკად მოკლული ელგუჯა ვახტანგაშვილისა და გიორგი ყავლაშვილის ოჯახის წევრები და ახლობლები. **24 საათი**

## ფოსტა

# წერილი პრეზიდენტს

ბატონო პრეზიდენტო, უმორჩილესად გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ დატანჯული პატიმარი ქალების თხოვნას. ერთი წელია, რაც თქვენ ჩვენი ნანგრევებად ქცეული ქვეყნის პრეზიდენტი გახდით და მის აღმშენებლობას მთელი სულით და გულით შეუდექით. თქვენი არჩევის დროს ამომრჩეველთა ხმას ჩვენი, პატიმარი ქალების იმედის ხმაც უერთდებოდა. გაიმარჯვეთ და ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. 23 ნოემბრის შემდეგ გულისცემით და დიდი იმედით ვადევნებთ თვალს თქვენს თითოეულ წარმატებას და იშვიათად - წარუმატებლობას, რაც ალბათ, მარტო თქვენზე არ არის დამოკიდებული, თქვენ დიდი მისია გარგუნათ ღმერთმა და უამრავი ჩვენი თანამემამულე თქვენს სახელს დიდი იმედით წარმოთქვამს.

ჩვენ ვაცნობიერებთ ჩვენს დანაშაულს და თქვენგან შეწყალებას ვითხოვთ. ზოგიერთი ჩვენგანი მძიმე ავადმყოფია. უმრავლესობა კი - დანგრეული და კორუმპირებული მმართველობის მსხვერპლი. ჩვენს შორის არიან ასაკოვნებიც და პატარებიც. გაუსაძლისია პატიმარი ქალის ტკივილი. ჩვენ ხომ დედები ვართ. თითოეული ჩვენგანი აცნობიერებს თავის დანაშაულს და სინანულის ცრემლები არ შრება ჩვენს თვალებზე.

ბატონო პრეზიდენტო, იმედიანი ახალი წელი გაუთენდა საქართველოს. ჩვენ საკნებშიც შემოაღწია იმედის სხივმა. მართლმსაჯულების კეთილსინდისიერების იმედიც გაჩნდა და იქნებ ჩვენც მოგვცეთ ახალი ცხოვრების დაწყების უფლება, ჩვენ მართლმსაჯულების მსხვერპლი ვართ, რომელიც თქვენ ვარდებით გააცილეთ უკანასკნელ გზაზე.

ჩვენ, პატიმარ ქალებს ახალ ციხეს გვიმზადებენ. ახალ ციხეში გადასვლას, გვირჩევნია, ვიყოთ ძველ ციხეში და მოვყვეთ ამ ციხის ნანგრევებში, ვიდრე მრავალი წლებით ვიყოთ იზოლირებული ყველასგან, თუნდაც კომფორტულ ციხეში. ჩვენ ერთხელ უკვე მოვინდომეთ თქვენი ყურადღების მიქცევა და ერთკვირიანი შიმშილობაც გამოვაცხადეთ, თუმცა, თქვენამდე ჩვენი ხმა არ მოვიდა.

ბატონო მიშა, ჩვენ კიდევ დავისჯით თავს, კვლავ ვიშიმშილებთ, რომ იქნებ თქვენამდე ახლა მაინც მოაღწიოს ჩვენმა ვედრებამ, რომ გვაპატიოთ ჩვენი დანაშაული. იმედს არ ვკარგავთ. უმორჩილესად გთხოვთ, ქალებს და ბავშვებს საქართველოს ახალი ცხოვრების გზაზე ახალი ცხოვრების დაწყების საშუალება მოგვეცით.

*ორთაჭალის საპყრობილის პატიმარი ქალები*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________________

ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**..........

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..........

**საკონტაქტო ტელეფონი**..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

საკანონმდებლო ინიციატივების ექსპერტიზა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
CIVIL SOCIETY INSTITUTE

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

რუბრიკა შეიქმნა "სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის" პროექტის "სამოქალაქო საზოგადოება კანონშემოქმედებით პროცესში" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან და გაზეთ "24 საათთან" თანამშრომლობით.

"სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი" აგრძელებს საკანონმდებლო ინიციატივების ექსპერტიზაზე მუშაობას. დღეს გთავაზობთ კანონპროექტებს "შვილად აყვანის წესის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ და "საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში" დამატების შეტანის თაობაზე, რომელთა ავტორი და ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი გიორგი გეგელაშვილი. ასევე წარმოგიდგენთ აღნიშნულ პროექტებზე დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ მომზადებულ დასკვნას. დასკვნის ავტორია იურისტი მარინე მესხი.

**დაინტერესების შემთხვევაში შეგიძლიათ, მოგვმართოთ:**
**სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი; ტელ: 94 16 05; 33 04 17;**
**ელ-ფოსტა: law@civilin.org**

## საქართველოს კანონის პროექტი

# "შვილად აყვანის წესის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. "შვილად აყვანის წესის შესახებ" საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, N44, 11.11.1997) შევიდეს შემდეგი ხასიათის ცვლილებები და დამატებები:

1. მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3. საქართველოში მცხოვრები ბავშვის სხვა სახელმწიფოში გაშვილება შეიძლება მხოლოდ მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვის საინფორმაციო ბანკში აღრიცხვაზე აყვანიდან ექვსი თვის შემდეგ და თუ არსებობს შვილად აყვანის მსურველთა აღრიცხვაზე მყოფი საქართველოს მოქალაქეების წერილობითი უარი ამ ბავშვის შვილად აყვანაზე. ბავშვის ჯანმრთელობისათვის საშიში მდგომარეობის შემთხვევაში შესაძლებელია ამ ვადის შემცირება სასამართლოს მიერ".

2. მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 მე-6 პუნქტები:

"4. საქართველოში მცხოვრები ბავშვის შვილად აყვანა სხვა ქვეყნის მოქალაქეების მიერ, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად განეკუთვნებიან ამ ბავშვის კანონით მემკვიდრეებს, უნდა განხორციელდეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ნორმატიული აქტით დადგენილი გამარტივებული პროცედურით.

5. ამ კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში გასაშვილებელი ბავშვის მინიმალური ასაკი განისაზღვრება არანაკლებ 10 წლით. ამასთან გაშვილებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის ნება.

6. ბავშვის სურვილის შემთხვევაში, 18 წლის ასაკში, მშობლების თანხმობით, უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია ბიოლოგიური მშობლების შესახებ, ხოლო სახელისა და გვარის შეცვლის შემთხვევაში - ინფორმაცია თავდაპირველი მონაცემების შესახებ".

3. მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

"6. საქართველოში მცხოვრები ბავშვის სხვა სახელმწიფოში გაშვილებისას საქართველოს განათლებისა და მაცნიერების სამინისტროს ცენტრალური ორგანო ვალდებულია, შეინახოს ინფორმაცია ბავშვის ბიოგრაფიული მონაცემების შესახებ".

4. მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. სხვა სახელმწიფოში გაშვილებისას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იღებს აუცილებელ ზომებს გაშვილებული ბავშვის გამგზავრების ნებართვის მისაღებად და უზრუნველყოფს მის უსაფრთხო და სათანადო წესით გადაყვანას, საჭიროების შემთხვევაში კი - მშობლების თანხლებით.

2. ამ კანონის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიმღები სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს ცენტრალური ორგანო დაუყოვნებლივ გადასცემს მას ინფორმაციას ბავშვის ბიოგრაფიული მონაცემების შესახებ".

5. მე-14 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

"3. ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს "უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ მამკვიდრებელი ბავშვის შვილად აყვანის გამარტივებული წესის შესახებ" ნორმატიული აქტის გამოცემა."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*საქართველოს პრეზიდენტი*
*მიხეილ სააკაშვილი*

## საქართველოს კანონის პროექტი

### "საქართველოს სამოქალაქო კოდექსში" დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს კანონის "საქართველოს სამოქალაქო კოდექსი" (პარლამენტის უწყებანი, N31, 24 ივლისი, 1997) 1252 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

"3. კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, დედის მიერ წერილობითი თანხმობის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის გაშვილება შესაძლებელია დედის თანხმობის გარეშე".

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*საქართველოს პრეზიდენტი*
*მიხეილ სააკაშვილი*

# მოსალოდნელი სიახლეები შვილად აყვანის წესებთან დაკავშირებით

მარინე მესხი

გასული საუკუნის მიწურულს საქართველოში დატრიალებულმა სოციალურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა განსაკუთრებით გაამწვავა ობოლ და მზრუნველობასმოკლებულ ბავშვთა უფლებების დაცვის პრობლემა. ქვეყანაში არსებულმა მძიმე მდგომარეობამ მკვეთრად გაზარდა ასეთი კატეგორიის ბავშვთა რიცხვი. მეორე მხრივ, დაფინანსების შემცირების გამო შესუსტდა მზრუნველობისა და აღზრის დაწესებულებების ფუნქციონირება.

აღწერილი სიტუაციის შედეგად გახშირდა ბავშვების როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა გზით გაშვილებისა და გაყიდვის შემთხვევები, რასაც ბუნებრივია, თან ახლავს ბავშვის და მშობლის უფლებების სერიოზული დარღვევები.

ამ დარღვევებს ხელს უწყობს არასრული საკანონმდებლო ბაზის არსებობა. საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისათვის გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია სახელმწიფოს მხრიდან შვილებისა და გაშვილების პროცესებზე კონტროლის გაძლიერება, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ მოვიაზრებთ შვილად აყვანის ნორმების გამკაცრებას, ვინაიდან ბავშვის გაშვილება უპირველეს ყოვლისა მისი ჯანსაღ გარემოში აღზრდის მიზნით უნდა განხორციელდეს; გარდა ამისა, სახელმწიფო უნდა შეეცადოს, შექმნას უფლებათა დაცვის მყარი გარანტიები, ხელი უნდა შეეწყოს ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვების მოვლისა და აღზრდის ეფექტური მექანიზმის შემუშავებას.

წარმოდგენილი კანონპროექტი უდავოდ საკანონმდებლო ბაზის დახვეწის მცდელობაა და ამ მხრივ წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. თუმცაღა, კანონპროექტის მიმართ გვაქვს როგორც ზოგადი ხასიათის, ისე კანონპროექტის მუხლებთან დაკავშირებული შენიშვნები.

**1. კანონპროექტის პირველი მუხლი ეხება** "შვილად აყვანის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლს, რომელიც ადგენს სხვა სახელმწიფოში გაშვილების პირობებს. კანონში მესამე პუნქტი საკმაოდ ბუნდოვანია, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს შედეგი ჩანაწერი "საქართველოში მცხოვრები ბავშვის სხვა სახელმწიფოში გაშვილება შეიძლება მხოლოდ მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვის საინფორმაციო ბანკში აღრიცხვაზე აყვანიდან ექვსი თვის შემდეგ, და თუ არსებობს საქართველოს მოქალაქეების მიერ მისი შვილად აყვანის შეუძლებლობის დამადასტურებელი საკმარისი დოკუმენტაცია". ესე იგი, ბავშვი უცხოეთში გაშვილდება შემდეგი ორი გარემოების არსებობისას, საინფორმაციო ბანკში აღრიცხვაზე აყვანიდან ექვსი თვის შემდეგ (1) და თუ არსებობს საქართველოში მისი შვილად აყვანის შეუძლებლობის დამადასტურებელი საკმარისი დოკუმენტაცია (2).

ბუნდოვანებას იწვევს მეორე გარემოება, როცა დაზუსტებული არ არის, თუ რა იგულსხმება "საკმარის დოკუმენტაციაში".

წარმოდგენილი კანონპროქტის პირველი მუხლი სწორედ ამ პრობლემის მოგვარების მცდელობაა და კანონის მიზნებისათვის "საკმარისი დოკუმენტაციის" დეფინიციად გვთავაზობს "შვილად აყვანის მსურველთა აღრიცხვაზე მყოფი საქართველოს მოქალაქეების წერილობით უარს ამ ბავშვის შვილად აყვანაზე". ერთი შეხედვით, საკამათო თითქოს არაფერია, მით უმეტეს კანონის ბუნდოვანი ჩანაწერი კონკრეტდება და ეს ცვლილება უდავოდ მისასალმებელია. მაგრამ ეს არის მხოლოდ იურიდიული თვალსაზრისით დახვეწა. ჩვენი აზრით, ფაქტობრივი თვალსაზრისით სრულიად შეუძლებელი გახდება უცხოეთში გაშვილება, გარდა ამავე კანონპროექტის პირველი მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული გამარტივებული პროცედურით უცხოეთში გაშვილებისა.

ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციის პრინციპების გათვალისწინებით, ხელი უნდა შეეწყოს ბავშვის ოჯახურ პირობებში აღზრდას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე უცხოეთში გაშვილების საშუალებით. წარმოდგენილი ცვლილებით, უცხოეთში გაშვილება **პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება შემდეგი არსებითი გარემოებების გამო:**

**პირველი,** ბავშვების გამოვლენა-აღრიცხვასთან ერთად განათლების სამინისტრო აწარმოებს შვილის აყვანის მსურველი პირების აღრიცხვასა და მონაცემთა ბაზის შექმნას, რაც გააადვილებს მომავალში შესაფერისი კანდიდატურების გამოვლენას. დღეისათვის განათლების სამინისტროს მონაცემებით აღრიცხვაზეა რვაასზე მეტი შვილად აყვანის მსურველი. არ არსებობს ნორმატიული აქტი, რომელიც აწესებს აღრიცხვაზე მყოფ პირთა რიგითობას, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღრიცხვაზე ყოფნა ნიშნავს მხოლოდ ბავშვის შვილების სურვილის დაფიქსირებას, ხოლო გასაშვილებელი ბავშვის არსებობის შემთხვევაში იურიდიულად სრულიად მოუწესრიგებელი რიგითობის პრინციპი მოქმედებს, რაც საკმაოდ კარგი პირობაა კორუფციული გზით საკითხის მოგვარების ხელშეწყობისათვის.

შვილება იურიდიული მნიშვნელობის ფაქტია და ისეთ შედეგებს წარმოშობს, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ავტომატურად უნდა ხდებოდეს რიგში მყოფ პირველივე მსურველზე ბავშვის გაშვილება. ამ დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს კულტურული, რელიგიური, ეთნიკური ხასიათის საკითხები. თუმცა აბსოლუტურად მიუღებლად მიგვაჩნია რიგის მოუწესრიგებლობა, რაც მხოლოდ და მხოლოდ აფერხებს ბავშვის გაშვილების პროცედურას, ახანგრძლივებს მას და ნერგავს არალეგალურად შვილების პრაქტიკას. ეს საკითხი დასარეგულირებელია ქვეყნის შიგნით გაშვილების შემთხვევაშიც. **და მეორეც,** მით უმეტეს დიდი პრობლემა იქნება ასეთი საკანონმდებლო ხარვეზის პირობებში შვილად აყვანის რვაასი მსურველის წერილობითი უარის მოპოვება ბავშვის უცხოეთში გასაშვილებლად. ძალიან მარტივად რომ ვთქვათ და რეალურად შევხედოთ პრობლემას, ეს კიდევ უფრო გააძვირებს და მოამრავლებს უცხოეთში ბავშვის გაშვილების არალეგალურ გარიგებებს. ჩვენი მიზანია, მიიღწეს ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რაც ხელს შეუწყობს ყველა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვით განხორციელებას.

ყურადღების მისაქცევია ის ფაქტი, რომ უცხოეთში გაშვილებისას ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით სასამართლოს შეუძლია, 6 თვიანი ვადა შეამციროს 3 თვემდე. ეს ნამდვილად ჰუმანური მიდგომაა, თუმცა ზემოაღნიშნული ლოგიკიდან გამომდინარე, აზრი ეკარგება ვადის შემცირებას, ვინაიდან ვფიქრობთ არა თუ 3 ან 6 თვეში, პრაქტიკულად წლების განმავლობაში მიუღწეველი იქნება შვილად აყვანის მსურველთა წერილობითი უარის მოპოვება ბავშვის უცხოელი მშვილებლის მიერ.

ბუნებრივია, ჩვენ არ მივესალმებით უცხოეთში გაშვილების წახალისებას, თუმცა წარმოდგენილი კანონპროექტი ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის უცხოეთში ლეგალურად გაშვილების შესაძლებლობას და ეს მიუღებლად მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, უნდა მოწესრიგდეს აღრცხვიანობის რიგითობა, უნდა მოიძებნოს უფრო ეფექტური მექანიზმი ბავშვის უცხოეთში გაშვილების საკითხის მოწესრიგებისათვის.

2. "საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ" წარმოდგენილი კანონპროექტი ნამდვილად პროგრესულია, გვეჩვენება, რომ ეს ხელს შეუწყობს მიტოვებული ბავშვების რიცხვის შემცირებას, რომელთა გაშვილება ვერ ხერხდებოდა დედის წერილობითი თანხმობის გარეშე. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვის შვილად აყვანისათვის აუცილებელია დედის წერილობითი თანხმობა, რომელიც უნდა გაიცეს ბავშვის დაბადებიდან ექვსი კვირის შემდეგ. პრაქტიკაში კი დედები ისე იპარებოდნენ სამშობიარო სახლებიდან, რომ არ წერდნენ თანხმობას ბავშვის გაშვილებაზე. ეს შეუძლებელს ხდიდა ბავშვის ლეგალურად გაშვილებას.

ვიმეორებთ, წარმოდგენილი ცვლილება, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი გაშვილდეს დედის მიერ წერილობითი თანხმობის არარსებობის შემთხვევაში კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, ბავშვის ინტერესებისათვის პროგრესულ ნაბიჯად მიგვაჩნია. თუმცა მეორე მხრივ, ჩვენს ხელთ არსებული უცხოური ლიტერატურის და გამოცდილების მიხედვით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კანონით დადგენილი ვადა 6 კვირის ნაცვლად გაიზარდოს 3 თვემდე, მარტოხელა დედის ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობის თავისებურებებიდან გამომდინარე.

3. გარდა კანონპროექტთან დაკავშირებული შენიშვნებისა, გვაქვს შემდეგი ხასიათის შენიშვნა, რაც ჩვენი აზრით გათვალისწინებული უნდა იქნეს შრომის კანონთა კოდექსში ცვილებების შეტანის სახით. კერძოდ, შრომის კანონთა კოდექსი გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს იმ ქალებისათვის, რომელთაც ახალშობილი ბავშვი იშვილეს. ეს შეღავათები გათვალისწინებული იყო 162-ე მუხლით. 2005 წლის 1 იანვრიდან მუხლი გაუქმებულია, თუმცა შრომის კანონთა კოდექსის 159-ე მუხლის პირველი ნაწილით, შეღავათები ვრცელდება ქალებზე, რომლებმაც ახალშობილი ბავშვი იშვილეს უშუალოდ სამშობიარო სახლიდან.

ამ მუხლით გათვალისწინებული მთელი რიგი შეღავათები დაკავშირებულია ახალშობილი ბავშვის შვილებასთან უშუალოდ სამშობიარო სახლიდან, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და საქართველოს კანონი შვილად აყვანის წესის შესახებ ადგენს შვილების ისეთ პროცედურას, რომელიც არა მხოლოდ გამორიცხავს, არამედ პირდაპირ კრძალავს ასეთი ფორმით შვილებას. ზემოაღნიშნული ორი მუხლიც შემთხვევით არ მოვიხმეთ, ცვლილებები შევიდა შრომის კანონთა კოდექსში, თუმცა იგი არ შეხებია შინაარსს, სამშობიარო სახლიდან ბავშვის გაშვილების შეუძლებლობას. ეს საკითხი მოსაწესრიგებელია, ვინაიდან კოდექსი გარკვეულ იურიდიულ შედეგებს უკავშირებს ფაქტს, რომელიც თავისი არსით არაკანონიერია, და რაც აშკარა საკანონმდებლო ხარვეზზე მიუთითებს.

ქართველები ევროპაში



B2

სტვენა - ნაკლები, ჭიდაობა - დინამიკური



B5

თბილისელების ელეგანტურობის ახალი შანსი



B6

ნომრის სტუმარი

# პარლამენტი კრიტიკული და მკაცრი უნდა იყოს

პირველი გვერდიდან

- რთული სათქმელია - არანაკლებად არის შეფასებული ჰაველის და სხვათა როლიც...

**- ჰაველიცა და ვალენსაც სოციალისტურ ბანაკს ეკუთვნოდნენ...**

- ადამიანის ბრძოლა დემოკრატიის, თავისუფლებისა და მშვიდობისთვის დედამიწის ნებისმიერ კუთხეში ერთნაირად ფასდება. წინა ლაურეატები არ დაჯილდოებულან იმის მიხედვით, თუ ვინ რომელ რეგიონში მოღვაწეობდა, ისინი გაკეთებული საქმეების გამო დააჯილდოვეს.

ინფორმაცია ჩვენი პრეზიდენტის ნომინანტობის შესახებ ფანტასტიკური ახალი ამბავია. იმედი მაქვს, რომ გადაწყვეტილებაც პოზიტიური იქნება და პრეზიდენტი ამ ჯილდოს მფლობელი პირველი ქართველი გახდება. თავისთავად, ნობელის პრემიის ნომინანტობაც მნიშვნელოვანი მოვლენაა.

**- რას "გეჩურჩულებოდათ" პაუელი კიევში?**

- ძალიან მოხარული ვიყავი, რომ პაუელთან ასეთი თბილი შეხვედრა შედგა. მან საოცარი სითბო გამოხატა საქართველოსა და მისი ლიდერებისადმი. აგრეთვე ჩვენ გვერდით ყოფნის მზადყოფნა გამოხატა. იმის გარდა, რაც ეკრანზე ჩანდა, პაუელს კიდევ ორჯერ შევხვდი. ერთხელ მიღებაზე და შემდეგ მარინის სასახლეში. მას აინტერესებდა საქართველოში მიმდინარე მოვლენები და ჩვენ წინაშე მდგარი პრობლემები. საუბარი შეეხო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებსაც. კერძოდ, საზღვრის მონიტორინგსა და ეუთო-სთან ურთიერთობებს. მე ის საქართველოში მოვიწვიე და თითოეული ჩვენგანის განწყობა გამოვხატე, როცა ვუთხარი, რომ არასდროს დაგვავიწყდება მისი მხარდაჭერა რევოლუციის დროს.

უკრაინაში ვიზიტისას კადრს მიღმა ძალზე მნიშვნელოვანი შეხვედრები დარჩა. მქონდა ერთსაათიანი ოფიციალური შეხვედრა ლატვიის პრეზიდენტთან, რომელიც ძალიან გალენიანი ქალბატონია არა მხოლოდ ლატვიაში, არამედ ევროპულ სივრცეში. ის მზად არის, კონკრეტული დახმარება გაუწიოს საქართველოს ევროკავშირთან და ნატო-სთან ურთიერთობებში. შესაძლოა, 2006 წელს ნატო-ს სამიტი სწორედ ლატვიაში გაიმართოს. მე მას საქართველოს ლობისტობა ვთხოვე. მისი პასუხი ასე ჟღერდა: ჩვენ საქართველოს მხრიდან ყოველთვის გვქონდა მხარდაჭერა და სამართლიანი იქნება ამ ქვეყანას დავუდგეთ მხარში, როცა ეს მას სჭირდება.

მქონდა ხანგრძლივი საქმიანი საუბარი ესტონეთის პრეზიდენტთან. მან ასევე სერიოზული მხარდაჭერა აღგვითქვა. შევხვდი ლიტვის პარლამენტის თავმჯდომარეს. ძალზე საინტერესო შეხვედრა მქონდა ეუთო-ს მოქმედ თავმჯდომარესთან, სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან. ის ეუთო-ს მონიტორინგის საკითხით და განსაკუთრებით, პანკისის მხარეში არსებული ვითარებით დაინტერესდა. მათ განვუმარტეთ, ეუთო-ს მისიის დასახვედრად ნებისმიერ დროს ვართ მზად. მათ შეუძლიათ თუნდაც ახლავე, ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე ნახონ პანკისში შექმნილი ვითარება (ვინაიდან, რუსეთმა გამოთქვა პრეტენზია, რომ ჩვენ წინასწარ ვიცით მონიტორინგის შესახებ და ბოევიკებს ვაგებინებთ, რათა მიიმალონ). ამ მოწვევისთვის ჩვენი პრეზიდენტისა და ხელისუფლებისგან სრული კარტ-ბლანში მქონდა. ვითხოვე, რომ მისიაში აუცილებლად ჩართულიყვნენ რუსი სპეციალისტებიც. ეუთო-ს თავმჯდომარე ამ მოწვევას დათანხმდა.

**- აფხაზეთთან დაკავშირებით არაფერი თქმულა?**

- იგი საქმის კურსში იყო და აღგვითქვა, რომ ჩვენ ეუთო-ს მხრიდან ევროპელი კოლეგებისგან მეტი მხარდაჭერა გვექნება. საქართველო მზადაა მშვიდობიანი დარეგულირებისთვის, მაგრამ ეფექტურობისთვის აუცილებლად საჭიროა საერთაშორისო თანამეგობრობის გააქტიურება.



პირადად მე გაზსადენის რუსეთისთვის მიყიდვის კატეგორიული წინააღმდეგი ვიქნები, რა ფასადაც არ უნდა იყოს ეს.

მქონდა ხანმოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი შეხვედრა ნატო-ს გენერალურ მდივანთან, ბატონ სხეფერთან, რომელიც საქართველოს მეგობარია და გახსოვთ, ალბათ, მაასტრიხტში როგორ აქტიურად ცდილობდა საქართველოს დახმარებას.

**- შიდა ამბებსაც შევეხოთ - მიმდინარეობს საზოგადოებრივი კამათი ქვეყნის ფედერალური და უნიტარული მოწყობის შესახებ. ფედერალური მოდელის მომხრეები არსებული რეალობიდან გამოდიან. დღეს, მართლაც, ასეთია რეალობა, მაგრამ ხვალ შეიძლება სხვაგვარი იყოს. კანონი უნდა ქმნიდეს რეალობას თუ რეალობა - კანონს?**

- კანონი არ შეიძლება მოწყვეტილი იყოს რეალობიდან. რეალობას მოწყვეტილი კანონი განწირულია იმისთვის, რომ ფურცელზე დარჩეს და არ იმუშაოს. რეალურთან მიახლოებული კანონი რეალობის გაუმჯობესების საშუალებას ქმნის.

საქართველოში რომ უნიტარიზმისთვის რეალური შესაძლებლობები იყოს, წინააღმდეგი არ ვიქნებოდი, რადგან ეს ქვეყნის შიდამოწყობის მარტივი მოდელია. მაგრამ, დღეს საქართველოში არ არის ამის საშუალება - ქვეყანას, სადაც ორი ეთნიკური კონფლიქტია, სადაც არსებობდა სამი ავტონომია - ხელოვნურად უნიტარულ სახელმწიფოდ ვერ აქცევ. განა რეალურია, აფხაზებს ვუთხრათ - არავითარი ავტონომიური უფლებები არ გექნებათ და საქართველოში იმავე სტატუსით უნდა შემოხვიდეთ, რა სტატუსითაც იმერეთი და კახეთია? ერთია სურვილები და მეორე - რეალობა. თუ ამ პრობლემის მოგვარება გვინდა, უნდა ვილაპარაკოთ, რა მოცულობის ავტონომიას ვაძლევთ და რა პრინციპებით ვთანამშრომლობთ ამ ორ წარმონაქმნთან ისე, რომ ორი ერის პრინციპები და უფლებები საერთაშორისო კანონმდებლობით იყოს დაცული და, მეორე მხრივ, ერთიანი საქართველოს ეროვნული და ნაციონალური ინტერესები არ შეილახოს.

ძალიან ურაპატრიოტიზმიც ნუ გამოგვივა - შეიძლება, ვინმეს ისიც უნდა, საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე იხილოს...

**- აღმაშენებლობის მსურველები დღეს გვყავანან.**

- ბუნებრივი სურვილია, შენი ქვეყანა ძლიერი, ერთიანი და 12 მილიონიანი იყოს, მაგრამ ეს ოცნების საგანია. ჯობს, მიწაზე დავეშვათ.

**- რა გამოცდილებას გამოიყენებს ევროსაბჭო კონფლიქტების დასარეგულირებლად და სტატუსის განსასაზღვრად?**

- ის, რაც პრეზიდენტმა ევროსაბჭოში თქვა და გააკეთა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო. უცხოელი მეგობრები ხშირად გვსაყვედურობდნენ, რომ არ ვთავაზობდით ინიციატივებს. ვფიქრობ, ეს გარღვევა მოხდა. მსოფლიოში არსებობს კონფლიქტებისა და ავტონომიის დარეგულირების მექანიზმები. ჩვენ უნდა ავიღოთ ის ოპტიმუმი, რაც საქართველოს სინამდვილისთვის მაქსიმალურად მისაღებია. ეს დოკუმენტი საბოლოო ვარიანტი არ არის და ამის შესახებ პრეზიდენტმა თქვა. ეს იყო პირველი ეტაპი, ჩვენი ინიციატივა და ნებისმიერი კონსტრუქციული წინადადების განსახილველად, თუნდაც კომპრომისებზე წასვლისთვის ვართ მზად, მაგრამ არა ისეთზე, რომელიც ჩვენი ხალხისა და ქვეყნისთვის არ იქნება მისაღები.

**- რა რეაქცია ჰქონდათ რუსებს?**

- არაერთგვაროვანი. ალბათ, ნახეთ რუსი კოლეგის გამოსვლა, რომელმაც არც თუ უარყოფითად შეაფასა ეს წინადადებები...

**- გულისხმობთ ჟირინოვსკის პარტიის წარმომადგენლის განცხადებას იმის შესახებ, რომ საქართველო რუსი ინვესტორების შეშვებით გონს მოეგო?**

- ვერ გეტყვით, რომ ჟირინოვსკის პარტიის განცხადებებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. ამას რუსეთის ხელისუფლება უნდა გამოეხმაუროს, ძალიან სტუმართმოყვარედ რომ ხვდებიან ლიდერებს. მათ ითამაშონ შუამავლისა და მომრეგულირებლის როლი. როლი, რაც საერთაშორისო თანამეგობრობამ დააკისრა.

**- ამდენი ხანია, რუსეთს ვერც საერთაშორისო თანამეგობრობამ აიძულა მშვიდობისმყოფელი როლის შესრულება. რაიმე ახალი ბერკეტი გაჩნდა?**

- თუ საერთაშორისო თანამეგობრობა გააქტიურდება და დარწმუნებული ვარ, ასეც მოხდება, რუსეთს სხვა გზა არ დარჩება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის საერთოდ პროცესს მიღმა აღმოჩნდება და ამის ბერკეტი არსებობს - ჩაერთვება ეუთო, ევროკავშირი, ევროსაბჭო, მთელი მსოფლიო. არსებობს სხვადასხვა პოლიტიკური გზები, რომლითაც რუსეთი ამ პოცესებზე გავლენას დაკარგავს. ეს აუცილებლად მოხდება, თუ რუსეთი პოზიტიურ როლს არ ითამაშებს. თუ ის პოზიტიურ როლს ითამაშებს, ამით არა მხოლოდ საქართველო, არამედ რუსეთიც მოიგებს - შეიცვლება იმიჯი რუსეთისა, რომელიც მუდმივად ცდილობს, პრობლემები შეუქმნას მეზობელ სახელმწიფოს. თუ ამას გაიგებენ, ხომ კარგი, თუ ვერ გაიგებენ - მაინც გვეშველება, ოღონდ, რუსეთის გარეშე.

**- ყველაფრის მიუხედავად, უკანასკნელი საპრივატიზაციო გადაწყვეტილებები ხელისუფლებამ რუსეთის სასარგებლოდ მიიღო, სტრატეგიულ პარტნიორად კი დასავლეთს ვაცხადებთ. დღის წესრიგში მაგისტრალური მილსადენები დადგა, რომლის გაყიდვაც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების საკითხია. რას აპირებს ხელისუფლება?**

- საქართველოში ნებისმიერი ქვეყნის და, მათ შორის, რუსეთის ინვესტიციებსაც მივესალმები. თუ რუსეთის ეკონომიკური ელიტა ინვესტირებით იქნება დაინტერესებული, ეს ნიშნავს, რომ ამ ქვეყნის სტაბილურობითაც დაინტერესდებიან. თუმცა, აქ არის ერთი დიდი "მაგრამ"... წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ ობიექტების უმრავლესობა რომელიმე ერთმა ქვეყანამ ჩაიგდოს ხელში. მით უმეტეს, ფრთხილად ვეკიდები საკითხს, როდესაც საქმე სტრატეგიულ ობიექტებს ეხება. მიმაჩნია, რომ გაზსადენი სტრატეგიული ობიექტია. ვიცი, რომ ამაზე სხვადასხვა სტრუქტურებში ბევრს ფიქრობენ და რომ პრეზიდენტიც დიდი სიფრთხილით ეკიდება ამ საკითხს, მაგრამ პირადად მე გაზსადენის რუსეთისთვის მიყიდვის კატეგორიული წინააღმდეგი ვიქნები, რა ფასადაც არ უნდა იყოს ეს.

**- საქართველოს ხელისუფლებას დაუშვებლად მიაჩნდა კრიმინალ ფუხაევის მძევალ პოლიციელ ჩალაურში გაცვლა. სხვა სოუსით, მაგრამ ეს მაინც მოხდა, რატომ?**

- შანტაჟის ენით ლაპარაკის უფლებას არავის მივცემთ. რა თქმა უნდა, ცუდია, როდესაც გამტაცებელთან მოლაპარაკებებზე მიდიხარ, მაგრამ ყოველთვის არსებობს საპირწონე. როცა სასწორზე ადამიანის სიცოცხლე დევს და არსებობს შეიარაღებულ კონფლიქტში ჩათრევის საშიშროება, ცხადია, ხელისუფლებას გარკვეულ კომპრომისზე წასვლა უწევს. ფუხაევი საერთაშორისო ელემენტს - ოთხმხრივ კომისიას გადავეცით. ეს არ არის იდეალური გადაწყვეტილება, მაგრამ მსხვერპლად შეწირვას ნამდვილად ჯობდა. ძალიან მალე დადგება დრო, როდესაც ჩვენ ამას ვერ გაგვიბედავენ.

**- თქვენ პირდაპირი მნიშვნელობით, ზემოდან უყურებთ პარლამენტის დარბაზს. ცხადია, ხელისუფლება ოპოზიციის სიძლიერეზე ვერ იზრუნებს. რა მოძრაობებია დარბაზში? გამოცდილება რას გკარნახობთ, ოპოზიცია ძლიერდება და ბევრდება?**

- სიმართლე გითხრათ, დარბაზი პრეზიდიუმიდან ნაკლებად სასიამოვნო საყურებელია და ამას ის ნაკლებად დისციპლინირებული დეპუტატებიც ამჩნევენ, რომლებიც ზოგჯერ ჩემთან სასაუბროდ ამოდიან. მაგრამ, ეს არის სამუშაო ვითარება, პარლამენტს ეს სპეციფიკა აქვს. ეს ისეთივე სამუშაო რეჟიმია, როგორიც თქვენ გაქვთ რედაქციაში. კამათი და მით უფრო, არა კანონებზე, გარეშე თვალისთვის მართლაც ცუდი სანახავია... მაგრამ, სანამ დემოკრატიული პროცესები ღრმად არ წავა და დემოკრატიული ინსტიტუტები საბოლოოდ არ ჩამოყალიბდება, პარლამენტის სხდომების ტრანსლაციის მომხრე ვარ. პარლამენტის გაძლიერებაზე სერიოზულად ვფიქრობ და ამ გეგმას განვითარების გარკვეული ეტაპები აქვს...

**- თავს სუსტად გრძნობთ?**

- მე - არა, მაგრამ ვფიქრობ, რომ პარლამენტი მთლიანად ვერ ასრულებს იმ ფუნქციას, რომელიც მას აკისრია. მხედველობაში მაქვს არა კანონშემოქმედებითი, არამედ საზედამხედველო, აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის ფუნქცია. ეს გარკვეულწილად გასაგები იყო, რადგან მთელი წინა წლის განმავლობაში ფორსმაჟორში ვმუშაობდით. ანომალიაა, როცა ერთ სესიაზე 90 კანონს იღებ. მეორე მხრივ, მთავრობის მუშაობისთვის გადაუდებლად უნდა მიგვეცა მინიმალური შესაძლებლობები. გარწმუნებთ, თებერვლიდან ასე აღარ იქნება და იმიტომ, რომ ერთ სესიაზე მიღებული 80 კანონი სათანადო ხარისხის ვერ იქნება.

პრეზიდენტთან მქონდა კონსულტაციები და ის გაგებით მოეკიდა ამ საკითხს. მოხარული ვარ, რომ პრემიერ-მინისტრიც გაგებით მოეკიდა ამ საკითხს. მას განვუმარტე, რომ პარლამენტი ამ რეჟიმში ველარ და აღარ გააგრძელებს მუშაობას. რა თქმა უნდა, გამონაკლისები იქნება, მაგრამ ეს 100-დან 4-5 კანონი შეიძლება იყოს. ყველა გაივლის სათანადო პროცედურას, რაც იმასაც გულისხმობს, რომ მთავრობა ასე მარტივად თვეში ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ ცვლილებას ვერ შემოიტანს, უფრო მობილიზებული გახდება და სტრატეგიაზე იფიქრებს. თითოეულ დარგში გვჭირდება სტრატეგიული განვითარების გეგმა. რაც მთავარია - პარლამენტმა თვალყური უნდა ადევნოს მის მიერ მიღებული კანონების მუშაობას.

იმედი მაქვს, რომ პარლამენტში რომელიმე კანონის ჩაგდება, ან დაწუნება მთავრობის მხრიდან არ იქნება აღქმული, როგორც დაპირისპირება და სახელისუფლებო კრიზისი (როგორც საბიუჯეტო პროცესის დროს მოხდა). ეს მისასალმებელი, ნორმალური პროცესია. რაც უფრო თვითკრიტიკულები ვიქნებით, მით უფრო ნაკლებ შეცდომებს დავუშვებთ.

**- პოლიტიკოსთა ნაწილი ოპოზიციურ გამოსვლას ძალიან მძაფრად აღიქვამს...**

- კრიტიკა არავის უყვარს.

**- დიახ, მაგრამ ხელისუფლებას გააფთრებული იცავენ, საჭიროა თუ არა ეს. ადამიანებს ყოველ დროში სჭირდებათ კერპი და ახლაც. როდის დამთავრდება საქართველოში ცნება "გარემოცვა"?**

- ძალიან ხშირად მაღალი თანამდებობის პირთა მიერ დაშვებული შეცდომები გარემოცვის ბრალია. ადამიანებს კარგის მოსმენა ურჩევნიათ. გარემოცვისა და ერთგული ადამიანის მთავარი ფუნქცია ის არის, რომ რაც უნდა არასასიამოვნო იყოს, ობიექტური რეალობა უთხრას. ამიტომ ვარ მტკიცე და თავს ძლიერად ვგრძნობ, როცა ვამბობ, რომ პარლამენტი კრიტიკული და მკაცრი უნდა იყოს.

მაქსიმალურად აღვკვეთ ზოგიერთი ჩემი კოლეგის მოჭარბებულ სურვილს, გადაეფაროს მთავრობას, ეს დათვური სამსახურია. საჭიროა ოპოზიციაც მაქსიმალურად დაკავდეს საპარლამენტო მუშაობით. თქვენ ნახეთ ევროსაბჭოს დასკვნა, სადაც წერია, რომ საპარლამენტო ოპოზიცია არ არსებობს. ეს ასე არ არის, ოპოზიცია, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ ის რომ სუსტია, ხელისუფლების ბრალი ნამდვილად არ არის. ვერავინ იტყვის, რომ პარლამენტში მათ ვინმე ჩაგრავს, მიკროფონი მათთვის ყოველთვის ჩართულია. მირჩევნია, ოპოზიცია ძლიერად და არგუმენტირებულად გამოდიოდეს. ამას, ალბათ, დრო დაალაგებს.

**- უმრავლესობა ხშირად ითვალისწინებს ოპოზიციის შენიშვნებს?**

- ძალიან სურთ, წარმოადგინონ, რომ ეს პარლამენტი ჯიბის არის და ყველაფერზე თავს უქნევს მთავრობას. გაიხსენეთ, როგორი იყო საგადასახადო დებატები და როგორი პრინციპული დეტალები შევაცვლევინეთ მთავრობას?! თავიდან მთავრობა ამბობდა, რომ ნდობაზე დააყენებს საკითხს და ამას არ შეცვლის, მაგრამ რადიკალურად შეიცვალა საგადასახადო კოდექსი და ყველა კომპეტენტური სპეციალისტის აზრიც ეს არის. გაიხსენეთ, როგორ შეიცვალა კანონი ამნისტიის შესახებ, მაუწყებლობის შესახებ და სხვა... ოპოზიციას სათქმელი ნაკლები რჩება იმიტომ, რომ რაციონალურ აზრს თავად ვუწევთ ანგარიშს.

### ედიშერ მაღალაშვილის გარდაცვალების გამო

*ძალზე მიმძიმს ბატონ ედიშერ მაღალაშვილზე წარსულ დროში საუბარი. სულ ორიოდე კვირის წინ შევხვდი - მომღიმარს, იმედიანს, მეოცნებეს, საქართველოს გაერთიანებაში დაჯერებულსა და დაუღალავ ოპტიმისტს. ბუნებით რომანტიკოსს ოდნავი ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ საქართველო გამთლიანდებოდა და ისიც ერთიან საქართველოში ერთ ახალ როლს მაინც შეასრულებდა.*

*ბატონი ედიშერი სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურა მსახიობის ურთულეს პროფესიას. მისთვის სცენა ემოციებისა და ნიჭის გამოხატვის ადგილი იყო, ხოლო ცხოვრებაში საოცრად პირდაპირი, უშუალო და მართალი გახლდათ - აქ თამაში მას მიუღებლად მიაჩნდა.*

*ბედნიერად ვთვლი თავს, რომ პირადად ვიცნობდი ბატონ ედიშერს და ბავშვობიდან მქონდა საშუალება, ხშირად მომესმინა მისი დინჯი და საინტერესო საუბარი. იგი უყვარდა ყველას, ვისაც უყვარდა ქართული თეატრი, კინო, ვინც პატივს სცემდა მამულიშვილობას, პროფესიონალიზმს, ვაჟკაცობასა და განათლებას. მისი ნიჭიერება და მაღალი კულტურა მისი ოჯახის ფესვებიდან მოდიოდა და ამ ფესვების მადლიან ყლორტებს დღეს მისი შვილები და შვილიშვილები გაახარებენ.*

*ნინო ბურჯანაძე*



# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
დარიო ფოს "თავისუფალი წყვილის" მიხედვით
"თავისუფალი სიყვარული"
რეჟისორი: ციცინო კობიაშვილი
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
მიხეილ მარმარინოსი
"ეროვნული ჰიმნი"
(თეატრალური ლაბორატორია "ტერა ინკოგნიტა")
დამდგმელი რეჟისორი: მიხეილ მარმარინოსი
დას: 19:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
"მეფე ლირის თავშესაფარი"
რეჟისორი: ოთარ ბაღათურია
დას: 18:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ედუარდო დე ფილიპო
"აჩრდილები"
რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
პრემიერა
"პატარა უფლისწული"
მ. სურმავას სპექტაკლი
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ნიუ იორკის ტაქსი"
დას: 12:00; 18:00; 20:00; 22:00 სთ

"ყველაზე მაგრები მსოფლიოში"
დას: 14:00; 16:00 სთ.

**ამირანი**
"ბრიჯიტ ჯონსი 2"
დას: 14:30 სთ.

"შეხვედრა ფაკერებთან"
დას: 12:00; 17:00; 19:30; 22:00 სთ.
ფასი: 7-დან 10 ლარამდე.

## გამოფენები

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
"ქარვასლასა" და სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში დაცულ ექსპონატთა გამოფენა

**ჰობი**
ელდარ ქავშბაიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
"დახურული ქოლგები"
I დარბაზი

თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების
გამოფენა (ფერწერა)
II დარბაზი

**სურათების ეროვნული გალერეა**
სამხატვრო აკადემიის ქსოვილების კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა ნამუშევრების გამოფენა (გობელენი, თექა, ბატიკა)

## კლუბები

**"ბერლინი"**
"შედოუქეთი" წარმოადგენს:
დი-ჯეები: ლილუ, ედგარ სებისი, ფიშბონი, ქრეიზი, დარკი
ფასი: 15 ლარი
კლუბის გახსნა: 22:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# კიდმანმა გაიმარჯვა




ნიკოლ კიდმანმა ორი ფოტოგრაფის წინააღმდეგ სასამართლო პროცესზე პირველი გამარჯვება მოიპოვა. ეს პროცესი მას შემდეგ დაიწყო, რაც სიდნეიში მსახიობის სახლთან მოსასმენი მოწყობილობა აღმოაჩინეს. შედეგად სასამართლოს გადაწყვეტილებით, 43 წლის ჯეიმ ფოსეტსა და 32 წლის ბენ მაკდონალდს კიდმანის სახლთან 20 მეტრის რადიუსით მიახლოება აეკრძალათ. გამომძიებელთა აზრით, პაპარაცები ცდილობდნენ მოსასმენი მოწყობილობა მსახიობის სახლთან დაემონტაჟებინათ.

კიდმანის სკანდალის მოკლე ისტორია ამგვარია: ცოტა ხნის წინათ ნიკოლ კიდმანი ავსტრალიაში ახალი ფილმის "ევკალიპტის" გადაღებებზე ჩავიდა. ფოსეტი და მაკდონალდი მას შემდეგ დააკავეს, რაც ისინი მსახიობის მანქანას მაღალი სიჩქარით დაედევნენ. მოსასმენი აპარატურით უნდა მოესმინათ საუბარი მსახიობსა და მისი დაცვის წევრებს შორის, რათა ფოტოგრაფებს ზუსტად გაეგოთ კიდმანის სახლთან გასვლისა და სხვა გეგმების შესახებ. თავად ფოტოგრაფები კატეგორიულად უარყოფენ მოსასმენი მოწყობილობის დამონტაჟებას.

პაპარაცები უკვე დიდი ხანია, სიცოცხლეს უმწარებენ ცნობილ მსახიობს. 1998 წელს ერთ-ერთმა მათგანმა ერიკ ფორდმა ჩაიწერა კიდმანისა და მისი ყოფილი მეუღლის ტომ კრუზის საუბარი და ეს ჩანაწერი გაზეთ The Globe-ს მიჰყიდა.

# ეროვნული მუზეუმის არჩევანი

### "გვინდა, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა იყოს ისე მოვლილი, როგორც ესპანეთშია"

ვერა ნეფარიძე

*სასტუმრო "თბილისი-მარიოტში" გამართული გუშინდელი ღონისძიება ერთგვარი პასუხია შეკითხვაზე: რა მიმართულებით აპირებს მუშაობასა და განვითარებას ახლად დაარსებული ეროვნული მუზეუმი. სამუზეუმო ტრადიციებზე დაფუძნებული რეფორმირებული სამუზეუმო უწყება ევროპული გამოცდილების გაზიარებით და წარმატებულ ინსტიტუციებთან თანამშრომლობით აპირებს პროფილის გაფართოებას. ამიტომაც თავისი პირველი საერთაშორისო კონტრაქტი ეროვნულმა მუზეუმმა ბარსელონის უნივერსიტეტთან გააფორმა.*




იური ლობოდინის ფოტო

ახლად დაარსებული ეროვნული მუზეუმის არჩევანს - თავისი საერთაშორისო კონტაქტები პირველად ბარსელონას უნივერსიტეტთან დაეკავშირებინა, რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი, ეს ესპანური უნივერსიტეტის გამოცდილება და ავტორიტეტია. 1450 დაარსებულ უმაღლეს სასწავლებელს (რომელსაც ყოველწლიურად 10 ათასი კურსდამთავრებული ჰყავს, ხოლო მისი წლიური ბიუჯეტია 275 მილიონი ამერიკული დოლარი) საგანმანათლებლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევის მჭიდრო დაკავშირების ხანგრძლივი და ეფექტური გამოცდილება აქვს. ახლად დაარსებული, ფართო პროფილის კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გეზიც სწორედ იქითკენ (განსხვავებულ სფეროთა ინტეგრაცია) მიემართება; რაც შეეხება მეორე მიზეზს - ეს ქართველი და ესპანელი პალეოანთროპოლოგების თანამშრომლობის გამოცდილებაა. ეს თანამშრომლობა, როგორც ბარსელონის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა შეგვახსენა, ერთობლივი კვლევები პალეოანთროპოლოგიაში ფართოდ გაშუქდა მთელ მსოფლიოში; ბარსელონას უნივერსიტეტის მუზეუმში კი ფუნქციონირებს საქართველოს კუთხე - არქეოლოგიური ექსპონატებით. ეს ყველაფერი იძლევა საფუძველს, რომ გუშინ ეროვნულ მუზეუმსა და ბარსელონის უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ ნაყოფიერი გამოდგეს. უფრო კონკრეტულად, თუ რა იდო საქაღალდეებში, ანუ რას გულისხმობდა ხელმოწერილი ფურცლები, ამის შესახებ მინისტრებისა და მოწვეული სტუმრების თანდასწრებით ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ და ბარსელონის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა ჯორდი მარტინიმ ისაუბრეს.

დასაწყისში ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ცერემონიალის არსის პირველი სიმბოლო ახსნა. "ის, რომ რეფორმირებული, მდიდარ ტრადიციებზე დაფუძნებული ეროვნული მუზეუმი იწყებს ურთიერთობას ესპანეთთან, პირველ რიგში, ნიშნავს: გვინდა, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა იყოს ისე მოვლილი, როგორც ესპანეთშია; ბარსელონა კი არის იმის სიმბოლო, თუ როგორ უნდა მოგვარდეს". იმისთვის, რომ სამაგალითოდ მივხედოთ კულტურულ მემკვიდრეობას (და არა მარტო), უნდა ვისწავლოთ მართვა. ამიტომაც, გუშინდელი ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტი ტურიზმის მართვაში კადრების მომზადებას ითვალისწინებს. როგორც ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა გვითხრა, ზაფხულში ქართველი სტუდენტების პირველი ნაკადი ესპანური გამოცდილებისა და ცოდნის მისაღებად ბარსელონაში გაემგზავრება.

ქართულ-ესპანურ ხელშეკრულებაში ჩადებული საგანმანათლებლო პუნქტი იყო მთავარი მიზეზი, რის გამოც გუშინდელ ცერემონიალს განათლებისა და მეცნიერების მინისტრიც დაესწრო. "ბარსელონის უნივერსიტეტი კარგი მაგალითია, როგორ უნდა იყოს საგანმანათლებლო პროცესი და სამეცნიერო კვლევა მჭიდროდ დაკავშირებული; ეს ხელშეკრულება შესაძლებლობას აძლევს ჩვენს სტუდენტებსა და მეცნიერებს. ეს იქნება ურთიერთობა წამყვან სამცენიერო ცენტრებთან და სასწავლებლებთან", - ალექსანდრე ლომაიამ აქვე სტატისტიკური მონაცემებიც გაგვანდო. ექვსმილიონიან კატალონიაში თერთმეტი უნივერსიტეტი (აქედან 7 სახელმწიფო და 4 კერძო) მუშაობს, ოთხმილიონიან საქართველოში კი უნივერსიტეტების რაოდენობა 227-ია. მისასალმებელი სიტყვის დასასრულს, მინისტრმა იმედი მოგვცა, რომ უახლოეს მომავალში საქართველოში ეს ციფრი რეალობას მიუახლოვდება. ბარსელონის უნივერსიტეტში სწავლის შანსი რომ თანაბრად უნდა ჰქონდეს როგორც დედაქალაქის, ისე რეგიონებში არსებული უნივერსიტეტების სტუდენტებსა თუ მუზეუმების თანამშრომლებს, ამაზე დავით ლორთქიფანიძემ ისაუბრა: "ეს ხელშეკრულება არის შანსი ქართველი სტუდენტებისთვის. ჩვენ არ შევიზღუდებით მხოლოდ ჩვენი მუზეუმის თანამშრომლებითა და თბილისის უნივერსიტეტით".

ხელმოწერის ცერემონიალზე დარბაზში მყოფთ ესპანელი სტუმარიც მიესალმა; ჯორდი მარტინელიმ ეროვნული მუზეუმის გენერალურ დირექტორს ბარსელონის უნივერსიტეტის გერბი გადასცა და იმედი გამოთქვა, რომ საქართველო-ესპანეთის ურთიერთობები კულტურის, მეცნიერების, განათლებისა და ტურიზმის სფეროში კიდევ უფრო გაღრმავდება. ცერემონიალს ესწრებოდა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრიც. "დარწმუნებული ვარ, ამ ხელშეკრულებას მოყვება სხვა მნიშვნელოვანი კონტაქტები. მართალია, სამუზეუმო გამოცდილების დიდი ტრადიცია გვაქვს, მაგრამ განსხვავებულ სფეროთა ინტეგრაცია - ეს ჩვენთვის ახალი მიდგომაა", - განაცხადა გიორგი გაბაშვილმა. სამუზეუმო სფეროში ახლებურ მიდგომაზე ისაუბრა ქალაქის მერმაც. "ბარსელონის უნივერსიტეტთან თანამშრომლობა დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ეროვნულ მუზეუმს, რომელიც მხოლოდ მუზეუმების გაერთიანება არ იქნება. ეს არის სრულიად ახლებური ხედვა; ბატონ დავითს აინტერესებს არა მარტო ის, რა ხდება მუზეუმის კედლებში, არამედ ის, თუ რა ხდება სოციუმში, მუზეუმის მიღმა. ჩვენი მონაწილეობა ინიციატივებითა და ახალი იდეებით იქნება წარმოდგენილი", - თქვა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

როგორც შეგვპირდნენ, ახლო მომავალში გუშინდელი ხელშეკრულების მომდევნო ნაბიჯებს უნდა ველოდოთ. დავით ლორთქიფანიძის თქმით, ამჟამად გრძელდება მუშაობა ესპანელ მეცნიერებთან ერთად პალეოანთოლოგიურ კვლევაში, მუშავდება ექსპოზიცია თბილისისთვის, ხოლო ზაფხულში ქართველი სტუდენტების პირველი ნაწილი გაიგზავნება ბარსელონას უნივერსიტეტში.

# ქართველები ევროპაში

ლიზა ციციშვილი




ლევან ხერხეულიძის ფოტო

28 იანვარს ლიტერატურულ კაფე "პარნასში" მორიგი, გამომცემლობა "არეტეს" ახალი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. "ევროპაში რა მინდოდა", ასე ჰქვია ნუგზარ შატაიძის ახალ წიგნს, სადაც ავტორის მოგონებებთან ერთად, რამდენიმე ესეცაა შესული.

ავტორის თქმით, ეს წიგნი ხუთი-ექვსი წლის მანძილზე შექმნილი წერილების კრებულია. წიგნში ბევრი ისეთი მასალაა დაცული, რაც სამოქალაქო ომის დროს განადგურდა, სამაგიეროდ ამ წიგნში ჰპოვა თავშესაფარი. ავტორს ეს კრებული განსაკუთრებულად უყვარს.

გამოცემამდე რამდენიმე თვით ადრე, "ევროპაში რა მინდოდა" "არილში" დაიბეჭდა. ასევე პერიოდულ პრესაში დაიბეჭდა ნუგზარ შატაიძის კრებულში შესული სხვა მოთხრობები და ესეები.

მოკლედ გიყვართ თუ არა წიგნი, გაქვთ თუ არა ფული, ორივე შემთხვევაში გირჩევთ გადახედოთ ამ ახალ კრებულს.

# „ვესტ საიდის ისტორიას" „დიზელი" ცვლის

"დიზელს", თითქოს, რეკლამა არ სჭირდება, ისედაც ძალიან პოპულარულია. მაგრამ მიღწეულით მსხვილი სავაჭრო ნიშნები ხომ არასდროს კმაყოფილდებიან და "დიზელიც" 2005 წელს ძალიან ამბიციური სარეკლამო კამპანიით იწყებს.

გარდა იმისა, რომ მის პროდუქციას ნიუ იორკის მოდის კვირეულზე გაიტანენ, 2005 წლის გაზაფხული/ზაფხულის კოლექციის პოპულარიზაციისთვის მინი-მიუზიკლსაც დადგამენ. პროექტს ბრიტანელი ფოტოგრაფი ელაინ კონსტანტინი ხელმძღვანელობს. მან ამერიკელ ქორეოგრაფ მაიკლ რუნისთან ერთად "დიზელის" ახალი კატალოგები სახელწოდებით "მომავალი" შექმნა. 60-70-იანი წლების მხიარული ფერები, ოპტიმიზმი, უსაზღვრო შესაძლებლობები და რაღაც სასიამოვნოს მოლოდინი - ასეთია განწყობა, რომელსაც "დიზელი" საგაზაფხულოდ გვთავაზობს. ერთგან ისიც არის მინიშნებული, რომ "დიზელის" ახალი სტილი ძველისა და თანამედროვეს ნაზავი იქნება და ვუდსტოკის ფესტივალის მომავალის ასოციაციას შექმნის. მიუზიკლში პროფესიონალი მოცეკვავეები მონაწილეობენ. გადაღებები ბუენოს აირესში მიმდინარეობდა. მუსიკალური ფილმივით გაკეთებულ რეკლამებს ფოტო და ტელეფორმატშიც ვიხილავთ.

მანამდე კი "დიზელის" დადებითი აურა მის ოფიციალურ ვებ-გვერდზეც იგრძნობა. ყვითელ ფონზე დახატული რუკა და რუკაზე მიმოფანტული მოდელები - ახალი, ჰიპერ-ახალგაზრდული და მოდური ტანსაცმლითა და აქსესუარებით მართლაც უტოპიური მხიარულებისთვის გვამზადებენ.

ალბათ, ამიტომაც წერს ჟურნალი "ვოგი", რომ: "დიზელის" მომავალი ის დროა, რომელშიც გადასახლებაც თითოეულ ჩვენგანს მოუნდება".

# ჩვენ ისინი მარტო ამიტომ არ გვიყვარს...

## ჰომოსექსუალები ამერიკულ მუსიკაში

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში



1945 წელი. "ძლევამოსილი კოჰორტის" ბირთვი, ლეონარდ ბერნსტაინი და აარონ კოპლენდი.

მუსიკა და ჰომოსექსუალიზმი... მათ შორის კავშირი დიდი ხანია, მუსიკის მცოდნეთა და ფსიქოლოგთა დიდ ინტერესს იმსახურებს. იყო თუ არა ჰენდელი, ჰარმონიის მარტოსული გენიოსი, გეი? რა ურთიერთობა ჰქონდა შუბერტს, რომლის მახინჯ სხეულში თავად მშვენიერება ბუდობდა, იმ ახალგაზრდებთან, მას რომ აღმერთებდნენ? და, ცხადია, ჩაიკოვსკი. ჩვენ არ ვიცით, "ვის ვისთან ეძინა", მაგრამ ეს არ არის მთავარი. შუბერტისა და, მით უმეტეს, ჰენდელის დროს ჰომოსექსუალიზმს ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეძენილი ის სოციალური იდენტიფიკაცია, რომელიც ამჟამად განსაზღვრავს მის ადგილს საზოგადოებასა და შემოქმედებაში.

უდავოა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პლანეტაზე ყველას გაუსწრო იმ ადგილითა და წონით, რომელიც ჰომოსექსუალებმა მოიპოვეს ნაციის ცხოვრებასა და ქვეყნის კულტურაში. ამის მიზეზი კი, ცხადია, ამერიკის ჰაერში ჰომოსექსუალიზმის საიდუმლო სპორების არსებობა არ გახლავთ (ირწმუნებიან, რომ სან ფრანცისკოში გეიმტრედებიც კი არიან). საქმე საზოგადოების ღიაობაში გახლავთ, რამაც კარის გასაღების ჭუჭრუტანა გიგანტურ აკვარიუმად აქცია. მასში ყველაფრის დანახვა შეიძლება.

ავიღოთ ამერიკული მუსიკა. მის განვითარებაში ჰომოსექსუალების მიერ შეტანილ წვლილს სხვა ვერაფერს უწოდებ, თუ არა ექსტრაორდინარულს. ამაზე, როგორც ამბობენ, "მშრალი ფაქტებიც" მეტყველებს. ჰომოსექსუალი იყო "ამერიკული მუსიკის გლინკა", აარონ კოპლენდი, ლეონარდ ბერნსტაინი, მარკ ბლიცსტეინი, პოლ ბოულსი, ვირჯილ ტომასი, ნედ რორემი, დევიდ დაიმონდი და სამუელ ბარბერი, მოკლედ იმ ამერიკელი კომპოზიტორების მთელი "ძლევამოსილი კოჰორტა", რომელმაც მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში შეერთებული შტატების ნაციონალურ მუსიკას ჩაუყარა საფუძველი. მათემატიკური კანონზომიერებითაც კი ამ დამთხვევას შემთხვევითს ვერ უწოდებ. ამ გარემოებამ ამერიკელი მუსიკათმცოდნეები და კულტურის ისტორიის მკვლევარები აიძულა შემოეღოთ ტერმინი "კოლექტიური ჰომოსექსუალური მგრძნობელობა". თუმცა, ამგვარი მოვლენის არსებობაში დარწმუნებულები ტერმინს სხვადასხვა ინტერპრეტაციას აძლევენ. განსაკუთრებით სადავო კი ის არის, როგორ აისახება ეს "მგრძნობელობა" ინსტრუმენტულ, ტექსტით ან დრამატული სიუჟეტით დაუმძიმებელ, ეგრეთ წოდებულ "აბსოლუტურ" მუსიკაზე. მაგალითად, შეიძლება არ იცოდე, რომ დიდებული ინგლისელი კომპოზიტორი ბენჯამენ ბრიტენი გეი იყო, მაგრამ შეგიძლია მიხვდე მისი ჰომოეროტიკული ობერტონების მქონე ოპერების შინაარსით ("ბილი ბადი" ან "სიკვდილი ვენეციაში"). ჰომოეროტიკული ელფერი დაჰკრავს ბრიტენის "პიტერ გრიმსსა" და კომედიურ "ალბერტ ჰერინგსაც" კი. მაგრამ ნამდვილად ეშმაკისეული ცდუნება იქნება ბრიტენის ჰომოსექსუალიზმი ჩაიჭირო მის სახელგანთქმულ სიმფონიაში ვიოლანჩელისთვის ორკესტრთან ერთად.

იგივე შეიძლება ითქვას ამერიკელ კომპოზიტორთა "ძლევამოსილ კოჰორტაზე". მაგრამ რაღაც საერთო ფორმულის მიგნების ცდუნება ძალზე დიდია და ძალზე მოდურიც. ამის დასადასტურებლად ახლახანს გამოცემული წიგნიც გამოდგება, სახელწოდებით: "ამერიკული ბგერის ჰომოსექსუალური კომპოზიცია: მოდერნისტი ჰომოსექსუალები, ამერიკული მუსიკა და ნაციონალური იდენტურობა". კალიფორნიის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ამ წიგნის ავტორი, მუსიკათმცოდნე, პროფესორი ნადინ ჰაბსია. წიგნი არც ისე სქელტანიანია - ტექსტი სულ 178 გვერდს მოიცავს, სამაგიეროდ სქოლიოების მთელი 70 გვერდი ახლავს. წიგნის ამბიციურობა კი მისი სიდიდის უკუპროპორციულია. ავტორი ილტვის დაამტკიცოს, რომ მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ეგრეთ წოდებული ამერიკული ბგერა - კოპლენდისეული ჰარმონია და ელეგიური ხალხური მუსიკისა და ამერიკული საცეკვაო მუსიკის ელემენტებით გაჯერებული მელანქოლიური მელოდიები - ნიუ იორკში, მანჰეტენზე მცხოვრები ჰომოსექსუალისტ კომპოზიტორთა ჯგუფის შემოქმედებაა (მათი სახელები ზემოთ უკვე ჩამოვთვალე - მ.ს.).

ჰაბსის წიგნი, რომელიც ძირითადად კოპლენდსა და ტომსონზეა ორიენტირებული, ასე ვთქვათ, შიფრავს მათ მუსიკაში ჩამალულ ჰომოსექსუალიზმს, მასზე საზოგადოების ჰომოფობიისა და საერთოდ, ამერიკის კულტურული ამბივალენტობის გავლენას - ყველაფრის დაშვებულობით დაწყებული, "კუდიანებზე ნადირობის" ჩათვლით. ამ წიგნმა უკვე გამოიწვია ამერიკელ ჰომოსექსუალ მუსიკოსებსა და მუსიკათმცოდნეებს შორის დისკუსიის დაწყება. მაგალითად, "ნიუ იორკ ტაიმსის" მთავარი მუსიკალური კრიტიკოსი ენტონი ტომაზინი წერს: "ჩემი ძმები და დები - ჰომოსექსუალები უნდა მიესალმონ ქალბატონ ჰაბსის ნაამბობს გადამწყვეტი როლის შესახებ, რომელიც ჰომოსექსუალმა კომპოზიტორებმა ითამაშეს იმ მუსიკალური იდიომის განვითარებაში, რაც განსაზღვრავს "ამერიკას არა მხოლოდ საკონცერტო დარბაზებში, არამედ კინოში, ტელევიზიასა და კომერციულ კულტურაში".

მაგრამ თვით ჰომოსექსუალი მუსიკათმცოდნეებიც კი, მათ შორის, ტომაზინიც, გარკვეულ უხერხულობას განიცდიან იმის გამო, რომ გახმაურებული წიგნის ავტორი ცდილობს მთელ ამერიკულ მუსიკაში "კოლექტიური ჰომოსექსუალური მგრძნობელობა" აღმოაჩინოს. ალბათ ამიტომაც, ამ წიგნმა პოპმუსიკის ისტორიკოსებს შორის მეტი მოწონება დაიმსახურა, ვიდრე პროფესიონალ მუსიკათმცოდნეებში. გამონაკლისი მხოლოდ მაკარტურების ფონდის პრემიის "გენიოსების" ლაურეატი სიუზენ მაკლერია. მაგრამ ის დაინტერესებული პირი გახლავთ და ამდენად, ნაკლებ ობიექტურიც. მაკლერი ავტორია სტატიისა "სუბიექტივიზმის კონსტრუქციები შუბერტის მუსიკაში". ეს სტატია 1991 წელს გამოქვეყნდა და მუსიკის თეორეტიკოს ჰომოსექსუალისტთა ერთგვარ მანიფესტად იქცა. მაკლერი უარს ამბობდა შუბერტის "დაუმთავრებელი" სიმფონიის შენელებული ტემპის "ჰომოსექსუალური ხარისხის" აღიარებაზე. შუბერტის მიერ სრულიად ბუნებრივად შეცვლილი გასაღები მაკლერს აღქმული აქვს, როგორც კომპოზიტორის მიმართვა მსმენელისადმი - "უარყოს უსაფრთხო სტაბილური ტონალობა, რომ შეიგრძნოს - მეტიც, სიამოვნება მიიღოს - საკუთარი თავის შეგრძნებით". ეს სიტყვების ბმული ჰომოსექსუალების კოდური ენიდან რომ ვთარგმნოთ, ნიშნავს სტაბილური ჰეტეროსექსუალური ურთიერთობების ჰომოსექსუალურზე შეცვლის მოწოდებას.

შუბერტის "დაუმთავრებელის" "გენიოსების" პრემიის ლაურეატისეული ინტერპრეტაცია, ეშმაკის შთაგონებული კი გახლდათ, მაგრამ ის მაშინვე აიტაცა "ნიუ იორკ ტაიმსის" მუსიკალურმა კრიტიკოსმა რობერტ შვარცმა (იგი 1999 წელს გარდაიცვალა). მან მაკლერის "ნოვაციები" 1995 წელს, წმინდად კომერციული თვალსაზრისით გამოშვებული დისკის - "მსოფლიოს უდიდესი ჰომოსექსუალისტი კომპოზიტორების მაცდუნებელი კლასიკისადმი" მიძღვნილი ოდით გაამყარა. შვარცი ირწმუნებოდა, რომ სრულიად შესაძლებელია "ანალიტიკური ინსტრუმენტების" შექმნა "მუსიკაში გეი-ესთეტიკის გასაშიფრად". მაგრამ ამ "ინსტრუმენტების" მისეული ხედვა ხელოვნური, სქოლასტიკური იყო და არანაირად არ დასტურდებოდა ჰარმონიით (მაგალითად, კაცური, ქალური და შერეული, ანუ ჰომოსექსუალური აკორდები).

როდესაც კონკრეტული მუსიკალური ოპუსების ინტერპრირებისას ჰაბსი თავის წიგნში ცდილობს შვარცის გზას გაჰყვეს, ის აბსოლუტურად სუბიექტურ, თითიდან გამოწოვილ მსჯელობებში ეფლობა. მაგრამ მისი ანალიზი გაცილებით ფასეული ხდება, როდესაც ის ამერიკული მუსიკის იდენტიფიკაციის ფორმირებაზე კოპლენდისა და სხვა ჰომოსექსუალი კომპოზიტორების "ძლევამოსილი კოჰორტის" გავლენას ეხება. წინასიტყვაობაში კი ავტორს მოჰყავს ამერიკის არმიის სარდლობის მოწმობა, რომელშიც ნათქვამია, რომ კოპლენდი იყო "ამერიკის ყველაზე სახელგანთქმული კომპოზიტორი". ეს ციტატა მოყვანილია ესედან, რომელიც ახლავს 2000 წელს, კოპლენდის დაბადებიდან ასი წლისთავის აღსანიშნავად გამოშვებულ, არმიის ქვეითთა ორკესტრისა და ჯარისკაცთა გუნდის მიერ ჩაწერილ დისკს. ესეში ასევე ნათქვამია, რომ კოპლენდის ცხოვრება და შემოქმედება "ამერიკული ცხოვრების წესის" შესახებ მითის შესანიშნავი მაგალითია. ის, რუსეთიდან ემიგრირებული ებრაელების შვილი რასობრივ ცრურწმენებზე მაღლა დადგა და აქტიურად თანამშრომლობდა ზანგ მუსიკოსებთან. მაგრამ ჰაბსს ეს ესე კოპლენდის სტატუსის დასადასტურებლად როდი დასჭირდა. ის დაინტერესდა იმით, რომ აქ ყველაფერია ნათქვამი კომპოზიტორის შესახებ გარდა იმისა, რომ იგი ჰომოსექსუალი იყო (სხვათა შორის, ამის გამო ამერიკის არმიაში არ გაიწვევდნენ - მ.ს.).

და ისევ ისმის კითხვა: როგორ მოხდა, რომ კოპლენდი და მისი მუსიკა ამერიკელების მძლავრ კულტურულ ემბლემად იქცა? როგორ წერდნენ კოპლენდი და მისი მეგობარი ჰომოსექსუალი კომპოზიტორები იმ მუსიკას, რომელსაც წერდნენ? ჰაბსი, პრინციპში, ამ შეკითხვებზე პასუხს არ იძლევა და თავის უსუსურობას პროფესიული ჟარგონების სიმრავლით ნიღბავს (მაგალითად, მისი წიგნის ერთ-ერთი თავი ასეთი სახელწოდებისაა: "მუსიკა, როგორც სექსი, როგორც იდენტურობა და როგორც ხსნადი იდენტურობა". მიდი და გაიგე ამ აბრაკადაბრაში რამე. - მ.ს.) გაცილებით გასაგებია ავტორის მხრიდან ჰომოსექსუალთა "ძლევამოსილი კოჰორტის" დაცვა ჰომოფობებისგან, კერძოდ, კი ჩარლზ აივსისგან. აივსი თვლიდა, რომ ამერიკული მუსიკა გვიანი ევროპული რომანტიზმის მონური გავლენის ქვეშ იმყოფება, ამერიკელი კომპოზიტორები კი "რაღაცას" ინაზებიან. ამიტომ აივსი მოუწოდებდა განაზებულ ჰომოსექსუალებს "მუსკულატურა და ხერხემალი" გაევარჯიშებინათ მუსიკაში ახალი სახალხო ენის შესაქმნელად. ჰაბსის აზრით, აივსის თავდასხმები მაშინდელი ამერიკული მუსიკის მიმართ არსებულ უნდობლობას ასახავდა. საზოგადოება მოწოდებული იყო კომპოზიტორები და, მით უმეტეს, ჰომოსექსუალები, განეხილა არა იმდენად, როგორც "ქალებთან, ჰომოსექსუალისტებთან და მუსიკასთან ურთიერთობაში პირადი პრობლემების მქონე ექსცენტრიული ადამიანები, არამედ როგორც სქესის, სექსუალურობის, მუსიკალობის, ნაციონალური იდენტურობის ურთიერთკავშირის მეხის გავარდნის ძალის მქონე რუპორები, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი მიუძღვით მე-20 საუკუნის ამერიკული მუსიკის ფორმირებაში".

ერთგვარი პარადოქსია, რომ "უხეშ" ამერიკულ კულტურაში სწორედ კოპლენდი და მისი "განაზებული მეგობრები" აღმოჩნდნენ ყველაზე მეტად "კაცები", რომლებმაც შეძლეს ამერიკული მუსიკის გატარება კულტურული შიშების სცილასა და ცრურწმენების ქარიბდას შორის და მას ორიგინალური ჟღერადობა მისცეს. დიახ, ისინი დაკავშირებულნი იყვნენ თითქმის მაფიოზური ფიცით - ომერტათი, მაგრამ საამისოდ მათ მიზეზიც ჰქონდათ. ამ მიზეზების იმდროინდელი სოციალური კლიმატით ახსნისას ტომაზინის მაგალითად მოჰყავს ისტორია, რომელიც კომპოზიტორსა და 40-იან წლებში "ნიუ იორკ ჰერალდ ტრიბუნის" გავლენიან მუსიკალურ კრიტოსს ტომპსონს გადახდა თავს. ტომპსონი პოლიციამ ნიუ იორკის ბრუკლინში, ერთ-ერთ კერძო ბინაში დააკავა, სადაც ჰომოსექსუალი კომპოზიტორები ახალგაზრდა ხალხს, მათ შორის ბრუკლინის სამხედრო-საზღვაო ბაზის მეზღვაურებს ხვდებოდნენ. ტომპსონს ციხეში ღამის გათევა მოუწია და მიუხედავად იმისა, რომ საქმე მიჩქმალეს და სასამართლომდე არ მისულა, ინფორმაცია ამის თაობაზე მაინც გავრცელდა ძლევამოსილი, თუმცა მაღალ საზოგადოებაში მიღებული კომუნისტი-რეაქციონერის უოლტერ უინჩელის სტატიებით.

მეორე მხრივ, თითიდან გამოწოვილად მეჩვენება კონცეფცია, თითქოს ამერიკელ ჰომოსექსუალ კომპოზიტორთა იზოლირებულობამ მათ ფრანგული კულტურის და ესთეტიკის "მკლავებში" ჩავარდნისკენ უბიძგა და აიძულა დაპირისპირებოდნენ "გავრცელებულ და აგრესიულ" გერმანულ მოდერნისტულ მუსიკას, რომელიც ჰარმონიის სამყაროში "მამაკაცურ საწყისთან" იგივდება. ამ კონცეფციის პროკრუსტეს ლოჟაში ნამდვილად ვერ ეტევა ვერც კოპლენდისეული ჯაზისადმი დამოკიდებულება და ვერც მოგვიანებით, მისი მუსიკალური პალიტრის "გამარტივება", რამაც საბოლოო ჯამში მართლაც რომ ორიგინალური ამერიკული მელოდიკის შექმნას შეუწყო ხელი. კოპლენდი, ტომპსონი და მათი მიმდევრები მიიჩნევდნენ, რომ გერმანული მოდერნიზმი "ჩიხში შედის" არა იმიტომ, რომ მათ, ჰომოსექსუალებს არ მოსწონდათ მისი "მამაკაცური საწყისი", არამედ იმიტომ, რომ იგი ამერიკის მუსიკალურ სულს არ ეხმიანებოდა. სწორედ 30-იან წლებში, კოპლენდის მიერ შექმნილმა "გამარტივებულმა" მუსიკამ მოუტანა მას დიდება და სახელი.

ფრანკო-გერმანულ მუსიკალურ-ჰომოსექსუალურ საქანელაზე ვერც იმ, უფრო სწორად, ვერც ისეთი ჰეტეროსექსუალი კომპოზიტორების შემოქმედება ეტევა, როგორებიც არიან როი ჰარისი და უოლტერ პისტონი, რომლებიც "ძლევამოსილი ჰომოსექსუალების" მხარდამხარ მუშაობდნენ. და ბოლოს, სისულელე იქნებოდა გვეფიქრა, რომ იმავე კოპლენდმა 50-60-იან წლებში ორიენტაცია შეიცვალა. არადა, მან გერმანული "მამაკაცური" 12-ტონალური ტექნიკის გამოყენება დაიწყო.

ევგენი ვინოკუროვის ცნობილ ლექსში ნათქვამია, რომ პიკასოს ვიოლინოს "დაშლა" შეეძლო, მაგრამ არავის ძალუძს ადამიანის ცრემლის დაშლა. დიახ, ასეა. შესაძლებელია დაშალო ვიოლინო, მაგრამ ვერ დაშლი იმას, რასაც ვიოლინო უკრავს და ვერც იმ ემოციას, რომელსაც ეს დაკვრა იწვევს. ვერავინ უარყოფს, რომ ნამდვილი მუსიკის შემქმნელთა ბედი მათ შემოქმედებაზე გავლენას ახდენს. მაგრამ, როგორც იტყვიან, ჩვენ ისინი მარტო ამის გამო არ გვიყვარს. და ამ, ცოტა არ იყოს უხამს ხუმრობაში, დიდი აზრია ჩადებული. შესაძლოა, უფრო დიდი ვიდრე ნადინ ჰაბსის მთელ წიგნში, მთელი თავისი 70-გვერდიანი სქოლიოებით.

---

### მოკლედ

**კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით**

| წიგნი | ავტორი | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| ირაკლი სამსონაძე | "ყურთბალიში" | "არეტე" | 4.8 |
| მზია სურგულაძე | "საქართველოს ისტორია ბავშვებისთვის" | "ლიტერა" | 4 |
| (ნოდარ ნათაძის კომენტარებით) | "ვეფხისტყაოსანი" | | 3.6 |
| [illegible] | "პოლიტიკური ქადრაკი" | "ლოგოს პრესი" | 3.2 |
| [illegible] | ქართველ მწერალთა ბიოგრაფიები | "ლიტერა" | 2.8 |
| პიტერ მეილი | [illegible] | გია ქარჩხაძის გამომცემლობა | 2.4 |
| ჰეივუდი | "პოლიტიკური იდეოლოგიები" | "ლოგოს პრესი" | 2.4 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2 |
| აკა მორჩილაძე | "ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2 |
| (გაზეთი) | "24 საათი/წიგნები" | "რუსთავი 2 პრინტი" | 8.4 |

**ევროპის კვირის საუკეთესო ალბომები ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით**

| შემსრულებელი | ალბომის სათაური | ხმის ჩამწერი კომპანია |
|---|---|---|
| რობი უილიამსი | "უდიდესი ჰიტები" | "ქრისალისი" |
| "გრინ დეი" | American Idiot | "რეპრიზა" |
| U2 | How To Dismantle An Atomic Bomb | "აილენდი" |
| ემინემი | Encore | "ინტერსკოუპი" |
| ჯეი-ზი და "ლინკინ პარკი" | Collision Course | "უორნერ ბროსი" |
| "კილერზი" | Hot Fuss | "ლიზარდ ქინგი" |
| "მარუნ-5" | Songs About Jane | [illegible] |
| Max Mutzke | Max Mutzke | "უორნერ ბროსი" |
| [illegible] | Noiz | [illegible] |
| ბლუ | "ბლუს საუკეთესო ჰიტები" | [illegible] |



**გასული კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით**

| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | [illegible] | [illegible] შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | აის კუბი, ნია ლონგი | 18,575,214 | 18,575,214 |
| "მწვრთნელი კარტერი" | ტომას კარტერი | [illegible] | 10,048,599 | 42,790,414 |
| "გაიცანით ფოკერები" | ჯეი როუჩი | [illegible] | 9,683,260 | 247,242,985 |
| "კარგ კომპანიაში" | [illegible] | [illegible] | 7,989,410 | 27,429,867 |
| Racing Stripes | [illegible] | [illegible] | 6,815,270 | 27,088,418 |
| Assault on Precinct 13 | [illegible] | [illegible] | 6,502,724 | 8,040,854 |
| "თეთრი ხმაური" | [illegible] | [illegible] | 4,988,480 | 49,379,138 |
| "ავიატორი" | მარტინ სკორსეზე | [illegible] | 4,837,872 | 58,024,146 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 4,555,434 | 33,118,468 |
| "ელექტრა" | რობ ბოუმანი | [illegible] | 3,964,598 | 20,372,235 |

## ინფოთეკა

### რონალდო ბრაზილიაში გაფრინდა

მადრიდის "რეალის" ფორვარდი რონალდო მონაწილეობას არ მიიღებს "სამეფო კლუბის" კვირის მატჩში "ნუმანსიას" წინააღმდეგ. სააგენტო "როიტერი" იუწყება, რომ "რეალის" ფორვარდი ოჯახური პირობების გამო ბრაზილიაში გადაფრინდა (მას ნათესავი გაუხდა ავად).

### ბელამი "ნიუკასლში" აღარ ითამაშებს

ვიდრე "ნიუკასლ იუნაიტედს" გრემ სუნესი უდგას სათავეში, კლუბის უელსელი ფორვარდი კრეიგ ბელამი გუნდის შემადგენლობაში აღარ ითამაშებს. ამის შესახებ "როიტერს" თავად მწვრთნელმა განუცხადა. "ის ჩემს გუნდში აღარ ითამაშებს, - განაცხადა სუნესმა, - ბელამის, უბრალოდ, ინტერვიუ არ უნდა მიეცა და მე ტყუილში არ უნდა დავედანაშაულებინე".

### ბექჰემის ბურთით ითამაშებენ

19 თებერვალს ინგლისის ჩემპიონთა ლიგის მორიგ ტურში ერთმანეთს შეხვდებიან "ვულვერჰემპტონი" და "ჯილინგემი". ამ გუნდებს საშუალება ექნებათ ერთი ტაიმის განმავლობაში ითამაშონ იმ ბურთით, რომლითაც ინგლისის ნაკრების კაპიტანმა დევიდ ბექჰემმა ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში პორტუგალიის კარში პენალტი ვერ გაიტანა.

### ტაინიო "ტოტენჰემში" გადადის

საფრანგეთის "ოსერის" ნახევარმცველი ტეემუ ტაინიო ამ ზაფხულს ლონდონის "ტოტენჰემში" გადავა. ფეხბურთელმა ლონდონურ კლუბთან წინასწარ კონტრაქტს უკვე მოაწერა ხელი. ფინელი ფეხბურთელი თავის ახალ კლუბს ივლისში თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდება. იმ დროისთვის მისი მოქმედი კონტრაქტი "ოსერთან" უკვე ამოიწურება.

### ფილიპო ინძაგის კვლავ ტრავმა აქვს

ძალიან არ უმართლებს "მილანის" ფორვარდს ფილიპო ინძაგის. ის ძლივს მომჯობინდა და იტალიის თასის მატჩში "უდინეზესთან" ხელი მოიტეხა. ინძაგიმ მეორე ტაიმის შუაგულში, მეტოქის მეკარე მორგან დე სანტისთან შეჯახებისას მიიღო დაზიანება. ის საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა კახა კალაძემ შეცვალა.

ინძაგი გამოტოვებს იტალიის ჩემპიონატის მატჩებს "ბოლონიასთან", "მესინასთან" და "ლაციოსთან", თუმცა, ვარაუდობენ, რომ მინდორზე ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველი მატჩისთვის ("მანჩესტერ იუნაიტედთან") დაბრუნდება.

საინტერესოა, რომ ეს უკვე მეორე ტრავმაა, რომელიც ინძაგიმ ბოლო თვეებში მიიღო. შარშან აგვისტოში ფეხბურთელი მძიმედ დაშავდა და დიდხანს მკურნალობდა. ის-ის იყო დაბრუნდა და, თავის მეორე მატჩში კვლავ ტრავმა მიიღო. თუმცა, ამჯერად აღდგენით პროცესს გაცილებით ნაკლები დრო დასჭირდება.

### "ჩელსიმ" შეიძლება ბუკმეკერები გააკოტროს

ინგლისის ლიგის თასის ნახევარფინალში გამარჯვების შემდეგ Ladbrokes-ის ბუკმეკერულმა კანტორამ გუნდის ოთხივე ტურნირში გამარჯვების კოეფიციენტი 28/1-დან 18-1-მდე დაწია. ხოლო William Hill-მა 10/1-მდე. ამის მიუხედავად, "ჩელსის" ოთხივე ტურნირში გამარჯვება ინგლისურ ბუკმეკერულ კანტორებს შეიძლება 20 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდეთ. საქმე ის არის, რომ სეზონის პირველ კვირაში ამ კოეფიციენტზე ფსონები 200/1-თან იყო.

"ჩვენი წაგება 1999 წელს, როცა "მანჩესტერ იუნაიტედმა" სამ ტურნირში მოიპოვა გამარჯვება, ჯიბის ფულად მოგეჩვენებათ იმასთან შედარებით, რასაც "ჩელსის" ოთხივე ტურნირში გამარჯვების შემთხვევაში წავაგებთ, - განაცხადა Ladbrokes-ის წარმომადგენელმა, - მაშინ 500 ათასი გირვანქა წავაგეთ. ამჯერად კი 5 მილიონს ვრისკავთ. როგორც ჩანს, მოურინიო ფერგიუსონზე გაცილებით უფრო ძლიერია და ჩვენ ღმერთს ვევედრებით, რომ მისი გუნდი სადმე წაბორძიკდეს. დღეიდან მოთამაშეები კიდევ უფრო გააქტიურდნენ. პირველივე ადამიანმა "ჩელსის"ოთხივე ტურნირში მოგებაზე 200 გირვანქა სტერლინგი დადო.

## ფეხბურთი

# ზესტაფონი „ცუნამის ზონაში"

მიხეილ აბაიშვილი

ზესტაფონის "ზესტაფონი" აგრძელებს შეკრებას თურქეთის ქალაქ ანტალიაში. 27 იანვარს თემურ მახარაძის შეგირდებმა მორიგი საკონტროლო მატჩი გამართეს. მათი მეტოქე იყო სამხრეთ კორეის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი. იგეგმებოდა, რომ ამ დღეს "ზესტაფონს" სერბეთის ცნობილ კლუბთან, სპლიტის "ჰაიდუკთან" უნდა ეთამაშა, მაგრამ იუგოსლავებმა პირი გატეხეს და "ზესტაფონის" შტაბს იმპროვიზება მოუხდა.



ზესტაფონმა კორეელებთან ფრე ითამაშა.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

მახარაძემ ასეთი შემადგენლობა დაუპირისპირა მეტოქეს: ქვაჩახია, ღონღაძე, ძამსაშვილი, ზ. ჩხეტიანი, შავგულიძე, გუჩუა, განუგრავა, ნუდნი, კვერნაძე, კ. ჩხეტიანი, იონანიძე.

პირველი ტაიმი ზესტაფონელთა სრული უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით, 1:0 დასრულდა. გოლი იონანიძემ გაიტანა. მეორე ნახევარში მახარაძემ მეორე შემადგენლობა ათამაშა, რომელმაც ვერ შეძლო უპირატესობის შენარჩუნება და მეტოქეს საპასუხო გოლი გაატანინა. მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა, თუმცა, მახარაძე შედეგით უკმაყოფილო არ დარჩენილა.

"ჩვენი მეტოქე სამხრეთ კორეის ერთ-ერთი ლიდერი გუნდი იყო. მატჩი ჩემმა ბიჭებმა ალმავლობით ჩაატარეს და პირველი ტაიმი, რომელშიც ძირითადი შემადგენლობით ვითამაშეთ, მოვიგეთ კიდეც. მოგეხსენებათ, მზადების ამ ეტაპზე შედეგს ნაკლები მნიშვნელობა აქვს. ყველა ფეხბურთელს ვაძლევ თავის გამოჩენის, გამოცდილების მიღების შესაძლებლობას. მეორე ტაიმში თამაშის საშუალება მიეცათ სათადარიგო ფეხბურთელებსაც. ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. ყველამ ზუსტად შეასრულა ტაქტიკური მითითება, რომელიც მატჩის წინ მიიღო", - განუცხადა "24 საათს" სატელეფონო საუბარში "ზესტაფონის" მთავარმა მწვრთნელმა.

შეგახსენებთ, რომ ეს ზესტაფონელთა მესამე საკონტროლო მატჩი იყო. პირველ შეხვედრაში მათ აზერბაიჯანის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი "ქარვანი" დაამარცხეს (3:2), მეორე მატჩში კი დამარცხდნენ სერბეთის უმაღლესი დივიზიონის წარმომადგენელთან "ვოივოდინასთან". იგეგმებოდა კიდევ ერთი ამხანაგური თამაში კიევის "ობოლონთან", მაგრამ ბოლო მომენტში კიეველებმაც უარი განაცხადეს.

"ზესტაფონი" ანტალიაში 7 თებერვლამდე დარჩება. სხვა ქართულ კლუბებთან შედარებით, ის გაცილებით ადრე დაიწყებს ოფიციალურ საფეხბურთო სეზონს. 14 თებერვალს მახარაძის გუნდი საქართველოს თასის განმეორებით მერვედფინალურ მატჩში საკუთარ მოედანზე უმასპინძლებს თბილისის "დინამოს". ამ გუნდების პირველი შეხვედრა "დინამოს" გამარჯვებით (2:1) დასრულდა.

## ჩოგბურთი

# ჰიუიტი ფინალშია!

### მოლიკმა კი ჩემპიონატი მოიგო

ავსტრალია ზეიმის მოლოდინშია. მათი კერპი ლეიტონ ჰიუიტი ქვეყნის მთავარი საჩოგბურთო ტურნირის ფილანში გავიდა და კვირას შეეცდება, ავსტრალიის ღია ჩემპიონატი მოიგოს. ჰიუიტის მეტოქეა უაღრესად ამბიციური რუსი მარატ საფინი, რომელმაც ხუთშაბათს მსოფლიოს პირველი ჩოგანი როჟე ფედერერი დაამარცხა და არ მალავს თავის განზრახვას, მოიპოვოს ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებულის ტიტული.

ჰიუიტი ფინალზე საუბრისას თავშეკავებულია, თუმცა, აღიარებს, რომ, რადაც არ უნდა დაუჯდეს, გამარჯვება უნდა მოიპოვოს, რათა ავსტრალიას უმთავრესი საჩოგბურთო ჯილდო დაუბრუნოს. "მარატ საფინმა დაამტკიცა, რომ დიდი ჩოგბურთელია. მას შეუძლია, გადამწყვეტ მომენტში კონცენტრირებული იყოს და თავისი თამაში გიკარნახოს, მაგრამ ჩვენ შევეცდებით, მის ჩანაფიქრს ალღო ავუღოთ", - მატჩის შემდეგ განაცხადა ჰიუიტმა.

როდიკთან თამაში კი მისთვის უაღრესად ცუდად დაიწყო. ერთხანს როდ ლეივერის სახელობის სტადიონზე შეკრებილი მაყურებელი თითქოს შეეგუა კიდეც იმას, რომ ჰიუიტი ფინალში გამსვლელი არ იყო. პირველ სეტში ჰიუიტმა თავისი მოწოდება დათმო, მეტოქისას კი ვერაფერი მოუხერხა. როდიკს უაღრესად მძლავრი მოწოდება აქვს, რომლის სიჩქარე საშუალოდ 205 კილომეტრს აღწევს, ხოლო ყველაზე ძლიერი მოწოდების სიჩქარემ ამ მატჩში 231 კილომეტრსაც მიაღწია. ამიტომ, ბუნებრივია, ავსტრალიელი მშვიდად მოთამაშე ამერიკელის მოწოდების წინაშე ვერაფერს გახდა და სეტი - 3:6 წააგო.



ლეიტონ ჰიუიტი პირველი ავსტრალიელია, რომელიც ბოლო 17 წლის განმავლობაში ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალში გავიდა.

მომდევნო სეტში ჰიუიტი, უბრალოდ, ცდილობდა, თავის მოწოდებაზე შეცდომა არ დაეშვა. გაჭირვებით, მაგრამ მაინც გამოუვიდა. საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც ავსტრალიელმა მეტოქის შეცდომებით ისარგებლა და 7:3 მოიგო. ანალოგიური სცენარით წარიმართა მესამე სეტიც. ავსტრალიელი აბსოლუტურად მობილიზებული ჩანდა და თავს შეცდომის უფლებას არ აძლევდა. როდიკი კი მძლავრ მოწოდებებს განაგრძობდა, თუმცა, უჩვეულოდ ბევრ შეცდომას უშვებდა და ეს შეცდომები ერთხანს კინაღამ ძვირად დაუჯდა, მაგრამ ტაი-ბრეიკამდე მაინც მიაღწია. აქ ისევ შეცდომების გამო დათმო პოზიციები და მეორე სეტიც მეტოქეს დაუთმო. ამჯერად ჰიუიტმა ტაი-ბრეიკზე - 7:4 მოიგო.

ალმოჩნდა, რომ ეს გადამწყვეტი მომენტი იყო ამ მსტჩში მეოთხე სეტში ამერიკელი სრულიად მოიშალა და შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. მართალია, საბოლოოდ როდიკმა 31 ეისი მიითვალა, მაგრამ, ამასთან, 50 უნებლიე და 9 ორმაგი შეცდომა დაუშვა და თამაში პირწმინდად წააგო. უფრო სწორად, ამ მატჩის მეოთხე სეტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ფინალში ლეიტონ ჰიუიტი ითამაშებს.

| ვაჟები: | |
| --- | --- |
| ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 3) - ენდი როდიკი (აშშ, 2) | 3:6, 7:6, 7:6, 6:1 |
| **ქალები, წყვილთა თანრიგი:** | |
| ალისია მოლიკი/სვეტლანა კუზნეცოვა - ლინდსი დევენპორტი/კარინა მორარიუ | 6:3, 6:4 |

ჰიუიტს ფინალში დიდი მოტივაცია აქვს - მისმა თანამემამულემ ალისია მოლიკმა წყვილთა თანრიგში ქვეყნის ჩემპიონატი უკვე მოიგო. მოლიკი/კუზნეცოვას დუეტმა ფინალში ორ სეტში დაამარცხა დევენპორტი/ მომარიუს წყვილი.

სვეტლანა კუზნეცოვა, რომლისთვის ავსტრალიის ღია ჩემპიონატი დოპინგის სკანდალით დაიწყო, ზედიზედ მეორედ გავიდა წყვილთა თანრიგის ფინალში. შარშან ის ლიხოვცევასთან ერთად თამაშობდა და მთავარი ფინალი წააგო. ამჯერად კი მოლიკთან წყვილში უმთავრესი ჯილდო მოიპოვა.

ფინალის გზაზე წყვილმა მხოლოდ ერთი სეტი დათმო და ისიც მერვედფინალში მილარგოს სეკერასა (ვენესუელა) და მაილენ ტუსთან (აშშ) შეხვედრაში. მანამდე კი მათ დაამარცხეს ფრანგები: ნატალი დეში/ემილი ლუა და მარეტ ანი (ესტონეთი) და ფლავია პენეტა (იტალია).

მეოთხედფინალში წყვილმა დაამარცხა დანიელა ჰანტუხოვასა და მარტინა ნავრატილოვას დუეტი, ხოლო ნახევარფინალში რუსები: ვერა ზვონარევა/ანასტასია მისკინა. საინტერესოა, რომ ტრიუმფატორებს განსაკუთრებული პრობლემები არც გადამწყვეტ, ფინალურ შეხვედრაში შეჰქმნიათ.

თუ რუსულ-ავსტრალიური დუეტი ტურნირზე მეექვსე ნომრად იყო განთესილი, მათი მეტოქე მხოლოდ მე-15 ნომერი იყო. ამასთან, მსოფლიოს პირველი ჩოგანი ლინდსი დევენპორტი, ალბათ, უფრო შაბათის ერთეულთა ფინალზე ფიქრობდა, სადაც მისი მეტოქე სერენა უილიამსი იქნება.

დევენპორტის მეწყვილე მორარიუ კი თავის საჩოგბურთო მიღწევებზე მეტად უფრო იმით არის ცნობილი, რომ 2001 წლის მაისში მას ლეიკემიის სიმპტომები აღმოუჩინეს, რის გამოც დროდადრო მკურნალობს. ამერიკელი ჩოგბურთელის სიმტკიცე უდავოდ პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ფინალი სწორედ მან წააგო. პირველ სეტში მოლიკმა და კუზნეცოვამ სწორედ მორარიუს მოწოდება აიღეს ორჯერ. მეორე სეტშიც მორარიუს მოწოდებაზე მოიპოვეს გადამწყვეტი ქულა და თამაშიც მოიგეს.

შედეგად, პირველი სეტი გამარჯვებულებმა - 6:3 მოიგეს, მეორე კი - 6:4 და მთელი ამ საქმისთვის მათ მხოლოდ 56 წუთი დასჭირდათ. გადამწყვეტი ფაქტორი კი მოწოდების ხარისხი გამოდგა. პირველი მოწოდება მოლიკმა და კუზნეცოვამ 78 პროცენტით გამოიყენეს, მათმა მეტოქეებმა კი - მხოლოდ 66-ით.

## ინფოთეკა

### "რომადან" "ბრეშაში"

უეფას ოფიციალური საიტის ცნობით, "რომას" ფორვარდი მარკო დელვეკიო "ბრეშას" რიგებში გადაბარგდა. კონტრაქტი 2006 წლის ივნისამდე გაფორმდა. დელვეკიომ იტალიის ნაკრების შემადგენლობაში 22 მატჩი გამართა. მის ანგარიშზეა გოლი ევროპის 2000 წლის ფინალურ მატჩში, სადაც იტალიის ნაკრები ფრანგებთან დამატებით დროში - 1:2 დამარცხდა.

### "ჰანზამ" ლიტმანენი შეიძინა

უეფას ოფიციალური საიტი იტყობინება, რომ გერმანული ბუნდესლიგის კლუბმა როსტოკის ჰანზამ ცნობილი ფინელი ფორვარდი იარი ლიტმანენი შეიძინა. ფინელთან კონტრაქტი 18 თვით გაფორმდა.

### ტრინიდადი და რაიტი 14 მაისს იჩხუბებენ

დონ კინგის პრომოუტერულმა კომპანიამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ კონტრაქტი გააფორმა ფელიქს "ტიტო" ტრინიდადისა (სამ წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონი) და რონალდ "ვინკი" რაიტის (მსოფლიოს ჩემპიონი პირველ საშუალო წონით კატეგორიაში) ბრძოლაზე. ეს შეხვედრა 14 მაისს ლას-ვეგასში გაიმართება და ის ჩატარდება 72,6 კგ. კატეგორიაში. "ამ შეხვედრის ორგანიზება იოლი საქმე არ იყო, - განაცხადა კინგმა, - ჩვენ სერიოზულ პრობლემებს გადავაწყდით, მაგრამ მე შეუპოვრობა გამოვიჩინე და ამან თავისი შედეგი გამოიღო. ვიცოდი, რომ ეს ბრძოლა გაიმართებოდა, რადგან, როგორც "ტიტო", ისე "ვინკი" სულით მებრძოლი ადამიანია. ისინი იოლ გზებს არ ეძებენ. ეს დიდი ბრძოლა იქნება, რომელიც კრივის ყველა მოყვარულმა საკუთარი თვალით უნდა იხილოს".

## TV-სპორტი

### შაბათი. 29 იანვარი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2004-2005. "პანათინაიკოსი" - "არსენალი"
14:10 "ბრინჯაოს ფრთები"
15:10 თავისუფალი დარტყმა
15:25 ბრაზილიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. "სანტოსი" - "ატლეტიკო პარანენსე"
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. "კაიზერსლაუტერნი" - "შალკე". პირდაპირი ტრანსლაცია
19:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ბასტია" - "ლიონი". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (20:00) - თავისუფალი დარტყმა
21:10 სახვალიო ტელეპროგრამა
21:15 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
21:45 "FUTBOL MUNDIAL"
22:25 იტალიის ჩემპიონატი. "პარმა" - "უდინეზე". პირდაპირი ტრანსლაცია
00:20 თავისუფალი დარტყმა

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 15:40, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ქრონიკა"
10:25 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. ქალები. ერთეულთა ფინალი
13:15 ჭადრაკი. სუპერტურნირი ვეიკ-ანზეეში
13:45 ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ტუნისში. ვაჟები. რუსეთი - ისლანდია
15:05 "ჰოკეი-პლუს"
15:55 ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ტუნისში. ვაჟები. გერმანია - სერბეთი და მონტენეგრო. პირდაპირი ტრანსლაცია
17:30 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "SAN ANTONIO SPURS" - "SACRAMENTO KINGS"
20:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასის ეტაპი იაპონიაში. რბოლა 10კმ. ტრამპლინი
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:25 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. ქალები. ერთეულთა ფინალი
22:10 ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ტუნისში. ვაჟები. სლოვენია - რუსეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:45 ჭადრაკი. სუპერტუნრინი ვეიკ-ანზეეში
00:25 ახალი ამბები
00:40 ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ტუნისში. ვაჟები. ხორვატია - შვედეთი
02:00 02:00-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. არტურო გატი - ჯესი ჯეიმს ლეიხა. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

07:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. ფინალი. ქალები
10:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
10:30 ბობსლეი. მსოფლიო თასი
11:30 ფეხბურთი. ევროპის საუკეთესო კლუბები
12:00 ბობსლეი. მსოფლიო თასი
13:30 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი. სუპერგიგანტი. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
15:15 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი იტალიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი
21:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. ქალები. ფინალი
22:00 სნუკერი. უელსის ღია ჩემპიონატი
23:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
01:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:30 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა **კლუბი**

ჭიდაობა

# სტვენა - ნაკლები, ჭიდაობა - დინამიკური

ბიბა ბურასაშვილი

*რამდენიმე დღეში ლევან თედიაშვილის სახელობის ჭიდაობის დარბაზი ბერძენ-რომაელთა (1-2 თებერვალი) და თავისუფალი სტილით (3-4 თებერვალი) მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. უკვე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ადრინდელთან შედარებით უფრო მძაფრ, ემოციურ ჭიდაობას ვნახავთ. ამის მიზეზი იქნება ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ ახლახან შეცვლილი წესები, რომლებიც ჭიდაობის გულშემატკივარს თავგზას აუბნევს.*



ამ მხრივ არანაკლები ტვინის ჭყლეტა მოუწევთ თავად მსაჯებს. მიზეზი მარტივია: ახალ წესებზე გადასაწყობად გარკვეული დროა საჭირო. გასაჭირში იქნებიან თავად მოჭიდავეებიც, იმის შიშით, რომ შეცდომა არ დაუშვან. თუმცა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ედიშერ მაჩაიძე გვარწმუნებს, ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის გაკეთდა, რომ ჭიდაობა უფრო დინამიკური, სანახაობრივი და აქტიური გახდესო.

საქართველოს ჩემპიონატის მთავარი მსაჯის თეიმურაზ ყაზარაშვილის თქმით, ორივე სახეობამ წესების თითქმის 80-პროცენტიანი ცვლილება განიცადა.

ახალი წესების დეტალურად ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამიტომ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომელიც უფრო თვალში მოგვხვდა. პირველ რიგში, ისევე როგორც ძიუდოში, ერთი წონა ერთ დღეში დასრულდება. ასევე ძიუდოს მსგავსად, გათამაშდება ორი მესამე ადგილი. თუ აქამდე გამარჯვებული გამოვლინდებოდა ორი დაჭიდების - ორი პერიოდის ჯამში დაგროვილი მაქსიმალური ქულებით, ახლა ასე იქნება: ვთქვათ, პირველი დაჭიდება ერთმა ფალავანმა მოიგო, მეორე კი - მოწინააღმდეგემ. გამარჯვებულად გამოვლინდება არა იმ მომენტისთვის უკეთესი მაჩვენებლის მქონე მოჭიდავე, არამედ, მარტივად რომ ვთქვათ, მეტოქეთა შედეგები გაბათილდება და დაინიშნება მესამე გადამწყვეტი პერიოდი! ასე რომ, პრობლემების თავიდან ასაცილებლად თითოეული მოჭიდავე შეეცდება, ორივე დაჭიდება მოიგოს და გაიმარჯვოს. სუფთა მოგება კი სუფთა მოგებად რჩება; ხალიჩიდან ფეხის გადგმის შემთხვევაში მოჭიდავე კარგავს ქულას; აღარ იქნება ჩოქბჯენი! რაც შეეხება ჯვარედინ შემოვლებას, მეტოქეზე ხელის შემოვლების უპირატესობის მქონე მოჭიდავისგან განსხვავებით, მოწინააღმდეგე ვალდებული აღარაა, მეტოქის ზურგს უკან ხელი შეკრას.

ერთი სიტყვით, გამარტივდა წესები და მივიღეთ ძიუდოს ჰიბრიდი. არგუმენტია ისიც, რომ ნაკლებად უნდა ისმოდეს სასტვენის ხმა.

ის, რაც ჩამოვთვალეთ, იანვრის შუა რიცხვებში, რომში, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის სესიაზე გააცნეს ეროვნულ ფედერაციათა სამსაჯო კომიტეტის ხელმძღვანელებს. საქართველოდან რომში წარგზავნილმა ედიშერ მაჩაიძემ გუშინ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში მოწყობილ პრესკონფერენციაზე კიდევ ერთი სიახლე გვამცნო: ფეხს იკიდებს და მკვიდრდება საპლაჟო ჭიდაობა! ამასთან, ამ უცხო ხილს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში მოხვედრის პერსპექტივაც ჰქონია.

და კიდევ: დროა ვიფიქროთ ქალთა ჭიდაობაზე. მედალი მედალია, რა მნიშვნელობა აქვს, კაცი მოიპოვებს თუ ქალიო.

რომში ყოფნისას ედიშერ მაჩაიძე ფილას პრეზიდენტს შვეიცარიელ რაფაელ მარტინეტსაც შეხვედრია და მორიდებით შეუთავაზებია: ფილას ოფიციალური წვეულებები ქართული ღვინით დავამშვენოთო! ერთი სიტყვით, შესაძლოა, ქართულ ღვინოს ამგვარ შეხვედრათა ოფიციალური სასმელის სტატუსი მიენიჭოს.

იწყება ახალი ოლიმპიური ციკლი, რასაც ახლებურად მიდგომა და ახლებური ხედვა სჭირდება. ამასთან დაკავშირებით ქართული საჭიდაო სამყაროს ხელმძღვანელობას, რომელიც ასევე ახალი არჩეულია, განუზრახავს, სამივე ასაკობრივი ჯგუფის ნაკრებს ახალი მწვრთნელი დაუნიშნოს. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, მწვრთნელებმა თანამდებობები შეინარჩუნონ. კანდიდატურებს გაზაფხულზე განიხილავენ. მანამდე კი თითოეულ მწვრთნელს მოვალეობის შემსრულებლების სტატუსი ექნება.

ძიუდო

# თბილისი კიმონოში გამოეწყო

ბიბა ბურასაშვილი

*საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა იკითხა: კი მაგრამ, რომელიმე ძიუდოისტმა რამდენიმე მსოფლიო თასზე რომ გაიმარჯვოს, ორგზის, სამგზის მსოფლიო თასის მფლობელად უნდა მოვიხსენიოთო? პარადოქსულ ვითარებაში ხომ არ ვვარდებით, როდესაც ერთი წლის განმავლობაში თასის რამდენიმეგზის გამარჯვებული გვეყოლება ჩვენ ან სხვა რომელიმე ქვეყნის წარმომადგენელსო. შეკითხვა საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის დილარ ხაბულიანისა და ნაკრების მთავარი მწვრთნელის შოთა ხაბარელის მისამართით დაისვა.*



*ამ გდებით ზვიადაურმა ოლიმპიური ოქრო მოიპოვა. ახლა კი ის თბილისში იჭიდავებს.*

დღეს სპორტის სასახლეში დაიწყო მსოფლიო თასად წოდებული თბილისის საერთაშორისო ტურნირი. თასის გათამაშებამ იანვრის შუა რიცხვებში მოსკოვში აიღო სტარტი. ამ დღეებში მას თბილისი უმასპინძლებს, მოგვიანებით კი პარიზი და მიუნხენი ჩაიბარებს ესტაფეტას.

თბილისური ტურნირი, რომელიც აქამდე A კატეგორიად მოიხსენიებოდა, ხოლო მოსკოვისა და პარიზისა - სუპერ A კატეგორიად, მსოფლიო თასად მონათვლის მიუხედავად, რუსეთისა და საფრანგეთის დედაქალაქების ტურნირებს თავსართად მაინც "სუპერ" დარჩა, ჩვენ კი, უბრალოდ, მსოფლიო თასი შეგვრჩა. მოკლედ, რანგით ისევ ჩამოვუვარდებით მოსკოვისა და პარიზის ტურნირებს. თბილისურ მსოფლიო თასზე გამარჯვებულს 60 სარეიტინგო ქულა შეემატება, ხოლო პარიზის სუპერთასზე - 90. იერარქიულობის მიუხედავად, იყო დრო, როდესაც თბილისის ტრადიციულ ტურნირს არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატად მოიხსენიებდნენ. გარკვეული მიზეზების გამო დღეს სხვა სურათია. თუმცა, ერთადერთია ზოგადად ქართული სპორტის იმ სახეობათაგან, რომელსაც ოლიმპიური სალიცენზიო ტურნირის სტატუსი აქვს მინიჭებული.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, თბილისურ მსოფლიო თასს თავისი "მომხმარებელი" ჰყავს. თანაც, ისეთები, როგორიცაა იაპონიის, საფრანგეთისა და რუსეთი ნაკრებები. წლეულს იაპონელები და ფრანგები ორ-ორი გუნდით ჩამოვიდნენ. თბილისურ ტატამზე დებიუტი ექნებათ კონგოელებსაც, რომლებიც სამი ძიუდოისტით ეწვივნენ სპორტის სასახლეს. თუმცა, აფრიკელები სათვალავში მისაღები არ არიან, რადგან ძიუდო არაა ის სახეობა, რომელშიც მათ რაიმე ტრადიციები აქვთ. როგორც ხაბარელმა გვითხრა, აფრიკელები თბილისში გამოცდილების მისაღებად უფრო ჩამოვიდნენ, ვიდრე წარმატებაზე ფიქრით ანთებულები. გუშინდლამდე თბილისში 12 ნაკრები იყო ჩამოსული. გვიან კიდევ რამდენიმეს ელოდნენ.

საქართველოს ნაკრებმა მსოფლიო თასისთვის მზადების ორკვირიანი ეტაპი თბილისშივე გაიარა. რაც მთავარია, საქართველოს ნაკრები თბილისურ ტატამე სრულადაა წარმოდგენილი. მათ შორის ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური (ის ხვალ იასპარეზებს) და ოლიმპიური "ვერცხლის" მფლობელი ნესტორ ხერგიანი. ძიუდოს გულშემატკივრები ხერგიანს დღეს იხილავენ. როგორც მსოფლიო თასის მასპინძლები, ქართველები ოთხი ნაკრებით იასპარეზებენ.



ნინო ტიკარაძე

### ბექჰემები უკუნითი უკუნისამდე

დევიდის და ვიქტორიას ცხოვრება სკანდალების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის. აურზაურის მთავარი გმირი ძირითადად მაინც დევიდია, რომელიც ხანდახან "წაფლირტავების" ნებას აძლებს საკუთარ თავს. შემდგომში ეს ერთი შეხედვით უწყინარი და მცირე "გართობა" დიდი გარჩევ-გამორჩევის, გაწევ-გამოწევის საგანი ხდება. თუმცა, ბექჰემების ოჯახი ისეთი მტკიცე ჩანს, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც, რომ მას მტერი ვერაფერს დააკლებს.

ცნობისმოყვარე ადამიანები პერიოდულად ხედავენ ცნობილ ფეხბურთელსა და მის ასევე ცნობილ მეუღლეს რომანტიკულ ვახშამზე რომელიმე პრესტიჟულ რესტორანში.

ამას წინათ წყვილმა გადაწყვიტა, დრო ტყუილად არ დაეკარგა და საკუთარი ურთიერთობის ხანგრძლივობა შეემოწმებინა. ცნობიმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მათ ერთ მეტად "კომპეტენტურ" ადამიანს მიმართეს.

მოკლედ, ასე. დევიდი და ვიქტორია ლოს ანჯელესში მარჩიელთან შესახვედრად გაფრინდნენ. ეს ფაქტი საინტერესოა იმითაც, რომ ე.წ. მჩხიბავის სახელი და გვარი ჯეკი სტალონე გახლავთ. ეს უბრალო დამთხვევა არ გეგონოთ. ზემოხსენებული ქალბატონი ცნობილი კინომსახიობის სილვესტერ სტალონეს დედა გახლავთ.

სხვათა შორის, მარჩიელმა წყვილი განსაკუთრებულად კი არა და, სრულიად ჩვეულებრივად მიიღო. როგორც ჩანს, მას ევროპულ ფეხბურთს ამერიკული ურჩევნია და გვარი ბექჰემიც მისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს. ქალმა სტუმრებს ხანგრძლივი ერთობლივი ცხოვრება უწინასწარმეტყველა და პირობაც მისცა, ისინი ერთმანეთს არ დაშორდებოდნენ, თუმცა, სტუმრების წასვლის შემდეგ შანსი ხელიდან არ გაუშვა, მათთვის ერთი გემრიელად "ეკბინა": "ექსცენტრიული ადამიანები არიან. ძნელი სათქმელია, რომელია უფრო ბრიყვი: კაცი თუ ქალი? ერთი ფეხბურთელია, მეორე კი ჯერაც არ გამოფხიზლებულა".

არა მგონია, ამ გესლიანმა ნათქვამმა რამე დააკლოს ბექჰემების ცნობილ წყვილს, მით უმეტეს, რომ მათი კავშირი სამუდამო ყოფილა.

ამას მე კი არა, მარჩიელი ამბობს.

### გაჭრა, მაგრამ გაზომვა დაავიწყდა

ლონდონის "არსენალის" ფეხბურთელმა ეშლი კოულმა ე.წ. "უწესო გოგონების" საზოგადოებაში გართობა გადაწყვიტა, მაგრამ ვინ დააცადა? გამოიჭირეს და საქვეყნოდ გამოაჭენეს. ახლა კი მისი ურთიერთობა ბრიტანული ჯგუფის "Girls Aloud"-ის სოლისტ შერილ ტვიდისთან კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

ყველაფერი ფეხბურთელის ერთ-ერთი თანაგუნდელის დაბადების დღეზე დაიწყო, როცა მსუბუქად შეზარხოშებულ კოულს ასევე "მსუბუქ" ქალებთან გართობა მოუნდა. წინა დღეებში მეგობარ გოგონასთან ნაჩხუბარმა და ამიტომაც წვეულებაზე მარტო მისულმა "მეთოფეთა" მცველმა იფიქრა, თავისუფლებას ჩემს სასარგებლოდ გამოვიყენებო. მით უმეტეს, რომ შეკრებას ღამის კლუბი მასპინძლობდა.

ფეხბურთელმა სიფრთხილის ზომები მიიღო (ყოველ შემთხვევაში, ეცადა მაინც!). მან ღამის ორ პეპელას სთხოვა, მეზობელ ქუჩაზე დალოდებოდა. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ისინი გაქანებულ მანქანაში უნდა ჩამხტარიყვნენ, მაგრამ კოულს "ჩაავლეს" და ამასთან ერთად მისი შეყვარებულიც დროულად ჩააყენეს საქმის კურსში.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ ქარიშხალს დაატეხდა თავს ფიცხი ხასიათით ცნობილი შერილი თავის სატრფოს.

ახლა კი მთელი საზოგადოება, მათ შორის მეც, სულმოუთქმელად ველოდებით მათ ურთიერთობაში მშვიდი ამინდის დადგომას (არ დაიჯეროთ!)

### ამერიკას ახალი თავსატეხი გაუჩნდა

მთელმა ინგლისმა შვებით ამოისუნთქა, როცა ქვეყნის ერთ-ერთმა სკანდალურმა ადამიანმა, ყოფილმა ფეხბურთელმა სტენ კოლიმორმა ამერიკაში გადაბარგება გადაწყვიტა. სამაგიეროდ, ყურები ჩამოყარეს "ყვითელმა" ჟურნალისტებმა. ახლა მათ ახალი საკბილოს ძებნა მოუწევთ.

უკანასკნელად ეს ადამიანი სკანდალური ქრონიკის ფურცლებზე გასული წლის იანვარში მოხვდა. დუბლინის ერთ-ერთ ბარში მან, სრულიად მარტომ, მორაგბეთა მთელ გუნდთან შერკინება გადაწყვიტა და სურვილიც მალე აისრულა. საბოლოო სურათი კი ასეთი იყო - ცხვირგატეხილი, ხელმოტეხილი და ნეკნებჩამტვრეული კოლიმორი სუნთქვას ძლივს ახერხებდა (საერთოდ რომ გადარჩა, არ გიკვირთ?)

ფეხბურთელმა საკუთარი საქციელის მიზეზი დაასახელა. მორაგბეებმა მისი მისამართით რასისტული გამონათქვამები ისროლეს და ამით შეურაცხყოფა მიაყენეს მის პიროვნებას. "აფრიკაში ამის გამო შეიძლება მოგკლან კიდეც," - დააზუსტა მან. თუმცა, ირლანდიის პოლიციამ დამაჯერებელ არგუმენტად არ ჩათვალა "ლივერპულისა" და "ასტონ ვილას" ყოფილი ფეხბურთელის განმარტება, შესაბამისად, არც არავინ დასაჯა. ჰოდა, დარჩა ასე "დამტვრეულ-დამსხვრეული" კოლიმორი უნუგეშოდ (აბა, რა ეგონა, მორაგბეებს რომ ერკინებოდა?)

იყო ასევე სხვა სკანდალური ფაქტებიც მის ცხოვრებაში. მთვრალმა მეუღლე ცემა, ცეცხლსაქრობით ხელში ესპანეთის ერთ-ერთი სასტუმროს თანამშრომლებს დაედევნა, ქუჩაში ქალებს აეკიდა. ცნობისთვის: სია არასრულია.

დროდადრო კოლიმორი ფსიქიატრიულში საავადმყოფოებშიც მკურნალობდა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გამოჯანმრთელდა.

ახლა კი ყოფილი ფეხბურთელი ინგლისს ემშვიდობება, ჩემოდნებს ალაგებს და ამერიკის "ასაღებად" მიემგზავრება.

### საიდუმლო გამჟღავნდა

ბოლოს და ბოლოს, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა ჩოგბურთელების ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტისა და ბელგიელი კიმ კლიისტერსის დაშორების ნამდვილი მიზეზი (რაღა გვიჭირს!) ეს მიზეზია გოგონა, უფრო მაცდური და გამომწვევი.

მსოფლიოს ორი ყოფილი პირველი ჩოგნის რომანი 2002 წელს დაიწყო, როცა ჰიუიტმა კლიისტერსი ავსტრალიელი ჩოგბურთელის პატრიკ რაფტერის დაბადების დღეზე დაპატიჟა. 2003 წლის დეკემბერში კაცმა შეყვარებულს გული და ხელი სთხოვა, მაგრამ მოხდა ისე, რომ გასული წლის ოქტომბერში წყვილი ერთმანეთს დაშორდა, თუმცა, მიზეზი არ გაამხილა და ცნობისმოყვარე ადამიანებს თავსატეხი გაუჩინა. საიდუმლოს ფარდა აეხადა "დიდი სლემის" ტურნირზე, როცა ავსტრალიელი ჩოგბურთელი მოდელსა და ამავე დროს დამწყებ მსახიობ ბეკ კარტრაითთან ერთად გამოჩნდა.

ხომ ხედავთ, როგორი მარტივი პასუხი ჰქონია გამოცანას! არადა, რამდენი იფიქრეს.

### "აურზაური არაფრის გამო"

თურმე ნუ იტყვით და, "არსენალის" ფორვარდი ტიერი ანრი ძალიან ავი ვინმე ყოფილა. ამბობენ, თუ გაბრაზდა, მტრისას.

რამდენიმე დღის წინათ ცნობილი ინგლისური კომიქსების ჟურნალი "ბინო" იძულებული გახდა, მორიგი ნომრის გაყიდვაზე უარი ეთქვა მხოლოდ იმიტომ, რომ ჟურნალის გმირი ძალიან ჰგავდა ტიერი ანრის. არადა, ორი ათასზე მეტი ეგზემპლარი უკვე დაბეჭდილი იყო.

მსგავსება ერთ-ერთმა გამომცემელმა შეამჩნია. სწორედ მან ურჩია კოლეგებს, ზარალს შეგუებოდნენ და ჟურნალი არ გაეყიდათ, რათა შემდგომში პრობლემები თავიდან აეცილებინათ და სასამართლოდან სასამართლოში არ ერბინათ.

ანრის შეეძლო კომპენსაცია მოეთხოვა არა მხოლოდ ამ სურათის, არამედ მისი სიუჟეტის გამოც. საქმე ის გახლავთ, რომ აკრძალული ნომრის ფურცლებზე გამოსახულია თავგადაპარსული ფრანგი ფეხბურთელი. ავტორის ჩანაფიქრის მიხედვით, ერთ-ერთ ეპიზოდში იგი მოედნიდან გაძევებას იმსახურებს, რის შემდეგაც ქალაქის ქუჩებში ნახევრად შიშველი იწყებს სირბილს.

და ამის შემდეგ, როგორ ფიქრობთ, საკუთარი თავის ასეთ ამპლუაში ხილვა ძალიან ეამებოდა "მეთოფეთა" ფეხბურთელს? თუმცა, მგონი ზმნის დრო სწორად ვერ შევარჩიე. ეამებოდა კი არა, ეამება, რადგან, ადრე თუ გვიან, ტიერი ანრი მაინც ნახავს "ბინოს" ამ "საბედისწერო" ნომერს, მით უმეტეს, რომ გულშემატკივრებმა ეს ამბავი უკვე გაიგეს. აკრძალული ნომრის ხელში ჩაგდება კი მხოლოდ ტექნიკის საქმეა. აი, სკანდალი მაშინ ნახეთ!

რა შუაშია სკანდალი? გეგონება, დიდი რამე მოხდა!



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

# გულახდილად

## "მიეცი ნიჭსა გზა ფართო"

ჩემთვის პირადად, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში მუშაობა, მის რიტმში თანამონაწილეობა სულ უფრო და უფრო საინტერესო, აქტიური ხდება. თითქმის ყოველ კვირა, ყოველ დღე აკადემიის ხელმძღვანელობის ან პირადად რექტორის გია ბუღაძის სახელზე სრულიად ახალი ინიციატივების, მასტერკლასებისა და სემინარების ჩატარების, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მხატვრების ჩამოყვანის, მათ შემოქმედებასთან გაცნობის წინადადებები შემოდის. სწორედ ასე მოხდა ამ კვირაშიც. თბილისში არსებული ბრიტანული საბჭოს ინიციატივით სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისთვის ბრიტანულმა ორგანიზაციამ "დიზაინისა და ხელოვნების მიმართულებები" - D & AD-მა სემინარი გამართა, რომლის შედეგად ნიჭიერი ქართველი სტუდენტები შეირჩევიან და საერთაშორისოდ აღიარებულ D & AD კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას. ბრიტანული დიზაინისა და სარეკლამო ინდუსტრიის ოფიციალური წარმომადგენელი D & AD პროფესიონალებსა და სტუდენტებს საუკეთესო იდეისთვის, ნამუშევრისთვის აჯილდოებს. დაჯილდოება სხვადასხვა კატეგორიაში ხდება: რეკლამა, გარემოს დიზაინი, გრაფიკული დიზაინი, ილუსტრაცია, აფიშის რეკლამა, სატელევიზიო გრაფიკა და რეკლამა, ვებ-დიზაინი, პრესის რეკლამა და ა.შ. გამარჯვებული სტუდენტების ნამუშევრები კი ყოველწლიურ სტუდენტურ გამოცემებში იქნება შეტანილი და პოტენციურ დამსაქმებელს მიეწოდება.

თბილისის სამხატვრო აკადემიამ დროის შესაბამისი პულსაცია დაიწყო და ეს პულსაცია იმდენად ძლიერი ენთუზიაზმითა და მონდომებით არის სავსე, რომ მისი ხმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშიც კი ისმის და შესაბამის გამოხმაურებას, გამოძახილს, ინტერესსა და მხარდაჭერას იწვევს.



მე, როგორც არავითარი პულსაციის არმქონე აკადემიის ყოფილი კურსდამთავრებული გრაფიკოსი, ისეთი ინტერესითა და გაკვირვებით ვადევნებდი თვალყურს ბრიტანელი პროფესიონალების მიერ ჩატარებულ საოცრად ცოცხალ, შემოქმედებითა და იუმორით, პროფესიონალიზმითა და ჩვენთვის საკმაოდ უცხო, ლაკონური ხედვით გამორჩეულ სემინარს, რომ ასაკისა და გრაფიკის დარგში შემოქმედებითი წვის არქონის მიუხედავად, იდეები მაინც გამიჩნდა. მეც კი მომინდა, სტუდენტების მსგავსად, დაფასთან მივსულიყავი და მოცემული კონკრეტული სარეკლამო ამოცანის ჩემებური ხედვა შემეთავაზებინა. სამწუხაროდ, მომერიდა და სემინარის აჟიტირებულ მსვლელობაში ჩართვა მხოლოდ ადგილიდან გავბედე. სტუდენტებმა კი, ჩემგან განსხვავებით, მართლაც რომ ნამდვილი სტუდენტური სითამამე, ინტერესი, ხალისი და გონებამახვილობა გამოავლინეს და ყოველგვარი კომპლექსებისა და მორიდებების გარეშე ბრიტანელი გრაფიკოსები იდეებით "დაბომბეს". დარწმუნებული ვარ, რომ თუ მასტერკლასებისა და სემინარების ჩატარების შემოთავაზებებს ყოველთვის გამოვეხმაურებით, ასეთ სიცოცხლით სავსე შემოქმედებით გაკვეთილებს ხშირად მოვაწყობთ და იდეებით სავსე ნიჭიერ ქართველ სტუდენტებს მაქსიმალურად ფართო გზას მივცემთ, ისინი ამ შანსს ჩვენზე ბევრად უკეთ გამოიყენებენ და ცხოვრებას თავისი პროფესიონალიზმითა და შემოქმედებით მართლაც რომ "დაბომბავენ". ჩვენი ვალი კი ის არის, რომ მათ ამის საშუალება მაქსიმალურად მივცეთ, რასაც თბილისის სამხატვრო აკადემია მთელი გულით ცდილობს.

P.S. ეს წერილი უკვე დაწერილი მქონდა და აკადემიაში კიდევ ერთი ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი მასტერკლასი ჩატარდა, რომელსაც ცნობილი ავსტრალიელი მხატვარი უილიამ კერი ატარებდა. აი, ასე თითქმის ყოველ კვირას.

## დაბადების დღის უჩვეულო მილოცვა

ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში დაბადების დღე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, სასიამოვნო ზეიმია, რომელსაც უმეტესად მეგობრების, ახლობლების, ნათესავების წრეში აღნიშნავენ, საჩუქრებს ღებულობენ და როგორც სტუმრები, ისე თვით იუბილარი მაქსიმალურად ცდილობენ, ეს დღე მხიარულად, დასამახსოვრებლად გაატარონ. რამდენადაც მე ვიცი და გამიგია, დაბადების დღეზე მხოლოდ ისეთ ხალხს პატიჟებენ, ვინც უყვართ, ახლობლად მიაჩნიათ. დაბადების დღეზე კი მხოლოდ კეთილგანწყობილი ადამიანები მიდიან. თუ პიროვნება არ მომწონს, არ მიყვარს, არ მესიმპათიურება, იმის დაბადების დღეზე რა მინდა? არასდროს გამიგია, დაბადების დღეზე იმიტომ წახვიდე, რომ იუბილარს ნერვები აუშალო, წნევა აუწიო, გული ატკინო, საკუთარ რთულ წარსულში აქექინო, ცხოვრების განმავლობაში დაშვებულ უამრავ შეცდომაზე, ცოდვებზე ალაპარაკო, ააღელვო და მიზანდასახულად გუნება გაუფუჭო, საკუთარი დაბადების დღე ანანებინო. არ გამიგია, მაგრამ რა არის ისეთი, რასაც ჩვენი განუმეორებელი, ტაქტითა და ზომიერებით გამორჩეული ტელევიზიით ვერ გაიგებ. ამ კვირაში ედუარდ შევარდნაძის დაბადების დღისადმი მიძღვნილი სწორედ ასეთი სადისტური გადაცემა ვიხილე. ე.ი. წინასწარ ყველამ კარგად უნდა ვიცოდეთ, დავიმახსოვროთ, რომ თუ ვინიცობა, შემთხვევით, ინგა გრიგოლიამ თქვენთვის დაბადების დღის მილოცვა გადაწყვიტა, ჩათვალეთ, რომ ეს საზეიმო დღე ჩაშხამებული გაქვთ. რაც ცხოვრებაში რამე დაგიშავებიათ, რამე გაგიკეთებიათ ან არ გაგიკეთებიათ, გახსოვთ ან არ გინდათ რომ გახსოვდეთ, ინგა ყველაფერში ჩაგეძიებათ. მოგონებებს გაურბიხართ? ნურას უკაცრავად! ინგას ვერსად გაექცევით! ხანდაზმული ბრძანდებით და პერიოდულად მეხსიერება გღალატობთ? არა უშავს! ინგა შეგახსენებთ! იმას, რისი დავიწყება, მეხსიერებიდან ამოგდება ერთ დაბადების დღეზე მაინც ასე გინდათ, არ დაგავიწყებთ! რამის მოგონებისას გტკივათ? ძალიან კარგი, გტკიოდეთ! ოღონდ უნდა ვიცოდეთ, რა გტკივათ, როგორ და რამდენად ძლიერად! საიდუმლო მასონური ლოჟის წევრი ხართ? აი, აქ, დღეს, თქვენს საკუთარ დაბადების დღეზე ამ საიდუმლოს ფარდა უნდა აეხადოს! მართალია, თვითონ ინგამ მასონების შესახებ საკმაოდ ცოტა რამ იცის და გაუკვალავში გადადის, მაგრამ ტელემაყურებლების წინაშე საიუბილეო თარიღის აღსანიშნავ აღსარებას მაინც გათქმევინებთ! არ მოგეშვებათ! თვითმფრინავის ბიჭები დაუნდობლად დახვრიტეთ, მამა დასახვრეტ ორ შვილს შორის არაადამიანური არჩევანის წინაშე დააყენეთ? გილოცავთ დაბადების დღეს! აბა, აღიარეთ! დაბოლოს, დესერტად, ამ თარიღთან დაკავშირებით ქალაქის მერის საათის სრულიად არასაინტერესო, ყველასათვის დიდი ხანია ნათელი ეპოპეაც აბა, გაგვირჩიეთ! კანონიერი ქურდები მოსპეს და ახლა მათი მისია ორმნიშვნელოვნად თქვენ შეასრულეთ!

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის საზეიმო ინტერვიუ, როგორც იქნა, დასრულდა! ასეთ დაბადების დღეს, რომ იტყვიან, მტერსაც არ ვუსურვებდი! არ დააგლიჯეს ამ ხანშიშესულ კაცს ნერვები? გინდა თუ არა, საკუთარ დაბადების დღეზე უნდა გაუხეთქო კაცს გული? თუ არ გინდა ადამიანის მილოცვა, სხვა დღეს აიღე მისგან ეს ოხერი ინტერვიუ! როგორ დავიჯერო, რომ შევარდნაძის მმართველობის 30-წლიან პერიოდში ამგვარი პირდაპირი და საკმაოდ ლოგიკური შეკითხვები არც ერთ ჟურნალისტს არ გასჩენია? რატომ ველოდებოდით მის გადადგომას, ყოფილ პრეზიდენტობას, დაბერებას, დაბადების დღეს, რომ ვიკითხოთ ის, რაზეც პასუხი ყველამ კარგად ვიცით?

## Не имей сто ..., а имей сто друзей

ის, რომ კარგია ბავშვობიდან, სკოლიდან გამოყოლილი, ერთგული, მხიარული, ცხოვრების მოყვარული, გვერდზე ამომდგომი მეგობრების დიდი წრე, არავინ დავობს. მაგრამ თუ მეგობრების ამ წრის თითოეული წარმომადგენელი ცალ-ცალკე შემოქმედია, მაშინ მთებს თუ ვერ გადააადგილებენ, ერთ კარგ ჟურნალს ნამდვილად გამოუშვებენ.

თუ პრეზენტაციაზე მიწვეული სტუმრები არ მოვლენ, იგი უბადრუკად, საცოდავად გამოიყურება. თუკი იმდენი ხალხი მოვა, რამდენიც ახალი ჟურნალის "ანაბეჭდის" პრეზენტაციაზე კინოთეატრ "ამირანში" შეიკრიბა, მაშინ იგი ქაოტური, არეული და ძნელად აღსაწერ-გადმოსაცემი ხდება. ამდენი ნაცნობი სახე, მისალმება, კოცნა, მოკითხვა, პირველი ზედაპირული შთაბეჭდილების გაზიარება, მერწმუნეთ, საკმაოდ დამღლელი, მაგრამ მაინც სასიამოვნო და დასამახსოვრებელია.

მართალია, ახალი ჟურნალის "ანაბეჭდის" წაკითხვა ჯერ ვერ მოვასწარი, მაგრამ ერთი თვალის გადავლებით დავრწმუნდი, რომ იგი "ყვითელი" არ არის; არც პროვინციული; ჩემი პირადი ჰოროსკოპი წავიკითხე და დავრწმუნდი, რომ ყველაფერი წარსულში ჯერ არ მაქვს; სრულიად ახლებური ქართული გრაფიკული დიზაინის, ხედვის არსებობაში და წარმატებაში დავრწმუნდი; ნინო ქორიძე რომ თბილისში ყველაზე ლამაზი გოგოა, დავრწმუნდი; ნინო დარასელი იდეებით, შემოქმედებით, ენერგიითა და ხალისით სავსე ორგანიზატორი რომ არის, დავრწმუნდი; ელეგანტური, მომხიბვლელი ქართველი მოდელებისთვის ქათმების ფერმა იდეალურად მომგებიანი ფონი რომ აღმოჩნდა, დავრწმუნდი; აკა მორჩილაძის მოთხრობის "მოგზაურობა ყარაბაღში"-ს მიხედვით გადაღებულ ახალ ქართულ კინოს რომ ვნახავ, დავრწმუნდი; თათა-ნაკას მოდელებს რომ სიამოვნებით ვიქონიებდი და ჩავიცვამდი, დავრწმუნდი; ნინია კაკაბაძე რომ ბედნიერია, ნამდვილი ანზორი - 21 საუკუნე თუ არ უნახავს, რომელიც ტაშტში ფეხებჩაყრილ ბიჭზე ბევრად უარესია, დავრწმუნდი; იმაშიც დავრწმუნდი, რომ ნინია 21-ე საუკუნის თაობის ბიჭებს საკმარისად არ იცნობს და უსაფუძვლო პესიმიზმშია გადავარდნილი, და რაც მთავარია, დავრწმუნდი, რომ ძალა მართლაც ერთობაშია, ოღონდ ნიჭიერი, ლაღი, მონდომებული, ენთუზიაზმითა და იდეებით სავსე ადამიანების ერთობაში. შედეგად კი მათი ერთობლიობის შთამბეჭდავ "ანაბეჭდს" ვღებულობთ.

## თბილისელების ელეგანტურობის ახალი შანსი











ადამიანის გემოვნების, ხასიათის, სოციუმის და უამრავი სხვა თვისების ერთ-ერთ ყველაზე ზუსტ მაჩვენებლად მისი ჩაცმულობა ითვლებოდა. რაც უფრო შეძლებული და მოდას აყოლილი იყო პიროვნება, მისი გარდერობი მით უფრო მეტი მრავალფეროვნებითა და სილამაზით გამოირჩეოდა. რაც უფრო გემოვნებიანი, შემოქმედი იყო პიროვნება, მით უფრო ექსტრავაგანტულად, ელეგანტურად იცვამდა. ამ ყველაფრის მიღწევა კი მხოლოდ და მხოლოდ კარგი მკერავით და პიროვნებისთვის სპეციალურად, ინდივიდუალურად შეკერილი ტანსაცმლით იყო შესაძლებელი. "იგი პარიზის საუკეთესო მკერავებთან იცვამს" - ეს ფრაზა არაერთ მხატვრულ ნაწარმოებში ამოგვიკითხავს და ყველგან ერთნაირად "შიკის" უმაღლეს საფეხურს ნიშნავდა. "წყლებზე წასვლის წინ გარდერობი განაახლა," - ესეც გაგვიგია. კურორტზე ყოველი წასვლის წინ, მეჯლისისთვის, კონცერტისთვის, თეატრალური სეზონის გახსნისთვის, მიღებისთვის ახალ ტანსაცმელს და მის თანმხლებ აქსესუარებს უკვეთავდნენ, ხელთათმანებიდან დაწყებული, ქუდებით დამთავრებული, ყველაფერს იკერავდნენ. მკერავები კი დიდოსტატების რანგში იყვნენ აყვანილი და კარგ მკერავთან მოსახვედრად თვეობით ლოდინი იყო საჭირო. ქალები ხშირად მკერავების სახელებსაც კი მალავდნენ, რომ ამით კონკურენცია მოესპოთ. წინა საუკუნეების თითოეული კაბა, რომელიც ხელით ნაქარგითა თუ უნიკალური მაქმანებით იყო დეკორირებული, ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენდა და დამკვეთის პიროვნულობას, ინდივიდუალიზმს, როგორც მხოლოდ და მხოლოდ მისთვის შექმნილი, ასახავდა. მეც კი კარგად მახსოვს, ჩემი ბებიები მკერავებთან რომ დადიოდნენ, კაბებს, პალტოებსაც უკვეთავდნენ და თავისი ახალგაზრდობის დროს მისტიროდნენ, როდესაც კერვის, თარგის ხელობა, მათი აზრით, ბევრად დახვეწილი იყო. ჩემთვის სრულიად უცნობი ნაჭრების სახელწოდებებს იმეორებდნენ და წუხდნენ, რომ დღეს კარგი "პიკე", "კრეპსატენი", "ორგანდი" აღარსად იშოვება. მამაჩემის დედის მკერავი დღესაც მახსოვს. ის ხშირად დადიოდა ბებიაჩემთან სტუმრად. ძალიან ინტელიგენტი, ღრმად ერუდირებული, საოცარი იუმორისა და მწარე ენის, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე კაცი იყო, რომელიც ზომების ასაღებად სახლში დადიოდა.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, უფრო კი 60-70-იანი წლებიდან, არსებული რეალობა შეიცვალა. ცხოვრების ახალმა რიტმმა, სტილმა, მზა, ნაყიდი ტანსაცმლის მონოპოლიური აგრესია გამოიწვია. დაკავებულ, დაღლილ თანამედროვე ქალს მკერავთან საათობით დგომისთვის აღარ სცალია, ურჩევნია პირველივე მაღაზიაში თუნდაც უსახური, ათასობით ეგზემპლარად გამოშვებული, მაგრამ მზა ტანსაცმელი უცბად იყიდოს, ხელმისაწვდომი ფასი გადაიხადოს და ცხოვრებისეულ ყოფაში დროის დახარჯვის გარეშე ჩაერთოს. აქედან გამომდინარე, მე მაგალითად, ისეთ თაობას მივეკუთვნები, რომელიც ფაქტობრივად აღარაფერს იკერავს და მხოლოდ სხვადასხვა ღირებულების მზა ტანსაცმელს ყიდულობს, რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად ჩვენს გემოვნებასა და სურვილს ბოლომდე არ შეესაბამება. დღესდღეობით, მარტივად რომ ვთქვათ, მსოფლიოში ტანსაცმლის შეძენის მხოლოდ ორი ალტერნატიული ვარიანტი არსებობს. ან ცნობილი სახელის მქონე დიზაინერის ძალიან ძვირად ღირებული, მაგრამ მეტ-ნაკლებად ხარისხიანი ტანსაცმელი უნდა იყიდო, ან რიგით მაღაზიაში საკმაოდ უხარისხო, არაფრისმთქმელი, უბრალო, მაგრამ მოსახერხებელი და იაფი შეიძინო. ასეა პარიზშიც, მილანშიც, ლონდონშიც და ასეა თბილისშიც, სადაც უამრავი ახალი მაღაზიის გახსნის მიუხედავად, ლამაზი, მოდური, შენი გემოვნების შესაფერისი და ოდნავ მაინც ხარისხიანი ტანსაცმლის მოძებნა ძალიან რთულია. ან მხოლოდ ევროებზე მოვაჭრე რამდენიმე "ელიტარულ" მაღაზიას უნდა მიმართო, სადაც შეიძლება ბევრი რამ მოგწონს, მაგრამ ფასები ყოველგვარ რეალობას არის აცილებული, ან თურქეთ-ჩინეთიდან ჩამოტანილი, მხოლოდ ერთი სეზონის გამძლე, სრულიად უხარისხო, ელემენტარულ ინდივიდუალიზმს მოკლებული, მაგრამ ხელმისაწვდომი ტანსაცმლით უნდა დაკმაყოფილდე. დღევანდელი თბილისის მომხმარებელი უხეშად სამ კატეგორიად შეიძლება დაიყოს. პირველი - მხოლოდ ხმაურიანი სახელებისა და გვარების ტანსაცმელს კადრულობს; მეორე - პლეხანოვზე, საბურთალოზე ან ვაკეში უხვად არსებულ გაუგებარ მაღაზიებში, ჩაის სახლში, უნივერმაღში იცვამს; მესამე კი ბაზრობით კმაყოფილდება.

დღეს თბილისელებს, როგორც ქალებს ისე მამაკაცებს, მეოთხე კატეგორიის მიკუთვნების შანსი მოგვეცა. გაიხსნა ახალი სამკერვალო სალონი, სადაც ევროპის ქვეყნებიდან მოდის წამყვანი დიზაინერებისა და მოდის სახლებიდან ჩამოტანილი ულამაზესი, ექსკლუზიური და მართლაც ძალიან ხარისხიანი ნაჭრებიდან დამკვეთს ინდივიდუალური სტილის, გემოვნების, გარეგნობის, სილუეტის და, თუ გნებავთ, ხასიათის გათვალისწინებით ტანსაცმლის შეკვეთა-შეკერვა შეეძლება. თუ ჩემს პირად გამოცდილებას ენდობით, სრულიად გულახდილად გეტყვით, რომ ამ სალონში ჩემ მიერ შეკერილმა ტანსაცმელმა როგორც ხარისხით, შეკერვით, სილამაზითა და კომფორტულობით, ასევე ფასით, - რომელიც ჩემს ბიუჯეტს და თბილისის საერთო რეალობას ლოგიკურად შეესაბამებოდა - რომ იტყვიან, ძალიან მასიამოვნა. შეკერვის პროცესში ჩემ მიერ გათვალისწინებულმა პროფესიულმა რჩევებმა კი ნამდვილად გაამართლა და ამიტომაც სალონში შეკერილი ნივთი ჩემს გარდერობში ერთ-ერთი ყველაზე მოსახერხებელი და ხშირად ხმარებადია. ახალმა სალონმა თბილისელებს მოდის და ინდივიდუალური გემოვნების შესაბამისად, ძვირფასი, მრავალფეროვანი, საინტერესო, ხარისხიანი ნაჭრებიდან შეკერილი ტანსაცმლის ჩაცმის შანსი მოგვცა. და თუ გავიხსენებთ, რომ შეკვეთით შეკერილი ტანსაცმელი ყოველთვის, ყველგან უფრო დიდ "შიკად", ფუფუნებად ითვლებოდა და ითვლება, მე მგონი, ამ ახალი შანსის ხელიდან გაშვება ნამდვილად არ ღირს. ყოველ შემთხვევაში, მე არ ვაპირებ და საგაზაფხულოდ სწორედ ამ სალონში მინდა რაიმე ახალის შეკვეთა. თუმცა, ნაჭრების ფართო არჩევანისგან იმდენად ვიბნევი, რომ ველარ ვარკვევ, რა უფრო მინდა, მიხდება, მჭირდება. მაგრამ ამაშიც სალონის თანამშრომელთა ზუსტი და კეთილგანწყობილი რჩევების იმედად ვარ.

გულით მინდა სალონის მისამართიც მიგითითოთ, მაგრამ რეკლამაში ჩამეთვლება. არადა, მე მგონი, სწორედ ისე გამომდის, ქალები მკერავების ვინაობას რომ მალავდნენ. ნამდვილად არაფერს გიმალავთ. პირიქით, სრულიად გულწრფელად გიზიარებთ იმ შთაბეჭდილებას, რომელიც ამ ახალგახსნილი სალონისგან მივიღე და გირჩევთ, რომ თქვენც ჩვენს ხელთ არსებული ასეთი სასიამოვნო, საჭირო და ხელმისაწვდომი შანსი არ გაუშვათ.

ქართველებს გემოვნება, ჩაცმის კულტურა ოდითგან გაგვაჩნდა. გემოვნება პლუს ინდივიდუალურად შეკვეთილი და კარგი ნაჭრიდან კარგად შეკერილი ტანსაცმელი კი უკვე ელეგანტურობის საწინდარია. მაშ ვეცადოთ, ვიყოთ მაქსიმალურად ელეგანტურები!











სახელი

გვარი

ასაკი

სიმაღლე

მისამართი

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა________________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" უკეთეს ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი


## TV პროგრამა

## 29 იანვარი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "ტარზანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** გაიღიმეთ ფარული კამერაა **12.50** მხ. ფილმი "ჩაპლინი" (გ) **15.20** მხ. ფილმი "შერლოკ ჰოლმსი" (გ) **18.20** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **18.50** მხ. ფილმი "ოპერცია "ტუშენკო" (გ) (ჟან რენო) **22.00** შაბათის ღამის შოუ **23.00** "ფსიქო" - მხ. ფილმი "ოჯახური ქრონიკა". რეჟ. ვალერიო ძურილინი. **02.00** კურიერი **02.20** მხ. ფილმი "მთამსვლელი" (18)

### TV5

**06.00, 08.00,** 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 02.35(შვეიცარია), 03.10(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** ღია ბარათი "გურმანი" **08.25** საბავშვო შემეცნებითი გადაცემა. "ბიდუმ-ბიდუმ" **09.30** გადაცემა: აღმოჩენა. **12.15** ჩექმები. ტელესერიალი. **14.00** არტ რეპორტაჟი. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. 19.05ნატალი შტუტსმანი. დოკ. ფილმი. **20.25** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი. **24.25** მაშველები. ტელესერიალი. **01.25** ბუნების დამცველები. დოკ. ფილმი. **04.20** გადაცემა ორმაგი მე.

### პირველი არხი

**08.00** "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "შუქურა სოლტი" **08.45** საბავშვო სერიალი "ჯუნგლის კანონი" **09.10** მომავლის ცირკი **10.00** სპექტაკლი "კუკარაჩა" **11.30** "ტაქსი" **12.00** "მთავარი" **12.20** დოკ. ფილმი "ფატალური ყვავილები" **13.20** მხ. ფილმი "განძთა კუნძული" **15.00** მუსიკა **16.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "მეათე სამეფო" **17.00** "არტე" წარმოგიდგენთ - "მთელი ეს ცირკი" **18.00, 20.00** "მთავარი" -საინფ. პროგრამა **18.10** "არქივი" - ხალხური **18.30** "მრწამსი" **19.00** დოკ. ფილმი "მოგზაურის გიდი"-ბარსელონა **20.30** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი და კრიმინალი" **21.30** "რაციო" **22.30** ბიოგრაფიული პორტრეტები -მუსოლინი **23.30** "ჩვენ" **00.45** მხ. ფილმი "ჩემი დიდი ბერძნული ქორწილი" **02.00** საინფ. გამოშვება

### მზე

**09.00** მუსიკა მზეზე **09.30** მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა" **10.00** საბავშო სერიალი "ოდისეა" **10.30** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **11.30** "ექსტრემალური ამბები" **12.30** ტელეჟურნალი "მოდა" **13.00** სერიალი "კარაბინერები" **14.00, 17.00, 20.00** მზერა **14.15** მხ. ფილმი "ვახშამი ბრიყვთან ერთად" **16.15** მუსიკა მზეზე **16.30** "დები ტრევისის საოცარი სახლი" **17.20** ფარული კამერა **17.50** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **19.00** სერიალი "კარაბინერები" **20.30** დრამა "ტაქსის მძღოლი" **21.30** ტელეჟურნალი "სცენა" **22.00** მხ. ფილმი "ვინც არ უნდა იყო მანდ" **00.00** მხ. ფილმი "ორნი ზღვასთან". (გ) (სანდრა ბალოკი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **19.30** ტელეზღაპარი **19.45** სერიალი "უშიშარნი" **20.35** დოკ. ფილმი "ტიბეტი" **21.35** მრწამსი **22.20** სპექტაკლი "სურათები საოჯახო ალბომიდან"

### იმედი

**09.00** ანიმ. ფილმი "ყურცქვიტა რეჯის თავგადასავალი" **09.55** მხ. ფილმი "ავი ძაღლი" 1-ლი ს. **11.00** "ზღაპარ იყო" **11.20** "რაო, რაო?" **11.30** "იმედითა შენითა" **11.45** დილის ფოსტა **12.40, 16.15, 02.40** ტვ-მარკეტი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 23.15, 02.30** ქრონიკა **13.15** მხ. ფილმი "უმაღლესი გონი" (გ) (ე. რობერტსი) **15.15** "უცნობი საქართველო" **15.45** "წუთისოფელში" **16.30** "ნბა"-ს ჟურნალი **17.10** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი **20.00** იუმორინა-2004 **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. **00.20** ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად **01.35** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **03.10** იმედის მელოდიები

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** სათავგადასავლო ფილმი "102 დალმატინელი" **11.00** "მოგზაური" **11.20** მხ. ფილმი "რობინ ჰუდი" **13.40** მუსიკა **14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.45** კომედია "უთქმელი სიყვარული" **16.45** მულტსერიალი **17.15** "ჭიტა-ჭიტა" **17.45** მუსიკა **18.30** საინფ. დაიჯესტი "ნოვოსტი" **18.50** დეტექტივი "ორნი ქალაქში" **21.00** "ფერისცვალება" **21.15** მუსიკა **21.30** თრილერი "ოცნება არგენტინაზე" **23.10** მუსიკა **23.20** მხ. ფილმი "საბინა"

### კავკასია

**11.00** მხ. ფილმი "კანონსაწინააღმდეგო" (გ) **13.00** ტუწ-ემ **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** საბავშვო პროგრამა "ინკოგნიტო" **19.40** "საწინდარი" **20.10** საბავშვო პროგრამა "სტუმრად ჩიკოსთან" **21.00** მხ. ფილმი "წესების გარეშე" (გ) **00.30** ტუწ-ემ

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკა **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუსიკა **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** სერიალი "დიდი სახლი" **22.30** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე

### ОРТ

**06.00, 10.00, 12.00, 18.00** Новости. **06.10** Мультсериал "Американский хвост". **06.30** Регимантас Адомайтис в детективе **"ДОСЬЕ ЧЕЛОВЕКА В "МЕРСЕДЕСЕ". 1**-я с. **08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.20** "Смак" с Андреем Макаревичем. **10.30** "Кумиры". Андрей Мартынов. **11.10** Лубянка. "Бриллиантовое дело". **1**-я серия. **12.10** История с географией. "Внутри торнадо". **13.20** Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья". **13.50** Умницы и умники. **14.30** "Пестрая лента". Марина Ладынина. **15.20** "Слабое звено" с Марией Киселевой. **16.10** Питер Фальк в фильме **"КОЛОМБО НРАВИТСЯ НОЧНАЯ ЖИЗНЬ"**. Лос-Анджелес. Профессиональный промоутер Джастин Прайс делает первую серьезную ошибку, согласившись помочь своей подружке Ванессе избавиться от трупа ее бывшего мужа - сына известного мафиози и "финансовой крыши" нового клуба Джастина. Прайс совершает вторую ошибку, убив бульварного репортера, попытавшегося нагло шантажировать его фотографиями случившегося. Но самую большую свою ошибку он делает, пытаясь устранить лейтенанта Коломбо от расследования "подозрительного самоубийства" репортера. **17.50** Классика Уолта Диснея. Впервые в России. **18.10** Субботний "Ералаш". **18.40** "Новые песни о главном". **20.00** "Кто хочет стать миллионером?" **21.00** Время. **21.20** "Розыгрыш". **22.40** Российская национальная кинопремия "Золотой орел". **01.30** Александр Носик в боевике **"ЦВЕТЫ ОТ ПОБЕДИТЕЛЕЙ"**. **03.20** Деннис Хоппер в триллере **"ГАРРИ ПО ПРОЗВИЩУ "ГВОЗДЬ"**. Лос-Анджелесский полицейский Гарри Найлз по прозвищу Гвоздь, получил это имя давно за мужество и бесстрашие. Когда два киллера-кубинца жестоко убивают его напарника Ноя Оуэнса, Гарри клянется себе, что достанет убийц из-под земли. А после этого отыщет мерзавца, который организовал это преступление… **05.00** Исторический боевик **"ЮЛИЙ ЦЕЗАРЬ"**.

### НТВ

**06.00** Мультфильм "Аргонавты". **06.20** Боевик **"ТАНГО И КЭШ". 08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Мультфильм "Как лечить удава". **08.25** Комедийный сериал **"2,5 ЧЕЛОВЕКА". 08.55** "Без рецепта". Доктор Бранд. **09.25** "Дикий мир" **10.15** Кирилл Лавров в программе Павла Лобкова "Растительная жизнь". **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.20** "Особо опасен!" "Смотрящий". **14.00** Александр Фатюшин в фильме **"КРОВЬ ЗА КРОВЬ"**. **16.20** "Женский взгляд" Оксаны Пушкиной. Гуго Алферьев. "ОТЕЦ-ОДИНОЧКА". **16.55** Своя игра. **17.55** Премьера. "Четвертая мировая война. Эрнесто Че Гевара". Фильм Василия Пичула. **19.40** Профессия - репортер. **20.10** Сериал **"МАНГУСТ-2: ПРОПАВШАЯ НЕВЕСТА". 21.20** Сандра Баллок в комедии **"МИСС КОНГЕНИАЛЬНОСТЬ"**. **23.40** Джейн Фонда в комедии **"БАРБАРЕЛЛА"**. Роже Вадим адаптировал "взрослый" комикс Жана-Клода Форэ о приключениях космической героини в далеком будущем. Земляне, наконец-то, живут в мире и согласии. У них нет войн, оружия, полиции и зла. Кругом царит взаимная любовь. Прекрасная Барбарелла по заданию президента планеты отправляется в далекое путешествие, чтобы спасти великого ученого Дюрана-Дюрана, который изобрел уникальный прибор. Если этот прибор попадет в руки к злым существам, то с его помощью можно будет завоевать вселенную... **01.40** Футболлистика. **02.30** Сериал **"ОДНАЖДЫ В КАЛИФОРНИИ". 04.15** Патрик Берджин в фильме **"ДРАКУЛА". 1**-я серия

## სკანვორდი



1. მე-17 საუკუნის იტალიელი ფიზიკოსი და ასტრონომი; 2. გამოკლების ნიშანი მათემატიკაში; 3. ა. მორავიას რომანი; 4. ყვავილი; 5. პერსონაჟი ა. პუშკინის მოთხრობიდან "გასროლა"; 6. არათვითმავალი სატვირთო ხომალდი; 7. პერსონაჟი შ. ბულგაკოვის "ძაღლის გულიდან"; 9. სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 9. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 10. ქალაქი და პროვინცია ჩრდილოეთ იტალიაში; 11. კანის გადამდები მძიმე სნეულება; 12. ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი და პუბლიცისტი; 13. ფრანგული ყურძნის ჯიში; 14. რბილი, მოვერცხლისფრო თეთრი ლითონი; 15. ამერიკელი კომპოზიტორი, დირიჟორი და პიანისტი; 16. კეთილთვისებიანი სიმსივნე; 17. იტალიელი კომპოზიტორი და მევიოლინე; 18. პორტუგალიის მფლობელობა აღმოსავლეთ აზიაში; 19. რუსი ილუზიონისტი; 20. იტალიელი ქვეითი ჯარისკაცი; 21. პროგრამა "დროების" ავტორი და წამყვანი ტელე "იმედის" არხზე; 22. ამერიკელი ტენორი, წარმოშობით იტალიელი; 23. ლობიოს გულიანი ნამცხვარი; 24. ცნობილი აბსოლუტური სიმაღლის გეოდეზიური პუნქტის ნიშანი; 25. სანადირო ძაღლის ჯიში; 26. ზ. ფალიაშვილის ოპერა; 27. შინაური ცხოველი; 28. პოლონელი მძიმეწონოსანი პროფესიონალი მოკრივე; 29. ტარიენი, ვერცხლის სასმისი; 30. სეულის ოლიმპიადის ჩემპიონის, სსრკ ნაკრების მწვრთნელი ფეხბურთში; 31. ბელგიის საფეხბურთო კლუბი; 32. რბილი ავეჯი; 33. ზომიერი მუსიკალური ტემპი; 34. ბრმა ნაწლავის ჭია დანამატის ანთება; 35. 10-ცენტიანი მონეტა აშშ-ში.

# საუბრები აბაზანის კიდეზე



შაბათ-კვირა თბილისში სასაცილო იქნება. ფილმს "შეხვედრა ფაკერებთან" პარასკევიდან უჩვენებენ, ანუ ჩვენთანაც და ბრიტანეთშიც პრემიერად ერთდროულად გაიმართა. განსხვავება ის იყო, რომ ლესტერ სკვერზე ლონდონელი კინომანების წინაშე დასტინ ჰოფმანი და ფილმის სხვა ვარსკვლავებიც წარდგნენ და ავტოგრაფებიც დაარიგეს.

მანამდე კი ჰოფმანი მადრიდში იმყოფებოდა. საუბარი ჟურნალისტებსა და ვარსკვლავს შორის ძალიან შინაურულ თემებზე წარიმართა. "საპირფარეშოში ლაპარაკი მიყვარს, ამ დროს თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ ხოლმე" - ეს დეტალი მსახიობმა პრესას ფილმის ერთი ეპიზოდის გამო გაანდო, რომელშიც ჰოფმანი და დე ნირო ტუალეტში სხედან და ტკბილად საუბრობენ.

"ბავშვობაში საპირფარეშო იყო მთელ სახლში ყველაზე ზედგამოჭრილი ადგილი გულიანი საუბრისთვის. ვთქვათ, ჩემი ძმა იყო შესული, მეც შევყვებოდი, აბაზანის კიდეზე ჩამოვჯდებოდი და ვლაპარაკობდით. ძალიან კარგი იყო... ეს ჩვეულება მერეც გადმომყვა. მერე ძმის ნაცვლად უკვე პარტნიორობას ქალები მიწევდნენ". შესაბამისად, ფილმში საპირფარეშოს ეპიზოდის შეტანა სწორედ ჰოფმანის იდეა იყო. მან შეძლო, რეჟისორი ჯეი როუჩი დაერწმუნებინა, რომ ასეთი დიალოგი ყველაზე ნათლად გადმოსცემდა "ბერნის თვისებებს" - იგულისხმება ხანდაზმული ჰიპი, ბერნი ფაკერი, რომლის როლსაც ჰოფმანი ასრულებს.

სიტუაციისთვის კიდევ უფრო მეტი კომიკურობის მისანიჭებლად ბერნი საპირფარეშოში არა რომელიმე "გერლფრენდთან" ან ძმასთან ერთად, არამედ ულტრა-კონსერვატორ, ცოტა ნევროზულ მძახალთან ჯეკ ბერნსთან ერთად დასვეს (დე ნირო). უფრო ზუსტად კი, დე ნიროს გმირი გადასწევს საშხაპეს ფარდას და შიშისგან შეჰკივლებს - კიდეზე ჩამომჯდარ ბერნის რომ დაინახავს.

"შეხვედრა ფაკერებთან" ფილმის "გაიცანით მშობლები" გაგრძელებაა. ახალ სურათში გეილორდ ფაკერი (ბენ სტილერი) შეყვარებულის მშობლებთან ერთად თავგადასავლებით დატვირთულ უიკ-ენდს ატარებს. გოგოს მამა კონსერვატორი დე ნიროა, ბიჭის - ექსჰიპი დასტჰინ ჰოფმანი. სასაცილო სიტუაციებსაც ეს კონტრასტი ქმნის.

ბევრი ეპიზოდი კი მთლიანად მსახიობების დამსახურებაა. "რეჟისორმა მითხრა, რომ დამევიწყებინა სცენარი და ისე მოვქცეულიყავი, როგორც ცხოვრებაში ვარ. და მართლაც, ცხოვრებაში ხანდახან უხამსიც ვარ ხოლმე, ძალიან უშუალო და თავისუფალი. სწორედ ჩემი ეს თვისება სურდა რეჟისორს, რომ გამოემზეურებინა".

ფილმში დე ნიროსა და ჰოფმანის დუეტის გარდა, ძალიან სასაცილოა ბარბრა სტრეიზანდიც. ის ბერნის (ჰოფმანის) მეუღლის როლს ასრულებს. მისი გმირი სექსოლოგი-თერაპევტია ხანშიშესული ადამიანებისთვის და თავის თეორიებს მშვენივრად იყენებს იმ საბედისწერო უიკ-ენდზეც.

მოკლედ, ვარსკვლავებით დახუნძლული ფილმი ყველა პირობას ქმნის კარგი გართობისთვის; განტვირთვისთვის მაინც.

# ბილეთი ფოტოსურათით



ბრიტანელები უკვე ზაფხულის ფესტივალებისთვის ემზადებიან და ყველაზე დიდ ყურადღებას, ყველაზე პოპულარულს - გლასტონბერის უთმობენ. გუშინ გავრცელებული ცნობით, წელს ფესტივალის ორგანიზატორები უსაფრთხოების ახალ ზომებს მიიღებენ. ბილეთის თითოეულ მფლობელს გადასცემენ ფოტოსურათიან პირადობის მოწმობას, რომელზეც დაყენებული იქნება ელექტრო-ჩიპი მფლობელის დეტალური მონაცემებით.

ამ მეთოდით უკვე ვეღარავინ გააყალბებს ბილეთებს.

ივნისში დაგეგმილი ღონისძიებისთვის კი ბილეთების გაყიდვა აპრილიდან დაიწყება. "მთელ მსოფლიოში ჩვენთან იქნება ერთადერთი ადგილი, სადაც ბილეთის ყიდვა იქნება შესაძლებელი. თუ სხვაგან იყიდი ბილეთს, ფესტივალზე ვერ შემოაღწევ", - მაქსიმალურად ნათლად განმარტავს საქმის არსს ორგანიზატორი მაიკლ ივისი და იქვე დასძენს, რომ საგანგებოდ ფესტივალისთვის გაცემულ პირადობის მოწმობას მხოლოდ პასპორტი და მანქანის მართვის მოწმობა თუ შეცვლის.

24-26 ივნისს სომერსეტის ფერმაში სავარაუდოდ 150 ათასზე მეტი ადამიანი მოიყრის თავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბილეთებზე აპრილშივე დიდი მოთხოვნა გაჩნდება. შარშან დაახლოებით 112 ათასი ბილეთი ზუსტად 24 საათში გაიყიდა.

ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი ფესტივალში მონაწილე მუსიკოსების შესახებ. თუმცა, წინასწარი ვარაუდით, გლასტონბერიში U2 და Coldplay გამოჩნდებიან.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ღ.ჭონაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

## მსოფლიო აბლაბუდის ავტორი წლის ბრიტანელი გახდა

სერ ტიმ ბერნერს-ლის - კაცს, რომელმაც გამოიგონა მსოფლიო ინტერნეტ-ქსელი (world wide web) - "2004 წლის უდიდესი ბრიტანელის" წოდება მიანიჭეს.



- 1955 წლის 8 ივნისი: დაიბადა ლონდონში.
- 1973-76: სწავლობდა ოქსფორდის უნივერსიტეტში. ერთხელ მიკროსქემაზე წაასწრეს და კოლეჯის კომპიუტერებთან ახლოს გაკარებაც აუკრძალეს.
- 1980: მუშაობა დაიწყო პროგრამული უზრუნველყოფის სპეციალისტად CERN-ში - ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის ევროპულ ლაბორატორიაში, ჟენევაში.
- 1984: მოიპოვა CERN-ის სტიპენდია.
- 1989: საზოგადოებას წარუდგინა გლობალური ჰიპერ-ტექსტის პროექტი - იგივე world wide web - და შექმნა პირველი ვებ-სერვერი და ვებ-მაძიებელი.
- 1991: www ინტერნეტში ჩაეშვა და შექმნა CERN-ის ვებ-გვერდი - მსოფლიოში პირველი.
- 1994: დააარსა კონსორციუმი world wide web, რათა ჩამოეყალიბებინა მსოფლიო ვებ-სტანდარტები.
- 10 წლის ბრიტანელად არჩევისას ბერნერს-ლის ჯილდოდ 25 ათასი გირვანქა სტერლინგი გადასცეს. მან კი მადლობა ასე თავმდაბლურად გადაიხადა: "მე უბრალოდ საჭირო დროს საჭირო ადგილზე ვიყავი".

© GRAPHIC NEWS

# ზვიაგინცევის მორიგი ჯილდო

"ბი ბი სი 4"-ის მსოფლიო კინოს ჯილდო ანდრეი ზვიაგინცევისთვის პრესტიჟული იყო, მაგრამ მაინც მორიგი. მისმა ფილმმა "დაბრუნება" ხომ მანამდე გაცილებით უფრო მასშტაბურ წარმატებას მიაღწია და 2003 წლის ვენეციის კინოფესტივალზე "ოქროს ლომით" დაჯილდოვდა.

ამ კვირაში კი "დაბრუნება" "ბი ბი სი"-მ დააფასა. ფილმი მოგვითხრობს ორი პატარა ბიჭის ამბავს, რომლებიც ათწლიანი ინტერვალის შემდეგ მოულოდნელად დაბრუნებული მკაცრი მამის მარწუხებში აღმოჩნდებიან.

პრიზი რეჟისორს ხუთშაბათ საღამოს ლონდონში გამართულ ცერემონიალზე გადასცეს. "დაბრუნება" ნახევარფინალში გასული ექვსი ფილმიდან აირჩია ჟიურიმ, რომელშიც "იქს ფაილების" ვარსკვლავი ჯილიან ანდერსონი, კრიტიკოსი როჯერ კლარკი და რეჟისორი კევინ მაკდონალდი შედიოდნენ.

ზვიაგინცევის სურათს კონკურენციას უწევდნენ უოლტერ სალესის "მოტოციკლეტისტის დღიურები" - ჩე გევარას როლში გაელ გარსია ბერნალით, იაპონური "ზატოიჩი" და ჩინური საბრძოლო ხელოვნების ამსახველი "გმირი". მაყურებლის ფავორიტი სწორედ ეს ჩინური ეპიკური სურათი გახდა, თუმცა, ჟიურიმ მაინც "დაბრუნება" არჩია ყველა დანარჩენს.

შეგახსენებთ, რომ ფილმზე მუშაობის დროს ტრაგედია დატრიალდა. 15 წლის ვლადიმირ გირინი - ფილმში მონაწილე პატარა ბიჭი ერთ-ერთი სცენის გადაღების დროს ტბაში დაიხრჩო.

შარშან მსოფლიო კინოს ჯილდო "ბი ბი სი"-მ ფრანგულ ანიმაციურ მხატვრულ სურათს Belleville Rendezvous-ს გადასცა.




რესტორანი
"დაკარგული სამოთხე"
12-დან 18 საათამდე მუშაობს კაფეს სტატუსით, სადაც ნებისმიერი კერძის ფასია 3 ლარი - 18 საათის შემდეგ კი, თითოეულ სტუმარს, რომლის მიერ შერჩეული მენიუს ღირებულება 25 ლარს გადააჭარბებს, მივართმევთ ღვინოს ("რქაწითელი") უფასოდ, განუსაზღვრელი რაოდენობით.
ძმები კაკაბაძეების ქ.№2 ("კინოს სახლში") ტელ: 999-207

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




50-დან 400კვმ-მდე ბინებს უნიკალურ კომპლექსში, თავისუფლების მოედნიდან 5 კმ-ში, ლოდამშვილის ქ. №18 (5 დეკემბრის ქუჩის პირველივე ასახვევი მარცხნივ), შემაღლებულ ადგილას, პანორამული ხედით, წყნარ და დაცულ ტერიტორიაზე. ბინები ჩაბარდება „თეთრი კარკასი".
შესაძლებელია ბიზნეს-ჯგუფი „ვალენსიის" მიერ იმპორტირებული, მაღალხარისხიანი მასალების, ავეჯის, სანტექნიკის, გათბობის სისტემების მიწოდების უზრუნველყოფა შეღავათიან ფასად და განვადებით.
შესაძლებელია 6 წლიანი განვადება.

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.